№ 14768 I-2746/2 № 418

ბრძოლა

I წ. პერიოდული გამოცემა რევოლიუციონერ სოციალ-დემოკრატთა დასისა. I წ.

№ 2-3 ნოემბერი—დეკემბერი 1901

რუსეთის სოციალდემოკრატიული პარტია და მისი უმახლობელესი მიზნები.

I

დიდი ჯახირი, წვალება და ცვლილება დასჭირდა აზროვნებას, სანამ იგი მიადგებოდა მეცნიერულად შემუშავებულს და დასაბუთებულ სოციალიზმს. დასავლეთ ევროპის სოციალისტებს ძალიან დიდხანს მოუხდათ უგზო-უკვლოდ ეარნათ უტოპიურ (ოცნებრივ, აუსრულებრივ) სოციალიზმის უდაბნოში, სანამ გაიკვლევდენ მტკიცე გზას, გამოიკვლევდენ და დაასაბუთებდენ ცხოვრების მსვლელობის კანონებს და აქედან — კაცობრიობისთვის სოციალიზმის აუცილებლობას. წარსულ საუკუნის დასაწყისიდან ევროპამ ბევრი დაჰბადა მამაცი, თავგამოდებული, პატიოსანი მუშაკი მეცნიერი იმ კითხვის ასახსნელად და გადასაწყვეტათ, თუ რა უშველის კაცობრიობას იმ სნეულებისაგან, რომელიც უფრო და უფრო ძლიერდება და მწვავდება ვაჭრობა მრეწველობის განვითარებასთან ერთად. ბევრმა ქარიშხალმა, ბევრმა სისხლის ნიაღვარმა გადიარა დასავლეთ ევროპის თავზედ იმის გულისათვის, რომ მოსპობილიყო შევიწროება უმრავლესობისა უმცირესობისაგან, მაგრამ ვარამი ისევე გაუქარვებელი რჩებოდა, წყლული ისევე მწვავე და ტანჯვა დღითი-დღე უფრო აუტანელი. ამ გვარ მოვლენის ერთ უმთავრეს მიზეზათ უნდა ჩაითვალოს ის, რომ უტოპიურ სოციალიზმს არა ჰქონდა გამორკვეული ცხოვრების კანონები და ამით ცხოვრებას თავზევით ევლებოდა, მაღლა მაღლა მიისწრაფოდა მაშინ, როდესაც საჭირო იყო სინამდვილესთან მტკიცე კავშირი და მწყობრი მუშაობა. უტოპისტები სოციალიზმის განხორციელებას აყენებდენ უახლობელეს მიზნათ მაშინ, როდესაც მის შესასრულებლად არავითარი ნიადაგი არ იყო ცხოვრებაში, და რაც უფრო სამწუხარო იყო თავის შედეგებით — უტოპისტები სოციალიზმის განხორციელებას მოელოდენ ამა სოფლის ძლიერთაგან, რომელნიც, მათის აზრით, ადვილად დარწმუნდებოდენ სოციალისტურ იდეალის ჭეშმარიტებაში. (რობერტ ოვენი, ლუი ბლანი, ფურიე და სხ.) ეს მოსაზრება სრულიად ჩრთილავდა იმ რეალურ მუშათა მოძრაობას და მუშათა მასსას, რომელიც ერთად ერთი ბუნებრივი მატარებელია სოციალისტური იდეალისა. უტოპისტებს ვერ შეეგნოთ ეს. მათ უნდოდათ ბედნიერება დაემყარებინათ ამ ქვეყნად კანონმდებლობით, დეკლარაციებით თვით ხალხის (მუშების) დაუხმარებლივ. თვით მუშათა მოძრაობას არ აქცევდენ ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას და ხშირად უარსაც ჰყოფდენ. ამით მათი თეორიები რჩებოდენ მხოლოდ თეორიებათ, თავზევით ევლებოდენ მუშათა მასსას, რომელშიაც ამ თეორიებისაგან სრულიად დამოუკიდებლად ღვივდებოდა ის დიადი აზრი, რომელმაც წარსული საუკუნის ნახევარში გენიოსი კარლ მარქსის პირით გადმოხეთქა მთელ ქვეყანაზე: „მუშების განთავისუფლება უნდა მოხდეს მუშებისავე ხელით! პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!!“ ამ სიტყვებით აშკარა გახდა ის, ეხლა „ბრმისთვისაც“ ცხადი, ჭეშმარიტება, რომ სოციალისტური იდეალის განსახორციელებლად საჭიროა მხოლოდ მუშების თვითმოქმედება და მათი შეერთება მწყობრ ძალად განურჩევლად ეროვნებისა და ქვეყნისა. საჭირო იყო ამ ჭეშმარიტების დასაბუთება, რაიც ჩინებულად შეასრულეს მარქსმა და მისმა მეგობარმა ენგელსმა, რომ ჩაყრილიყო მკვიდრი საძირკველი სოციალდემოკრატიული მძლავრი პარტიისა, რომელიც დღეს სულთამხუთავივით დადგომია ევროპის წესწყობილებას, უქადის მას ახლო მომავალში სრულიად განადგურებას და მის ნანგრევებზედ სოციალისტური წყობილების აშენებას.

სოციალიზმის იდეის განვითარება რუსეთშიაც თითქმის იმ გზითვე მოხდა, როგორც დასავლეთ ევროპაში. რუსეთშიც სოციალისტებს დიდხანს მოუხდათ უგზო-უკვლოდ ხეტიალი, სანამ გაჩერდებოდენ სოციალდემოკრატიულ შეგნებაზე — მეცნიერულ სოციალიზმზე. აქაც იყვნენ სოციალისტები, იყო მუშათა მოძრაობაც, მაგრამ ორივენი ერთი მეორისაგან დამოუკიდებლად თავთავისთვის მიდიოდენ: სოციალისტები უტოპიურ ოცნებისკენ (Земля и Воля, Народная Воля), მუშათა მოძრაობა-კი სტიქიონურ ბუნტებისაკენ. ორთავე ერთ და იმავე დროში მოქმედებდენ (70—80 წლებში) და ერთმანეთს კი ვერ იცნობდენ. სოციალისტებს არა ჰქონდათ ნიადაგი თვით მშრომელთა კლასში და ამით მათი მოქმედება იყო განყენებული, უნიადაგო; მუშებს კი არა ჰყავდათ ხელმძღვანელნი, ორგანიზაციის შემქმნელნი და ამიტომ მათი მოძრაობა იხატებოდა არეულ ბუნტებში. ეს იყო უმთავრესი მიზეზი, რომ სოციალისტების გმირული ბრძოლა სოციალიზმისთვის უნაყოფო დარჩა და მათი საარაკო ვაჟკაცობა დაუნდობლად შეასკდა თვითმპყრობელობის მაგარ კედლებს. მხოლოდ 90 წლების დასაწყისში რუსეთის სოციალისტები დაუახლოვდენ მუშათა მასსას. მათ დაინახეს რომ ხსნა მხოლოდ მუშათა წოდებაშია და სოციალისტურ იდეალის განხორციელებასაც მხოლოდ ეს წოდება შეასრულებს. მთელი თავისი მეცადინეობა და ყურადღება რუსეთის სოციალდემოკრატიამ მიაქცია ეხლა იმ მოძრაობას, რომელიც ამ დროს რუსეთის მუშებ შორის ხდებოდა. ჯერ კიდევ ნაკლებ შეგნებული და ბრძოლისათვის მოუმზადებელი რუსეთის მუშა თანდათან ცდილობდა როგორმე გამოსულიყო თავის უიმედო მდგომარეობიდან და რითიმე გაეუმჯობესებინა თავისი ყოფა-ცხოვრება. რასაკვირველია ამ მოძრაობაში ადგილი არა ჰქონდა იმ დროს მწყობრ ორგანიზაციულ მუშაობას, მოძრაობა — სტიქიონური იყო: და აი ამ შეუგნებელ, სტიქიონურ და დაუწყობელ მოძრაობას მოჰკიდა ხელი სოციალდემოკრატიამ. ისა ცდილობდა განევითარებინა ეს შეგნება, ცდილობდა დაყოფილი და ნაწილ-ნაწილი ბრძოლა მუშათა ცალკე ჯგუფისა წინაალმდეგ ცალკე ხაზეინებისა შეერთებინა საერთო კლასობრიულ ბრძოლაში: რომ ბრძოლა ყოფილიყო რუსეთის მუშათა კლასისა წინაალმდეგ რუსეთის შემავიწროებელთა კლასისა; და უმთავრესად ცდილობდა ამ ბრძოლისთვის მიეცა ორგანიზაციული ხასიათი.

პირველ ხანში სოციალდემოკრატიას არ შეეძლო თავისი მოქმედება გაევრცელებინა მუშათა მასაში და ამიტომ ის ჯერდებოდა მხოლოდ საპროპაგანდო და სა-

№ 1400

აგიტაციო წრეებში მეცადინეობას. ცრთად ერთი ფორმა მისი მოქმედებისა მაშინ ეს წრეები იყო და ამ წრეების არსებობით თავდებოდა მოძრაობაც. მიზანი ამ წრეებისა იყო: შექმნა თვით მუშებში ისეთი ნაწილი, რომელიც შემდეგში მოძრაობას ხელმძღვანელობას გაუწევდა. ამიტომ ეს წრეები მუშების მხოლოდ მოწინავე რაზმისაგან დგებოდა, მხოლოდ რჩეულ მუშებს ჰქონდათ საშუალება ესარგებლნათ წრეებში მეცადინეობით. მალე გაიარა წრეების ხანამ. სოციალდემოკრატიამ მალე იგრძნო მოთხოვნილება გამოსულიყო წრეების ვიწრო ზღუდეებიდან და თავისი გავლენა გაევრცელებინა მუშათა ფართო მასაზე. გარეგანმა პირობებმაც შეუწყვეს ხელი. ამ დროს სტიქიონურმა მოძრაობამ განსაკუთრებით აიწია თვით მუშებში. ვის არ ახსოვთ ის წელიწადი, როდესაც თითქმის მთელი თბილისი მოიცვა ამ სტიქიონურმა მოძრაობამ? არეული გაფიცვები თამბაქოს ფაბრიკებში და რკინის გზის სახელოსნოებში ერთი მეორეს მოსდევდა. ეს ჩვენში იყო 1897—98 წ.წ. რუსეთში კი ამაზე ცოტა ადრე. საჭირო იყო დროზე მიშველება და სოციალდემოკრატიამაც არ დააგვიანა თავის დახმარება. დაიწყო ბრძოლა აუტანელი გძელი სამუშაო დღის შემოკლებისთვის, შტრაფების გაუქმებისთვის, სამუშაო ქირის მომატებისთვის და სხ. სოციალდემოკრატიამ კარგად იცოდა, რომ ამ წვრილმან მოთხოვნილებებით და მათი დაკმაყოფილებით არ განისაზღვრებოდა მუშათა მოძრაობის მსვლელობა. მოძრაობის მიზანს ეს მოთხოვნილებანი არ შეადგენდა, რომ ეს მხოლოდ საშუალებაა მიზნის მისაღწევად. დეე ეს მოთხოვნილებანი იყვნენ წვრილნი, დეე თვით მუშები ცალ-ცალკე ქალაქებისა და რაიონებისა იბრძვიან დღეს განყენებულად: თვით ბრძოლა ასწავლის მუშებს, რომ მხოლოდ მაშინ, როდესაც მთელი მუშათა წოდება შეერთებული მტკიცე ორგანიზაციულ ძალად მიიტანს იერიშს თავის მტერზე სრული გამარჯვებაც მხოლოდ მაშინ ხდება. იგივე ბრძოლა დაანახვებს მუშებს, რომ გარდა პირდაპირი მათი მტერისა—კაპიტალისტისა—სხვა, უფრო დაუძინებელი და მავნებელი მტერი ჰყავთ: ეს —ორგანიზაციული ძალა მთელი ბურჟუაზიული კლასისა, დღევანდელი კაპიტალისტური სახელმწიფო, თავისი ჯარებით, სამართლით, პოლიციით, ციხეებით, ჟანდარმებით. თუ დასავლეთ ევროპაშიც-კი მუშის ოდნავი ცდა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად აუცილებლად ეტაკება ბურჟუაზიულ მართველობას, თუ დასავლეთ ევროპაში, სადაც უკვე მოპოვებულია ადამიანის უფლებები, მუშას უხდება პირდაპირი ბრძოლა მართველობასთან, მით უფრო რუსეთის მუშა თავის მოძრაობაში აუცილებლად წააწყდება თვითმპყრობელ მართველობას, რომელიც დაუძინებელი მტერი უნდა იყოს მუშების ყოველგვარი მოძრაობისა არა მარტო იმიტომ, რომ ეს მართველობა კაპიტალისტების მფარველია, იმიტომაც კი რომ, როგორც თვითმპყრობელი მართველობა ვერ შეეგუება ვერც ერთ საზოგადოებრივ კლასის თვით-მოქმედებას და განსაკუთრებით იმისთანა კლასის თვითმოქმედებას, როგორც მუშათა კლასია — გაქელილი და გათახსირებული სხვა კლასებზე უფრო ძლიერ. აკი ესმოდა რუსეთის სოციალდემოკრატიას მოძრაობის მსვლელობა და მთელ თავის მეცადინეობას ამ შეგნების მუშებში გავრცელებას ანდომებდა. ამაში იყო მისი ძალა და ამით აიხსნება მისი დიადი და ძლევამოსილი მსვლელობა პირველი დღიდანვე, რომელიც დაგვანახვა პეტერბურგის საქსოვ ფაბრიკების მუშების გრანდიოზულმა გაფიცვამ 1896 წ.

მაგრამ პირველმა გამარჯვებებმა აუბნიეს გზა-კვალი და თავბრუ დაასხეს ზოგიერთ სუსტ პირებს. როგორც ოდესღაც უტოპიური სოციალისტები თავის ყურადღებას მხოლოდ საბოლოო მიზანს აქცევდენ და მით დაბრმავებულნი სრულიად ვერ ამჩნევდენ, ან უარყოფდენ მუშათა რეალურ მოძრაობას, რომელიც მათ თვალწინ ხდებოდა, ისე, წინააღმდეგ, რუსეთის ზოგიერთი სოციალდემოკრატები მთელ თავის ყურადღებას აქცევდენ მუშათა ბრბოს, მის დღიურ საჭიროებას და შეხედულობას. მაშინ (ხუთი წლის წინად) რუსეთის მუშების კლასობრიული შეგნება კი ძალიან ნაკლები იყო. რუსეთის მუშა ჯერ მხოლოდ ეხლა იღვიძებდა საუკუნოების ძილისაგან და მისი თვალები, შეჩვეული მხოლოდ სიბნელეს, რასაკვირველია, ვერ ამჩნევდენ ყველაფერს მისთვის ახლად გადაშლილ ქვეყანაში. მას არა ჰქონდა დიდი მოთხოვნილებანი და, არც მისი მოთხოვნა იყო მძლავრი, რუსეთის მუშა ჯერ ვერ მიდიოდა სამუშაო ქირის ოდნავ გადიდების, ან სამუშაო დროს ნახევარ, ერთი საათის შემოკლების იქით. რომ აუცილებელია არსებული წყობილების გარდაქმნა, რომ უნდა მოისპოს კერძო საკუთრება, რომ უნდა მოეწყოს სოციალისტური წყობილება, ყველა ამაზე რუსეთის მუშათა მასას წარმოდგენაც არა ჰქონდა. აგრეთვე ნაკლებ ჰბედავდა ეფიქრა იმ მონობის მოსპობაზე, რა მონობაშიც იმყოფება მთელი რუსეთის ხალხი თვითმპყრობელი მართველობის ქვეშ; ეფიქრა ხალხის თავისუფლებაზე, ხალხის მონაწილეობაზე სახელმწიფო მართვა-გამგეობაში. და აი იმ დროს, როდესაც რუსეთის სოციალდემოკრატიის ერთი ნაწილი თავის მოვალეობათ სთვლიდა შეეტანა მუშათა მოძრაობაში თავისი სოციალისტური იდეალები და პოლიტიკური თავისუფლების აუცილებლობა, მისი მეორე ნაწილი გატაცებული ეკონომიური ბრძოლით, ბრძოლით მუშების მდგომარეობის ნაწილ-ნაწილ გაუმჯობესებისათვის (როგორც შემოკლება სამუშაო დროისა და ქირის მომატება), მზათ იყო სრულიად დაევიწყნა თავისი დიადი მოვალეობა, თავისი დიდებული იდეალები.

როგორც თავისი დასავლეთ ევროპის თანამოაზრენი (ეგრედ წოდებულნი ბერნშტეინიანცები), ესენი ამბობდენ: „ჩვენთვის მოძრაობა—ყველაფერია, საბოლოო მიზანი—არაფერიო". მათთვის არაფერი საინტერესო იყო რისთვის იბრძვის მუშათა კლასი,—ოღონდ ყოფილიყო კი თვით ბრძოლა. განვითარდა ეგრედ წოდებული შაურიანი პოლიტიკა. საქმე იქამდე მიიდა, რომ პეტერბურგელი გაზეთი «Рабочая Мысль» ერთ მშვენიერ დღეს აცხადებს: „ჩვენი პოლიტიკური პროგრამაა—10 საათის სამუშაო დღე და დაბრუნება იმ უქმეებისა, რომლებიც ორ ივნისის კანონმა წაგვართვაო"(!!!) *).

იმის მაგივრად, რომ ხელმძღვანელობა გაეწიათ სტიქიონური მოძრაობისათვის, შთაენერგათ მასაში სოციალდამოკრატიული იდეალები და მიემართათ იგი ჩვენი საბოლოო მიზნისაკენ, ეს ნაწილი რუსეთის სოციალდემოკრატებისა გახდა ბრმა იარაღი თვით მოძრაობის; ის ბრმად მისდევდა მუშების ნაკლებად განვითარებულს ნაწილს და კმაყოფილდებოდა ჩამოეყალიბებინა მხოლოდ ის საჭიროებანი, ის მოთხოვნილებანი, რომლებიც უკვე შეგნებული იყო იმ წუთში მუშათა მასისაგან. ერთი სიტყვით, ის იდგა და არაკუნებდა გაღებულ კარებს და შიგ სახლში კი შესვლას ვერ ბედავდა. აეხსნა მუშათა მასისათვის საბოლოო მიზანი, სოციალიზმი, თუნდ უახლოესი მოვალეობა—თვითმპყრობელობის დამხობა, ეს ვერ მოეხერხებინა და, რაც უფრო სამწუხაროა, ყველა ამას თვლიდა უსარგებლოდ და მავნებლადაც-კი. ის რუსეთის მუშას უყურებდა როგორც ბავშვს და ეშინოდა არ შეეშინებინა ამ გვარი გაბედული იდეებით. და ესეც არ ყოფილიყო, მათის აზრით, არაფერი ბრძოლა არ არის საჭირო სოციალიზმისთვის: საჭიროა მხოლოდ ეკონომიური ბძროლა—გაფიცვა და პროფესიონალური კავშირები, მომხმარებელი და მწარმოებელი საზოგადოებანი—და სოციალიზმი (მრავალი საუკუნის შემდეგ) უკვე მზად არის. იგინი შეცდომათ სთვლიდნენ ძველ საერთაშორისო სოციალდემოკრატიის მოძღვრებას, რომელიც ამტკიცებდა, რომ სანამ პოლიტიკურიძალა არ გა-

---

*) უნდა აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელ ხანში პეტერბურგის ბრძოლის კავშირმა (Союзъ Борьбы) და მისმა გაზეთის რედაქციამ თავის წინანდელ განსაკუთრებულ ეკონომიურ მიმართულებას ანებეს თავი და ცდილობენ შეიტანონ თავის მოქმედებაში პოლიტიკური ბრძოლის იდეები.

დავა პროლეტარიატის ხელში (დიქტატურა პროლეტა-
რიატისა) შეუძლებელია შეიცვალოს არსებული წეს-
წყობილება, შეუძლებელია მუშების სრული განთავისუ-
ფლება. მათი აზრით სოციალიზმი თავის თავად არაფერს
ახალს არ წარმოადგენს და მაინცდამაინც არ განსხვა-
დება არსებულ კაპიტალისტურ წყობილებისაგან: სოცი-
ალიზმი ადვილად მოთავსდება არსებულ წეს-წყობილე-
ბაშიც, ყოველი პროფესიონალური კავშირი, თუნდ
მომხმარებელი დუქანი, ან მწარმოებელი საზოგადოება
უკვე ,,სოციალიზმის ნაწილიაო'',—ამბობდნენ ისინი
და აი ძველი ტანისამოსის ამგვარი აბდაუბდური ბლან-
დით ისინი ფიქრობდნენ: შევუკერავთ ახალ სამოსელს
წამებულ კაცობრიობასო! მაგრამ რაც ყველაზე უფრო
სამწუხაროა და თავის თავად გაუგებარი რევოლიუციო-
ნერისათვის, ეს ის გარემოებაა, რომ რუსეთის ,,სო-
ციალდემოკრატებმა'' იქამდის გააფართოვეს თავის
დასავლეთ ევროპის მასწავლებელთა (ბერნშტეინი და
კომპ.) მოძღვრება, რომ ურცხვად აცხადებენ: პოლიტი-
კური თავისუფლება (თავისუფლება გაფიცვების, კავში-
რების, სიტყვის და სხვ.) შეიძლება მოთავსდეს რუსეთის
ცარიზმთან ერთადო, და ამიტომ სრულებით არ არის
საჭირო განსაკუთრებული პოლიტიკური ბრძოლა, ბრძო-
ლა თვითმპყრობელობასთანო; მარტო ეკონომიური
ბრძოლაც საკმარისია, რომ მიზანს მივაღწიოთ: აკმარისია
რომ გაფიცვები, მიუხედავად მართველობისაგან აკრძალ-
ვისა მოხდეს ხშირ-ხშირად, — მართველობა დაიღლება
დასაჯოს გაფიცულები და აი შენი თავისუფლება გაფი-
ცვების და კრებებისო!.. ამგვარად ეს ვითომდა „სო-
ციალდემოკრატები" ამტკიცებდნენ, რომ რუსეთის მუ-
შამ მთელი თავისი ძალა და ენერგია უნდა შესწიროს
მხოლოდ ეკონომიურ ბრძოლას და არ უნდა გაჰყვეს
სხვადასხვა ,,ფართო იდეალებსო''. პრაქტიკულად მათი
მოქმედება იხატებოდა იმაში, რომ ისინი თავის მოვა-
ლეობად რაცხდნენ მხოლოდ ადგილობრივ მუშაობას
ამა თუ იმ ქალაქში. ორგანიზაცია მთელი რუსეთის
სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიისა მათთვის
არაფერ საინტერესოს წარმოადგენდა, წინაამდეგ პარ-
ტიის მოწყობა მათთვის სასაცილო და სამასხარო სათა-
მაშო იყო, რომელიც ხელს შეუშლიდა მათ პირდაპირი
,,მოვალეობის'' შესრულებას—ეკონომიურ ბრძოლას.
გაფიცვა და კიდევ გაფიცვა და ცოტა რამ გროშების
შეგროვება საბრძოლველი კასისათვის—აი მათი მოქმე-
დების თავი და ბოლო.

ტყუილია იფიქრებთ, რომ რადგან ასე შეავიწრო-
ვეს თავისი მოვალეობა, რადგან უარჰყვეს სოციალდემო-
კრატობა, ეს „მოძრაობის" მათაყვანებელნი ბევრ რამეს
გააკეთებდნენ ამ მოძრაობისთვის მაინცაო. მაგრამ აქაც მო-
ტყუებულნი ვართ. ამას გვარწმუნებს ისტორია პეტერ-
ბურგის მოძრაობისა. პირველ ხანებში 1895—97 წლებ-
ში მისი შესანიშნავი წინსვლა და გაბედული მორაობა
შეიცვალა შემდეგში უგზო-უკვლოდ ხეტიალად და ბო-
ლოს მოძრაობა გაჩერდა ერთ ადგილას. ეს არ არის გა-
საკვირველი: ყოველი მეცადინეობა ეკონომისტებისა,
რომ შეექმნათ მტკიცე ორგანიზაცია ეკონომიური
ბრძოლისათვის უწყალოდ ატყდებოდა მართველობის
მაგარ კედლებს და ყოველთვის ზედ აკვდებოდა. საში-
ნელი პოლიციური პირობები სპობდნენ ყოველ საშვა-
ლებას ყოველგვარ ეკონომიურ ორგანიზაციებისას. გა-
ფიცვებსაც მოესპოთ თავიანთი სარგებლობა, რადგან
ასში 99 გაფიცვა იხრჩობოდა პოლიციის მუხრუჭებში
მუშები უწყალოდ იდევნებოდნენ პეტერბურგიდან და მათ
რევოლიუციონურ ენერგიას შეუბრალებლად სწუწნი-
დენ ციხის კედლები და ციმბირის ყინვები. ჩვენ ღრმა-
თა ვართ დარწმუნებულნი, რომ მოძრაობის ამ (შედარე-
ბით, რასაკვირველია) შეჩერებაში მხოლოდ გარეგანი,
პოლიციური პირობები არ არიან დამნაშავენი: აქ არა
ნაკლები დანაშაული მიუძღვის თვით იდეების, აზროვ-
ნობის შეჩერებას, და აქედან რევოლიუციონური ენერ-
გიის დაცემას. რადგან მოძრაობას განვითარებასთან ერ-
თად მუშებს არ შეეძლოთ ფართოდ გაეგოთ თავისი მი-
ზნები და ბრძოლის შინაარსი, რადგან დროში, რომლის
ქვეშ უხდებოდა ბრძოლა რუსეთის მუშას რჩებოდა დაძ-
ველებულ, გახუნებულ ჩვრად თავისი კაპიკიანი დევი-
ზით — ეკონომიური ბრძოლით, — მუშებს უნდა შე-
ტანათ ამ ბრძოლაში უფრო ნაკლები ენერგია, უფრო
ნაკლები გატაცება, უფრო ნაკლები რევოლიუციონუ-
რი მისწრაფება... დიადი ენერგია მხოლოდ დიადი მიზ-
ნისთვის იბადება.

მაგრამ ხიფათი, რომელიც ამ გარემოების წყალო-
ბით ექადოდა მოძრაობას, დიდი იქნებოდა იმ შემთხვე-
ვაში, თუ ჩვენი ცხოვრების პირობები დღითი დღე უფ-
რო და უფრო დაჟინებით არ ერეკებოდეს რუსეთის მუ-
შებს პირდაპირი პოლიტიკური ბრძოლისკენ. თვით უბ-
რალო, პატარა გაფიცვაც კი პირდაპირ უყენებს მუშებს
ჩვენ პოლიტიკურ უუფლებობას, აჯახებს მართველობა-
სთან და შეიარაღებულ ძალასთან, და აშკარათ უმტკი-
ცებს განსაკუთრებული ეკონომიურ ბრძოლის უადგი-
ლობას. თვით ამ „სოციალდემოკრატთა" სურ-
ვილის წინაამდეგ ბრძოლა დღითი დღე იღებ-
და აშკარა პოლიტიკურ სახეს. ყოველი ცდა გა-
ღვიძებული მუშებისა — აშკარად გამოეხატათ თა-
ვისი ღრმა დაფარული უკმაყოფილება არსებული ეკო-
ნომიური და პოლიტიკური შევიწროებით, რომლის
ქვეშაც კვნესის დღეს რუსეთის მუშა, ყოველი ცდა გა-
მოსულიყვნენ ამ შევიწროებისაგან, იწვევდა მუშებს
იმგვარ მანიფესტაციებისკენ, სადაც ეკონომიური ბრძო-
ლის ელფერი სულ უკან და უკან იჩრდილებოდა. პირ-
ველი მაისობის დღესასწაულებმა რუსეთში გაჰკაფეს გზა
პოლიტიკური ბრძოლისკენ და პოლიტიკური დემონს-
ტრაციებისთვის. და რუსეთის მუშამ წინანდელ თავის
ბრძოლის ერთად ერთ საშვალებას — გაფიცვას მიუმატა
ახალი ძლიერი საშვალება — პოლიტიკური დემონსტრა-
ცია, პირვ ლათ გამოცდილი 1900 წლის დიდებულ მა-
ისობას ხარკოვში. ამ გვარად რუსეთის მუშათა მოძრა-
ობა თავისი შინაგანი განვითარების წყალობით გადადი-
ოდა წრეებში პოლიტიკური პროპაგანდის და გაფი-
ცვებით ეკონომიური ბრძოლის საფეხურიდან პოლი-
ტიკური ბრძოლის და აგიტაციის საფეხურზე. ეს
გადასვლა დაჩქარდა უფრო შესამჩნევად მაშინ, როდე-
საც ბრძოლის ველზე მუშათა კლასმა დაინახა რუსეთის
სხვა საზოგადოებრივი კლასების ელემენტები, მომავალ-
ნი მედგარი გადაწყვეტილებით — დაიპყრონ პოლიტიკუ-
რი თავისუფლება.

II

მარტო მუშათა კლასი არა კვნესის რუსეთის წყო-
ბილების უღელ ქვეშ. თვითმპყრობელობის მძიმე თათი
ახრჩობს სხვა საზოგადოებრივ კლასებსაც. კვნესის მუდამ
შიმშილით დასიებული რუსეთის გლეხკაცობა, გალატა-
კებული აუტანელი გადასახადების შევიწროებით და
მსხვერპლად შეწირული ჩარჩ-ბურჟუებისთვის, კეთილ-
შობილ მემამულეებისთვის; კვნესის წვრილი მოქალაქე-
ობა, წვრილი მსახურები სახემწიფო და კერძო ადგილე-
ბში, წვრილი ჩინოვნიკობა, საზოგადოთ ის მრავალი
წვრილი მოქალაქეობა, რომელიც როგორც მუშათა
კლასი, არ არის თვის არსებობაში უზრუნველყოფილი
და საბუთი აქვს იყვეს უკმაყოფილო თავის საზოგადო-
ებრივი მდგომარეობით; იტანჯება ნაწილი წვრილი და
თითქმის საშუალო ბურჟუაზიისაც, რომელიც ვერ შე-
რიგებია მეფის კნუტს და ნაგაიკას, განსაკუთრებით განა-
თლებული ნაწილი ბურჟუაზიისა, ეგრედ წოდებული
თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლები (მასწავლე-
ბელნი, ექიმნი, ადვოკატები, სტუდენტები და საზოგა-
დოთ მოსწავლენი); იტანჯებიან შევიწროებულნი ერები
და სარწმუნოებანი რუსეთში: თავის სამშობლოდან დე-
ვნილნი და შეურაცხყოფილნი თავის წმინდა გრძნობებში
პოლშელები, ფინლიანდიელები, რომელთაც თვითმპყრო-
ბელობამ ურცხვად გაუთელა ისტორიისაგან მიცემული
უფლებები და თავისუფლება; მუდამ დევნილნი და შეუ-
რაცხყოფილნი ებრაელნი, მოკლებულნი იმ საცოდავ

უფლებებსაც-კი, რომლებითაც სარგებლობენ რუსეთის დანარჩენი ქვეშევრდომნი: უფლებას იცხოვრონ ყველგან, უფლებას ისწავლონ შკოლებში, უფლებას იმსახურონ და სხვ. ქართველები, სომხები და სხვა ერები, მოკლებულნი უფლებას იქონიონ თავის შკოლები, იმუშაონ სახელმწიფო სახელოსნოებშიც-კი, იძულებულნი დაემორჩილონ იმ სამარცხვინო და შემავიწროებელ პოლიტიკას „გარუსებისას", რომელსაც ასე გულმოდგინედ ასრულებს თვითმპყრობელობა; კვნესის მრავალი მილიონი რუსეთის სექტანტობა, რომელთაც სურთ ირწმუნონ და ადიდონ ისე, როგორც უბრძანებს მათივე სინიდისი და არა ისე, როგორც სურთ მართლმადიდებელ ხუცებს... კვნესიან... მაგრამ ყველა შევიწროებულთ, ყველა დევნილთ რუსეთის თვითმპყრობელობისაგან ვერც კი ჩამოსთვლი: ისინი ისე ბევრი არიან რომ, რომ შეიგნონ ყველამ ეს და შეიგნონ, სად არის მათი საერთო მტერი, რუსეთის დესპოტიური მართველობა ერთ დღესაც ვერ გასძლებდა. სამწუხაროდ რუსეთის გლეხკაცობა ჯერ კიდევ გაქელილია საუკუნოების მონობით, სიღარიბით და სიბნელით, ჯერ მხოლოდ ახლა იღვიძებს, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მიხვედრილა, სად არის მისი მტერი; რუსეთის შევიწროებულ ერებს არ შეუძლიათ ფიქრიც კი თავისი საკუთარი ძალით გაინთავისუფლონ თავი სანამ მათ წინაამდეგ დგას არა თუ მარტო რუსეთის მართველობა — რუსეთის ხალხიც-კი, რომელსაც ვერ შეუგნია, რომ მათი საერთო მტერი თვითმპყრობელობაა. რჩებიან მუშათა კლასი, წვრილი მოქალაქეობა და განათლებული ბურჟუაზია.

მაგრამ ყველა ქვეყნის და ყველა ერის ბურჟუაზიამ მშვენივრად იცის მითვისება იმ ნაყოფისა, რომელიც მისი გამარჯვებით არ არის ნაშოვნი, მშვენივრად იცის სხვისი ხელით ნარის გლეჯა; ის არას დროს არ არის განწყობილი დააყენოს „რისკზე" თავისი შედარებით შეღავათიანი მდგომარეობა მძლიერ მტერთან ბრძოლაში, რომლის მოგებაც ჯერ საეჭვოა: მიუხედავად იმისა, რომ იგი უკმაყოფილოა, მაინცდამაინც რომ ვთქვათ, ცუდად არა ცხოვრობს და ამიტომ ის სიამოვნებით უთმობს მუშათა კლასს და საზოგადოთ უბრალო ხალხს უფლებას მიუშვირონ თავიანთი ზურგი ყაზახების ნაგაიკებს, სალდათების ტყვიებს, ბარიკადებზე ბრძოლას და სხვ. თვითონ ის „თანაუგრძნობს" ბრძოლას, და უკეთეს შემთხვევაში „დელლებს" (თავისთვის) იმ სიმკაცრით, რომლითაც გამხეცებული მტერი აწყნარებს ხალხის მოძრაობას; მას ეშინიან რევოლიუციონური მოქმედებისა და მხოლოდ ბრძოლის უკანასკნელ წუთებში, როდესაც აშკარად ხედავს მტრის დაუძლურებას, თვითონ გადადის რევოლიუციონური ზომებისაკენ. ამას გვასწავლის ისტორიული გამოცდილება... მხოლოდ მუშათა კლასი და საზოგადოდ ხალხი, რომელიც „ბრძოლაში დაჰკარგავს თავის ბორკილებს, დაიპყრობს კი მთელ ქვეყანას", მხოლოდ ის წარმოადგენს მომქმედ რევოლიუციონურ ლაშქარს. და რუსეთის გამოცდილებაც, თუმცა იგი ჯერ ღარიბია, გვიმოწმებს ამ ძველ ჭეშმარიტებას, რომელსაც გვასწავლის ისტორია ყველა რევოლიუციონური მოძრაობისა.

შეღავათიან წოდებების წარმომადგენლებიდან მხოლოდ სტუდენტობის ნაწილმა გვაჩვენა თავისი გადაწყვეტილება ჩაჰყვეს თავის მოთხოვნილებებს ბოლომდე და უკან არ დაიხიოს რევოლიუციონური მოქმედების წინაშე. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოება, რომ ეს ნაწილიც სტუდენტობისა იმავე შევიწროებულ მოქალაქეთა შვილებისაგან იკრიბება და მასთან სტუდენტობა, როგორც ახალგაზდობა და მოსწავლე, ჯერ სანამ არ შერეულა ცხოვრების ტალღებში და იქ არ დაუჭერია გადაწყვეტილი საზოგადოებრივი მდგომარეობა, ყველაზე უფრო განწყობილია გაჰყვეს იდეალურ მისწრაფებებს, რომლებიც იწვევენ თავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ. ასეა თუ ისე, დღეს სტუდენტობა გამოდის საზოგადოებრივ მოძრაობაში თითქმის მესვეური, მოწინავე რაზმი; მის გარშემო იკრიბება დღეს სხვა-და-სხვა საზოგადოებრივი კლასების უკმაყოფილო ნაწილი. სტუდენტობა პირველში სცდილობდა ებრძოლა მუშებისაგან გადაღებული საშუალებით — გაფიცვით. მაგრამ როდესაც მართველობამ მათ გაფიცვებზე უპასუხა მხეცური კანონით (დროებითი წესებით), რომლითაც გაფიცულნი სტუდენტობა სალდათებათ იგზავნებოდენ, — სტუდენტობას ერთი საშუალებაღა დარჩენოდა საბრძოლველად — მოეთხოვა დახმარება რუსეთის საზოგადოებისთვის და გაფიცვებიდან გადასულიყო ქუჩის დემონსტრაციებზედ. სტუდენტობაც ასე მოიქცა. მან არ დაჰყარა იარაღი; წინაამდეგ უფრო დიდის სიმამაცით და გადაწყვეტილებით შეუდგა ბრძოლას. მის გარშემო მოიყარეს თავი შევიწროებულმა მოქალაქეობამ, მას გაუწოდა დახმარების ძმური ხელი მუშათა წოდებამ და ამით მოძრაობა გახდა ძლიერი, მართველობისთვის თავზარდამცემი. აგერ ორი წელიწადია, რაც რუსეთის მართველობა თავისი აუარებელი ჯარით, პოლიციით და და ჟანდარმებით გამწარებით ებრძვის თავის ურჩ მოქალაქეობას, მაგრამ ვერას გამხდარა. უკანასკნელი ხნის ამბები გვარწმუნებენ, რომ პოლიტიკური დემონსტრაციების დამარცხება შეუძლებელია. შემთხვევები დეკემბრის პირველ რიცხვებში ხარკოვში, მოსკოვში, ნ. ნოვგოროდში, რიგაში და სხვ. გვეუბნებიან, რომ დღეს საზოგადოებრივი უკმაყოფილება ხდება უკვე შეგნებით და ეს უკმაყოფილო საზოგადოებაც მზად არის ჩუმი პროტესტიდან გადავიდეს რევოლიუციონურ მოქმედებაზე. მაგრამ ის მოთხოვნილებანი, რომლებიც სტუდენტობამ წამოაყენა, მოთხოვნილება სწავლის თავისუფლებისა, უნივერსიტეტების შინაურ ცხოვრების თავისუფლებისა მეტად შეზღუდულია საზოგადოებრივი ფართო მოძრაობისთვის. იმისთვის, რომ შეაერთო ყველა ვინც ამ მოძრაობაში მონაწილეობას იღებს, აუცილებელია დროშა ყველასათვის გასაგები და მახლობელი, დროშა, რომელიც მოითავსებს ყველას მოთხოვნილებებს. ესეთი დროშაა — თვითმპყრობელობის დამხობა. მხოლოდ თვითმპყრობელობის ნანგრევებზე შეიძლება აშენდეს ცხოვრების ის წყობილება, დამყარებული სახელმწიფო მართვა-გამგეობაში ხალხის მონაწილეობაზე, რომელიც უზრუნველჰყოფს თავისუფლებას სწავლისაც, გაფიცვებისაც, სიტყვისაც, სარწმუნოებისაც, ეროვნებისაც და სხვ. და სხვ. მხოლოდ ის წყობილება მისცემს ხალხს თავის დასაცველ საშუალებებს წინაამდეგ ყოველგვარ შემავიწროებელთა, წინაამდეგ ჩარჩ-კაპიტალისტებისა, სამღვდელოებისა, თავად-აზნაურობისა. მხოლოდ ის წყობილება გაუხსნის თავისუფალ გზას უკეთეს მომავლისკენ, თავისუფალ ბრძოლისთვის სოციალისტური წყობილების დასამყარებლად.

სტუდენტობა თავისი ძალით ვერ შესძლებს ამ გრანდიოზულ ბრძოლას, მისი სუსტი მკლავები ვერ ზიდვენ ამ მძიმე დროშას, მის საზიდავათ საჭიროა უფრო ძლიერი მკლავები, უფრო დიდი ძალა, და დღევანდელ პირობებში ამ ძალათ მხოლოთ მუშა ხალხის შეერთებული ძალაა, მაშასადამე მუშათა კლასმა უნდა ჩამოართვას სუსტ სტუდენტობას მთელი რუსეთის დროშა და დააწერავს რა მას ზედ: ძირს თვითმპყრობელობა! გაუმარჯოს დემოკრატიულ კონსტიტუციას! — უნდა წაიყვანოს რუსეთის ხალხი თავისუფლებისაკენ. სტუდენტობისა კი ჩვენ მადლობელნი უნდა ვიყვნეთ იმ გაკვეთილისთვის რომელიც მოგვცა მან: მან დაგვანახვა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ დემონსტრაციას რევოლიუციონურ ბრძოლაში. მნიშვნელობა კი ძალიან დიდია: დემონსტრაცია ერთბაშათ ითრევს მოძრაობაში მცხოვრებელთა აუარებელ მასსას, ერთბაშათ აცნობს მას ჩვენს მოთხოვნილებას; ჰქმნის იმ ნაყოფიერ ფართო ნიადაგს, რომელზედაც თამამად შეგვიძლიან ვთესოთ თესლი სოციალისტური იდეებისა და პოლიტიკური თავისუფლებისა. ქუჩის დემონსტრაცია ჰქმნის ქუჩის აგიტაციას, რომლის გავლენასაც ვერ ასცდება ვერც ერთი უკან ჩამორჩენილი და მხდალი ნაწილი საზოგადოები-

სა *). დემონსტრაციის დროს საკმარისია კაცი გამოვიდეს ქუჩაზე, რომ დაინახოს მამაცი მებრძოლნი, გაიგოს რისთვის იბრძვიან, გაიგონოს თავისუფალი სიტყვა რომლითაც ყველას იწვევენ საბრძოლველად, გაიგონონ საბრძოლველი სიმღერა, რომელიც ააშკარავებს არსებულ წესწყობილებას, ააშკარავებს ჩვენ საზოგადოებრივ წყლულებს: აი რისთვის ეშინიან მართველობას ყველაზე უფრო ქუჩის დემონსტრაციისა, რისთვის ემუქრება სასტიკათ დასჯას არა თუ მარტო დემონსტრანტებს, „ცნობის მოყვარეებსაც"-კი. ხალხის ამ ცნობის მოყვარეობაში იფარება უმთავრესი ხიფათი მართველობისთვის: დღევანდელი „ცნობის მოყვარე" ხვალ როგორც დემონსტრანტი გარშემო შემოიკრიბავს ცნობის მოყვარეების ახალ ჯგუფს. ეს ცნობის მოყვარეები-კი ყველა დიდ ქალაქში ათი ათასობით ითვლებიან დღეს. რუსეთის მცხოვრებელი ეხლა აღარ იმალება, როგორც წინათ, რაკი გაიგონებს რომ სადმე არეულობა ხდება („მანდ მეც არ გამხვიონ, მოვშორდე, ისა სჯობიან" ამბობდა ის წინად) დღეს ზედ ერევა ამ არეულობას და „ცნობის მოყვარეობს" რისთვის ხდება ეს არეულობა, რის გულისთვის უშვერს ამდენი ხალხი ზურგს ყაზახების ნაგაიკებს. ამ პირობებში კი, ეგრე ადვილი არ არის ნაგაიკების და ხმლების შხუილი: „ცნობისმოყვარენი" ხედავენ, რომ დემონსტრატები შეყრილან ქუჩაზე თავის სურვილების და მოთხოვნილებების გამოსახატავად, გამოსათქმელად, მართველობა-კი მათ ცემით და მხეცური სვრეპით აძლევს პასუხს. ის არ მიურბის მათრახების შხუილს, წინააღმდეგ, უფრო ახლო იწევს და მათრახს აღარ შეუძლიან გაარჩიოს — სად თავდება უბრალო „ცნობის მოყვარე" და სად იწყება ბუნტოვშჩიკი. მათრახი ეხლა სრული დემოკრატიული თანასწორობით განურჩევლად სქესისა, ხნოვანობისა და წოდებისაც-კი გადადის ერთის ზურგიდან მეორეზე, ამ მხრივ მათრახი დიდ სამსახურს გვიწევს იმითი, რომ აჩქარებს „ცნობის მოყვარის" გარევოლიუციონერობას. დასამშვიდებელ იარაღიდან ის ამაღელვებელ იარაღად ხდება.

ამიტომ, დეე ქუჩის დემონსტრაციებს ნუ მოაქვთ ჩვენთვის პირდაპირი ნაყოფი, დეე ძალა დემონსტრანტებისა დღეს ძალიან სუსტია, რომ ამ ძალით ვაიძულოთ მართველობა დაუთმოს ხალხის მოთხოვნილებებს ეხლავე, — ის მსხვერპლნი, რომლებსაც დღეს ვწირავთ თავისუფლებას ქუჩის დემონსტრაციებში, გვიბრუნდებიან ერთი ასად. თვითეული დაცემული ბრძოლაში, ან ჩვენი ბანაკიდან მოტაცებული მებრძოლი, იწვევს ასობით ახალ მებრძოლთ. ჯერ არა ერთხელ ვიქნებით დამარცხებული ქუჩაზე, ჯერ არა ერთხელ გამოვა მართველობა გამარჯვებული ქუჩის ბრძოლიდან; მაგრამ ეს გამარჯვება „პირრის გამარჯვებაა"; რამდენიმე ამისთანა გამარჯვება და აბსოლიუტიზმის დამარცხება მზათ არის. დღევანდელი გამარჯვებით ის თავის დამარცხებას იმზადებს. და ჩვენ მტკიცედ დარწმუნებულნი, რომ დადგება ეს დღე, რომ მორს აღარ არის ეს დღე, მივდივართ მათრახების ქვეშაც სათესად პოლიტიკური აგიტაციის და სოციალიზმის თესლისა.

და მართველობაც ჩვენზე ნაკლებათ არ არის დარწმუნებული, რომ ქუჩის აგიტაცია მისი სასიკვდილო განაჩენია. რომ საკმარისია კიდევ 2—3 წელიწადი გამაგრდეს და მის წინ აიტუზება ხალხის რევოლიუციის აჩრდილი. ეკატერინოსლავის გუბერნატორის პირით მართველობამ ამ დღეებში გამოგვიცხადა, რომ ის არ გაუჩერდება „უკიდურეს ზომებსაც-კი, რათა მოსპოს თვით ცდაც ქუჩის დემონსტრაციებისა". როგორც ხედავთ, ამ გაცხადებას ტყვიის, შეიძლება ყუმბარისაც, სუნი უდის, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ტყვია მათრახზე ნაკლები ამაღელვებელი საშუალება არ არის; ჩვენ არა გვგონია, რომ ამ „უუკიდურესი ზომებითაც" შესძლოს მართველობამ პოლიტიკური აგიტაციის ხანგრძლივად შეჩერება და მით ხელი შეუშალოს მის მსვლელობას. ჩვენ იმედი გვაქვს, რევოლიუციონური სოციალდემოკრატია შესძლებს შეუფარდოს თავისი აგიტაცია ახალ პირობებსაც, რომლებსაც შექმნის მართველობა ამ „უუკიდურესი ზომების" შემოღებით. ყოველ შემთხვევაში, სოციალდემოკრატია ფხიზლად უნდა ადევნებდეს თვალ-ყურს შემთხვევებს, საჩქაროთ უნდა გამოიყენოს ამ შემთხვევების გაკვეთილი და თავისი მოქმედება მოსწრებულად შეუფარდოს ცვალებად პირობებს.

ამისათვის კი სოციალდემოკრატიას სჭირიან ძლიერი და მჭიდროდ შეკავშირებული ორგანიზაცია, სჭირიან ორგანიზაცია პარტიისა, რომელიც შეკავშირებული იქნება მარტო სახელით კი არა, თვით ძირითადი აზრით და შეხედულობებით ტაქტიკურ კითხვებზე. ჩვენი მოვალეობაა ვიმუშაოთ იმ ძლიერი პარტიის შესაქმნელად, რომელიც იქნება აღჭურვილი მტკიცე პრინციპებით და გაუტეხელი კონსპირაციით. სოციალდემოკრატიულმა პარტიამ უნდა გამოიყენოს ახლად დაწყობილი ქუჩის მოძრაობა; თავის ხელში უნდა აიღოს დროშა რუსეთის დემოკრატიისა და გაუძღვეს ყველასთვის სანატრელ გამარჯვებისაკენ!

ამგვარად, ჩვენ წინ იშლება ეპოხა უპირატესად პოლიტიკური ბრძოლისა. და ვერც ავცდებით ჩვენ ამას: არსებულ პოლიტიკურ პირობებში ეკონომიურ ბრძოლას (გაფიცვებს) არ შეუძლიან ბევრი რამ მოგვცეს; გაფიცვები თავისუფალ სახელმწიფოებშიც ორთავ გვერდით მჭრელი იარაღია; იქაც, მიუხედავად იმისა, რომ მუშებსა აქვთ იარაღი ბრძოლისა: პოლიტიკური თავისუფლება, მაგარი ორგანიზაციები მუშათა კავშირებისა, მდიდარი კასები, გაფიცვები ხშირად მუშების დამარცხებით თავდებიან. ჩვენში-კი, სადაც გაფიცვა დანაშაულია, რომელიც დაპატიმრებით ისჯება, რომელიც შეიარაღებული ძალით იხრჩობა, სადაც აკრძალულია ყოველგვარი კავშირები მუშებისა, ჩვენში გაფიცვებს მხოლოდ პროტესტის მნიშვნელობა ეძლევა. მაგრამ პროტესტისთვის დემონსტრაციები უფრო მძლავრ იარაღს წარმოადგენენ: გაფიცვებში მუშათა ძალა დანაწილებულია, მონაწილეობას იღებენ მხოლოდ ერთი ან რამოდენიმე ზავოდის, უკეთეს შემთხვევაში ერთი პროფესიის მუშები. საერთო გაფიცვის ორგანიზაცია ძალიან ძნელია დასავლეთ ევროპაშიაც კი, ჩვენში ხომ სულ შეუძლებელია. ქუჩის დემონსტრაციაში-კი მუშები ერთბაშად აერთებენ თავის ძალას.

აქედანა სჩანს თუ რამდენად ვიწროდ უყურებენ საქმეს ისინი, რომელთაცა სურთ მუშათა მოძრაობა შეზღუდონ განსაკუთრებით ეკონომიურ ბრძოლაში და ეკონომიურ ორგანიზაციებში — გაფიცვებში, მაშინ როდესაც პოლიტიკურ ბრძოლას უთმობენ ,,ინტელიგენციას'', სტუდენტებს, საზოგადოებას, მხოლოდ მუშების დახმარებით. ისტორია გვასწავლის, რომ ამგვარ პირობებში მუშები ლველფიდან ბატიბუტს მხოლოდ ბურჟუაზიისთვისა კრეფავენ; ბურჟუაზია დიდის სიამოვნებით სარგებლობს მუშების დაძარღვული მკლავებით თვით მპყრობელ მართველობასთან ბრძოლაში, და როცა გამარჯვება უკვე მოგებულია თითონ ითვისებს მის ნაყოფს და მუშებს კი რიყეზე უშვებს. თუ ჩვენშიაც ეგრე წავა საქმე — მუშები ვერაფერს მოიგებენ ამ ბრძოლით: ბურჟუაზია — ვერაფერი დამცველია თავისუფლებისა, იმას დიდი მიდრეკილება აქვს ყოველგვარ კომპრომისებისაკენ, ძალიან ცოტათი შეუძლიან დაკმაყოფილდეს. და ეს სტუდენტები და სხვა პროტესტანტები საზოგადოებიდან ხომ იგივე ბურჟუაზიაა? საკმარისია მიეცეს მათ სულ უბრალო ,,გაყვლეფილი კონსტიტუცია'', რომელიც ხალხს ძალიან ცოტა უფლებებს მისცემს, რომ ყველა ეს პროტესტანტები სხვა კილოზედ მოჰყვებიან გალობას: მაშინ ისინი დაუწყებენ ქება-დიდებას ახალ წყობილებას.

---

*) არა ლეგალური წიგნი, აგიტაციური ფურცელი დღევანდელ რუსეთის პირობებში დიდის გაჭირვებით აღწევენ ყველა მცხოვრებლებამდე; არალეგალური ლიტერატურის გავრცელების ნაყოფი თუმცა დიდია, მაგრამ მომეტებულ შემთხვევაში შედარებით საეჭვოა.

ბურჟუაზია გამუდმებულ შიშ ქვეშ არის კომუნიზმის „წითელ აჩრდილისაგან“ და ყველა რევოლიუციებში ცდილობს იქ გაათაოს საქმე, სადაც ჯერ მხოლოდ იწყება ის. რაკი თავისთვის მოიპოვებს ცოტაოდენ სარგებლიან დათმობას, ის მუშებისაგან დაშინებული შერიგების ხელს უწვდის მართველობას და ურცხვად ჰყიდის თავისუფლების საქმეს *). მხოლოდ მუშათა წოდებაა საიმედო ბურჯი ნამდვილი დემოკრატიისა; მხოლოდ მას არ შეუძლიან დათანხმდეს მართველობას რაიმე დათმობაზე, არ მისცემს თავს ძილს, როცა მას დაუწყობენ ტკბილად გალობას კონსტიტუციონალურ ჩონგურზე მოწყობილ სიმღერას.

ამიტომ რუსეთის დემოკრატიული საქმისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, შესძლებს თუ არა მუშათა კლასი ჩაუდგეს სათავეში, გაუწიოს წინამძღოლობა საერთო დემოკრატიულ მოძრაობას, თუ მოძრაობას გაჰყვება კუდში, როგორც მოშველე ეგრედ წოდებული საზოგადოებისა, ინტელიგენციისა, ე. ი. ბურჟუაზიისა. პირველ შემთხვევაში თვითმპყრობელობის დამხობის ნაყოფი იქნება ფართო დემოკრატიული კონსტიტუცია, რომელიც მიანიჭებს თანასწორ უფლებებს მუშასაც, საწყალ გლეხსაც და კაპიტალისტსაც; მეორე შემთხვევაში კი ნაყოფად დაგვრჩება ის „გაყვლეფილი“ კონსტიტუცია, რომელიც აბსოლიუტიზმზე არა ნაკლებ შესძლებს მუშების მოთხოვნილების გადაქელვას, რომელიც მიანიჭებს ხალხს მხოლოდ თავისუფლების აჩრდილს.

მაგრამ ამ ხელმძღვანელობის როლისთვის მუშათა კლასი უნდა მოეწყოს თვითმომქმედ პოლიტიკურ პარტიად. მაშინ მისთვის საფრთხო აღარ იქნება აბსოლიუტიზმთან ბრძოლაში ყოველგვარი ღალატი და გაცემა მისი დროებითი მოკავშირისა—საზოგადოებისა: იმ წუთიდან, როდესაც ეს „საზოგადოება“ გადაუდგება დემოკრატიის საქმეს,—მუშათა კლასი გაუძღვება ამ საქმეს წინ თავისი საკუთარი ძალით,—თვითმოქმედი პოლიტიკური პარტია მისცემს მას ამისთვის საჭირო ძალას.

ამხანაგებს

ძმანო მებრძოლნო, კვლავ ბრძოლა!
ლომგულს ვით გატეხს ტყვეობა,
პირიქით გვიორკეცდება
ვაჟკაცობა და მხნეობა!

რა სარდალია ან-კი ის
მცირე დაკოდვით ვინც დრკება
და მტრისა სისხლის მორევში
მამაცურადა არ კვდება!

ჩვენ როგორც მოვლენილები
სიმართლის მოციქულთა,
ვიბრძოლებთ სანამდის გული
[illegible] სრულადა.

ჩვენ ტყვეობის დროს ვისვენებთ,
ძალას ვუმატებთ ძარღვებსა,
რომ უფრო მედგრათ შევებათ
თვითმპყრობელობის მცველებსა!

ასე ვიბრძოლებთ, სანამდის
ხმა ჩვენი ყველას მიწვდება

სანამ მთლათ მუშად მკლავები
ბრძოლისთვის გამოიწრთობა.

მაშინ-კი ციხე-სიმაგრეს
ბასტილიის დღე ეწვევა
და ნიკოლოოზ მეორეს
ლუი კაპეტის დღეობა!

მაშინ დადგება ის ხანა,
რაც ჩვენ დროშაზედ სწერია:
შეერთდით ქვეყნის მუშებო,
და მით დათრგუნეთ მტერია!

ბრძოლა და ბრძოლა მედგარი
ეს ჩვენი წმინდა ვალია,
აწმყოს დაეცა თავ-ზარი,
ახლო ჩანს მომავალია!...

1901 წ. მეტეხის ციხე. ტუსაღი

---

*) აქ, რასაკვირველია, მხედველობაში არა გვყავს ის ინტელიგენცია, რომელიც უკვე უარყოფს თავის კლასს და სოციალდემოკრატთა დასში იბრძვის. მაგრამ ამისთანა ინტელიგენტები მხოლოდ გამონაკლისი არიან, და ბურჟუაზიის—„თეთრი ყვავები“ არიან.

ფარისევლობა, პირმოთნეობა და „გულითადი მზრუნველობა“.

საკვირველ მოვლენასა ვხედავთ დღეს რუსეთში. იმ რუსეთში, სადაც დევნა, ცემა, ციხეში ჩალპობა, სახრჩობელა, კნუტი და შტიკი ნაკურთხი საშუალებანია შეგნებული მუშის ყოველი მოთხოვნილების წინააღმდეგ, სადაც ორთავიანი არწივი ჰგლეჯავს ყველაფერ ცოცხალს, კონებრივს, წინმავალს, სადაც გაქელილია პიროვნება და გამეფებულია აზიური მტარვალობა, აქ, ამ რუსეთში აშკარად, მთავრობის ნებართვით ხდება მუშების კრებები, ლაპარაკობენ მუშების მდგომარეობის გაუმჯობესებაზე; მეცნიერების წარმომადგენლები—პროფესორები, კითხულობენ ამ კრებებზე ლექციებს, მიმოხილვებს, უცხოეთის მუშების მდგომარეობის აწერილობას... სადა ვართ მკითხველო? ნუ თუ რუსეთში? ნუ თუ ეს ფანტაზიაა, სიზმარია, ან ჭორი? არ, ჩემო მეგობარო, ჭორი კი არა—ყველაფერი ნამდვილია. ცენზურიანი გაზეთებიდანაც კი ვიცით, რომ, მაგალითად, წრეულს მოსკოვის მეხანიკური წარმოების მუშები სისტემატიურად იკრიბებოდენ მთელი ზაფხული და შემოდგომა. ამ გვარივე კრებები ხდება დღეს ქ. მინსკში და იქ ერთი წარმოების მუშები კი არა,—თითქმის ყველანი ესწრებიან: პრიკაშჩიკები, დურგლები, მკერვალები, სლესრები, მეჩოთქვები და სხვ.; ასეთივე კრებები იმართება ოდესაში, თუმცა იქ ჯერ კუჩრების მეტი არავინ ესწრება; ამგვარივე კრებები იმართებოდა ბაქოში წრეულ ზაფხულს და შესაძლებელია არც თბილისს მოაკლდეს ეს სიკეთე. აგრეთვე ვიცით ნამდვილად, რომ ამ კრებებზედ იმართებოდა კამათი მუშათა, მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, მომხმარებელ, დამხმარებელ და სხვა საზოგადოებათა დაარსებაზე მუშებ შორის; მოსკოვში კი რამდენიმე მწერალი და პროფესორი (ოზეროვი, ვორმსი, დენი, ჩუპროვიც-კი) პირდაპირ ხელმძღვანელობდენ ამ კრებებს. ისინი ლაპარაკობდენ მუშათა კლუბების მნიშვნელობაზე, მუშათა გიგიენაზე და სხვ. და სხვ. დიახ, ეს ყველა რუსეთში ხდება და ამ სინამდვილესთან ცოტა რამ არ არის გამოაშკარავებული, თორემ ასე საკვირველათ აღარ მივიღებდით ყველა ამას რუსეთშიაც კი. ჩვენ ვამბობთ იმაზე, თუ რამ გამოიწვია ყველა ამგვარი კრებები და სარჩულად რა უდევს ამ კრებებს, მაშ გამოვიძიოთ ამ მოვლენის მიზეზები.

იმ საზოგადოებაში, რომელიც დამყარებულია კერძო საკუთრებაზე, რომელიც დამყარებულია ერთი გროვა მდიდრებისაგან მთელი მილიონობით შეუძლებლების და მშრომელების დამონებაზე, არ შეიძლება მართველობა ერთგული მეგობარი და მოკავშირე არ იყოს ექსპლოატატორებისა, არ შეიძლება მართველობა არ იყოს ერთ-

გული დარაჯი მათი ბატონობისა. ამგვარი საზოგადოე-
ბაა დღეს რუსეთიც. ასი მილიონი ხალხის შრომით,
ტანჯვით, სიღარიბით იზრდება სიმდიდრე ერთი გროვე
მცარცველების. ასი მილიონი ხალხის დაბეჩავებით, და-
მონებით, უუფლებობით ცურაობს როგორც ყველი ერ-
ბოში ხროვა ზარმაცებისა და სხვისი შრომის მყლაპველე-
ბისა. და რომ ამგვარ წყობილებას სარბიელი ჰქონდეს,
რომ იგი არ დაილეწოს ძირიანად, რომ არ მოისპოს
ფუფუნება და ზარმაცობა ექსპლუატატორებისა, გაჭირ-
ვება და მორჩილება მილიონობით მშრომელისა, საჭი-
როა ძლიერი მართველობა, რომელიც ძალით და შიშით
შეძლებს გაამართლოს ყველა ის უწესოებანი, რომ დაი-
ცვას მდიდრების ბატონობა და მშრომელთა მორჩი-
ლება. მართალია ასეთი დარაჯობა არ შეიძლება მშვი-
დობიანათ, ნებაყოფლობით მოხდეს, მაგრამ რა გაეწყო-
ბა თუ კი მდიდრების ინტერესები მოითხოვენ,—მართვე-
ლობა არაფერ წინააღმდეგობას არ გაუჩერდება და სად
მშვიდობიანი სიტყვა არ გავა, იქ ბრძანებას იხმარს, სად
ნებაყოფლობა არ შეიძლება იქ ძალას მიმართავს და
მდიდრებს კი სამსახურს გაუწევს. მართველობა მით უფ-
რო გულმოდგინეთ მდიდრების დაცვის მოვალეობის აღ-
სრულებაში, რომ ეს თავის დაცვაც გამოდის. ხომ იცით
რომ ხელი ხელსა ჰბანს. მართველობა მტკიცედ არის
დარწმუნებული, რომ ბატონობა მდიდრებისა—მისი ბა-
ტონობაა, რომ გამარჯვება მუშა ხალხისა უქმდის მოს-
პობას მდიდრებსაც და მის მართველობასაც. და ეს რწმე-
ნა აცხოველებს მას თავის მოქმედებაში, ეს აიძულებს
რაც შეიძლება ბეჯითად და გულმოდგინეთ შეასრულოს
თავის როლი.

მაგრამ იმისთვის, რომ მართველობა საიმედო მცვე-
ლი იყოს მდიდრებისა, ჩვენ დროში არა კმარა მარტო
ზარბაზნები, შტიკები, მათრახები და ციხეები. უნდა ეც-
ადოს, რომ დაარწმუნოს ბოგანო მშრომელი ხალხი, რომ
ის, მართველობა, კლასებს გარეშე დგას, რომ ის ემსა-
ხურება არა მარტო ბურჟუაზიის და თავად-აზნაურობის
ინტერესებს, არამედ—სიმართლეს, რომ ის ზრუნავს დაი-
ფაროს სუსტნი და ღარიბნი ძლიერებისა და მდიდრები-
საგან და სხვ. თავის თავად იგულისხმება, რომ ამ გვარ
პოლიტიკას დაადგება ხოლმე მართველობა, თუ
გრძნობს რომ მის კლიენტებს, მდიდრებს, და ან თითონ
მას რაიმე განსაცდელი მოელით. და თუ ეს მიზეზი არ
არსებობს, მაშინ ხომ თავსაც არ იწუხებს ამ გვარი კი-
თხვებით და პირდაპირ მიაქვს სვე.

როდესაც გაცხოველებულმა მუშათა მოძრაობამ
კუდი მოუწვა მართველობას და თავისი დამახვრევის დღე
თვალწინ დაუყენა, ის გაორკეცებული სიმხნევით და
ოსტატობით შეუდგა თავის დახავსებული, დანგრეული
კედლების გამოშენებას. რას ამბობთ? აქ კითხვა არსე-
ბობაზეა დაყენებული და არსებობისათვის ხომ იცით,
უძლური ცხოველიც კი უწევს წინაამდეგობას თავის
მტერს. ხუმრობა ხომ არ არის:—თვითმპყრობელ რუ-
სეთს, რომელსაც ისეთი დიდი ძალა და მნიშვნელობა
აქვს ევროპის სახელმწიფოთა კონცერტში, როგორც
უშველებელს და ძლიერ სახელმწიფოს, მოელის განა-
დგურება, ბოგანო პროლეტარების მოძრაობისაგან? მის-
თვის აუცილებელია ჯერ ერთი, რომ დაიცვას თავისი
არსებობა და მეორე,—არ მოეჩვენოს ევროპის სახელმწი-
ფოთ ისე მახინჯათ და მტარვალათ, როგორც იგი ნამ-
დვილად არის, რადგანაც ეს სიმახინჯე და მტარვალობა
ევროპის ბურჟუაზიულ ქვეყნებისთვისაც კი სამარცხვინო
და ჩირქის მომცხობია. და ამ მიზნით თვითმპყრობელი
მართველობა, შეუდგა მასხარის როლის ასრულებას: ერ-
თის მხრივ ცდილობს ჩააჩუმოს შინაური მტერი და მე-
რე მხრით ცდილობს ევროპას თავი მოაჩვენოს როგორც
კეთილმოწყობილი და მშვიდობიანი სახელმწიფო.

ამრიგად დღევანდელი ჩვენი მართველობის წინ ორი
მწვავე კითხვა დგას: 1) როგორ შეათანხმოს შეუთან-
ხმებელი, როგორ მოახერხოს, რომ თვითმპყრობელობაც
დაიცვას და ხალხიც გააჩუმოს და შეურიგოს ამ თვით-
მპყრობელობას და 2) როგორ მოაწყოს თავის ქვეყნის
საზოგადო საქმეები იმ გვარად, რომ თვითმპყრობელობა
ევროპის ბურჟუაზიულ მართველობათაც არ
ეჩხირებოდეს თვალში, როგორც მახინჯი და მათთვის,
როგორც მეზობლებისათვის, სამარცხვინო ლაქა. ეს კით-
ხვები მისი არსებითი კითხვებია. ამ კითხვების გადაწყვე-
ტაზეა დამოკიდებული მისი სიცოცხლე. ეჭვი არ არის
რომ თვითმპყრობელობა ერთ წუთსაც არ იფიქრებს მა-
ზედ, რომ თავის ქვეშევრდომთ მიანიჭოს რაიმე პოლი-
ტიკური უფლებები, მისცეს საზოგადოებას თვითმოქმედე-
ბა, ეს ნიშნავს დანგრევას, მოსპობას თვითმპყრობელობისას,
რომლის პრინციპია: „ჩემი ხელი—ყველას ბატონია“,
რომელსაც პრეტენზია აქვს ყველა „დაიცვას“, ყველას
აპეკუნობა გაუწიოს, რომელიც არავის აძლევს ნებას
„იქონიოს თავისი აზრი“. ესეთი მართველობის არსე-
ბობა მხოლოდ ქვეშევრდომთა უუფლებობაზე და მორ-
ჩილებაზე შეიძლება იყვეს დამყარებული. მხოლოდ ხალ-
ხი, შეშინებული და დაფთხალი, გაქცლილი აუტანელი
გაჭირვებით და შემავიწროებელი შრომის უღელით,
რომელიც ვერა ხედავს გასავალს თავის უიმედო მდგო-
მარეობიდან და რომელიც, ამიტომ, თავის ნუგეშს ამყა-
რებს თავის ძალაზე კი არა,—„ღმერთზე და ხემწიფეზე“,
მხოლოდ ესეთი ხალხი შეიძლება გამოადგეს თვითმპყრო-
ბელ მართველობას მტკიცე ნიადაგად.

მაგრამ რუსეთის ხალხზედ თუ აქამდე შეიძლებოდა
გვეთქვა, რომ ის მტკიცე ნიადაგი იყო თვითმპყრობელო-
ბისათვის, დღეს ეს აღარ შეგვიძლიან ვთქვათ. უკანას-
კნელი ხნის ცხოვრების განვითარებამ ძირეულად შეს-
ცვალა რუსეთშიც მცხოვრებელთა შეხედულობანი. აქამდე
მიჯაჭვული მონობის და ბატონყმობის ჯაჭვით, აქამდე
დაძინებული საუკუნოების ძილით რუსეთის ხალხი,
ილვიძებს, თვალებს ახელს და ცდილობს ეს ჯაჭვი სრუ-
ლიად ჩამოიცილოს კისრიდან. რუსეთის მუშამ პირველმა
გაიღვიძა ამ საუკუნოების ძილიდან და თავის გაღვიძე-
ბასთან ერთად მიეტია მამაცათ თავის მტერს თვით-
მპყრობელობას. მუშათა მოძრაობამ თავის მსვლელობაში
გამოააშკარავა ის საშინელი სნეულება, რომლითაც მთე-
ლი რუსეთის ხალხი არის დაავადებული. ის საშინელი
ქაობი, რომელიც აქამდე შეტბორებული იდგა და გა-
რედან დიად სურათს წარმოადგენდა, მუშებისაგან გადა-
სროლილი ქვით შეინძრა, აღელდა და თან ზევით ამო-
იტანა თავის სიმყრალე, თავისი მომწამვლელი თვისება-
ნი. თვითმპყრობელობას ჩამოეცალა ნიღაბი მცხოვრე-
ბელთა ინტერესების მცველისა და ხალხის წინ გაჩერდა
როგორც მისი სისხლის მწოველი, მათი შემავიწროებე-
ლი, მათი მტარვალი. და თვითმპყრობელობაც შეშინე-
ბული ამ მოძრაბით, დამფთხალი იმ შთაბეჭდილებით რო-
მელსაც იგი ახდენს მცხოვრებლებზედ თავის მოქმედებით,
გაფაციცებით შეუდგა ახალი ნიღაბის ჩამოფარებას. ის
ეხლა ყოველ ღონისძიებასა ხმარობს, რომ არ მოეჩვენოს
მცხოვრებელთ ისე საშინლად როგორც ნამდვილად არის.
მთელ თავის მეცადინეობას იმას ანდომებს, რომ ხალხის
გონება კუკუმეთ წყვდიადში იმყოფებოდეს, რომ არავი-
თარი სხივი სინათლისა მას არსაიდგან შემოეპაროს. ამაშია
მისი ხსნა. მხოლოდ ხალხის თვალების ახვევით შეუძლიან
ეხლა მას არსებობა.

რადგან მუშათა მოძრაობა გახდა თვითმპყრობელო-
ბისთვის უმთავრეს საფრთხობელად, მართველობაც გან-
საკუთრებით ამ მოძრაობის ჩაქრობას ცდილობს. რაკი
მხეცური ძალდატანებით და დევნით ვერას გახდა რა, ის
ეხლა ცდილობს ფარისეველობით და პირმოთნეობით შეა-
სუსტოს მოძრაობა, მოათავსოს თვითმპყრობელობაში.
მეტად საინტერესოდ მიგვაჩნია ეს ფორთხვა და ხავსის
ჭიდება სასიკვდილოდ განმზადებული წყობილებისა და
ამიტომ მეტი არ იქნება თუ მკითხველს გავუზიარებთ
მოკლედ ამ ფარისევლური პოლიტიკის ისტორიას.

1898 წელს მოსკოვის პოლიცმეისტერმა ტრეპოვმა
გენერალ გუბერნატორს წარუდგინა ჟანდარმების უფრო-
სის ზუბატოვის მიერ შედგენილი ვრცელი მოხსენება,
სადაც არა ჩვეულებრივი (კანცელარიულ მოხსენებისთვის)
სინამდვილით აღნიშნულია მუშათა მოძრაობის შინაარსი,

მთელი მეცნიერული სოციალიზმი დასაბუთებული თეორიით და პრაქტიკით. იქ აღნიშნულია აუცილებლობა მუშათა მოძრაობისა და რწმენა, რომ დღევანდელ სახელმწიფოთ საზოგადოთ და რუსეთის თვითმპყრობელობას კერძოდ განსაცდელი მხოლოდ აქედან მოელისთ. მოხსენების ავტორის მოსაზრებით ბრძოლა ამ მოძრაობასთან უპირველესი მოვალეობაა მართველობისა, თუ მას სურს შეირჩინოს თავისი ფორმა და ბატონობა; მაგრამ გამოთქმულია ეჭვები, რომ მოქმედება იმ საშუალებებით, რომლებსაც დღეს მართველობა ადგია მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ, მიზანს ვერ მიაღწევს. სისატიკე—ციხეში დამწყვდევა, გადასახლება, ცემა—მუშათა მოძრაობას არამც თუ არ მოსპობს, წინააღმდეგ უფრო განაცხოველებს. ამიტომ ერთად ერთი საშუალებაა მისი აზრით ნაყოფიერი დაუცადი, ეს გაქარწყლება მოძრაობის რევოლიუციონური ხასიათისა. მართველობა უნდა ეცადოს მუშათა მოძრაობა მოათავსოს თავის ფარგალში. მისცეს მას „კანონიერი" მიმართულება და შეურიგოს არსებულ წყობილებასთან. და ამას მიაღწევს მთავრობა, თუ ის სიმკაცრის მაგიერად მიმართავს ოსტატობას. საჭიროა მისი აზრით მართველობა გამოდიოდეს მუშათა ინტერესების დამცველად. უნდა ჰპირდებოდეს რაც შეიძლება ბევრს, დაუკმაყოფილოს ზოგიერთი ადვილად ასასრულებელი და მთავრობისათვის უხიფათო მოთხოვნილებანი მუშებს, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ ასრულება ამ მოთხოვნილებისა წინ უნდა უძღოდეს თვით მუშების მოთხოვნას. ამითი მოისპობა გაფიცვები და არეულობანი, საჭიროა მართველობამ დართოს ხოლმე ნება აშკარა კრებებისა და იქ სჯა-ბაასისა კანონიერი სახით, ამით ისპობა არა ლეგალური კრებები და გარდა ამისა მართველობას შემთხვევა ეძლევა მოაშოროს მუშებს დატუსაღებით ყველა ის ამხანაგები, რომლებიც ამ ნება დართულ კრებებზე გამოირჩევიან თავიანთი კლასობრიული შეგნებით და რევოლიუციონური მისწრაფებით. საჭიროა დაუარსოს მუშებს „კლუბები", სადაც იგინი იკითხავენ მხოლოდ მართველობის მომხრე გაზეთებს და მოისმენენ ზნეობრივ და სარწმუნოებრივ ბაასს პოლიციის აგენტებისას და სხვ. ერთი სიტყვით ზუბატოვი ურჩევდა მართველობას მოაჩვენოს მუშებს თავი მფარველად და იმავე დროს არაფერი შეუსრულოს (რადგან შესრულება მუშების ამა თუ იმ მოთხოვნილებისა ნიშნავს თვითმპყრობელობის კედლების დანგრევას). ამგვარი პოლიტიკით მართველობა მიაღწევს თავის მიზანს: მოსპობს მუშების უმრავლეს ნაწილში რევოლიუციონურ მიდრეკილებას, რადგანაც მისცემს საშუალებას „კანონიერი" გზით მოქმედებისას თავის ინტერესების ვითომდა დასაცველად *).

ამ მოხსენებამ დიდი სახელი მოუპოვა ზუბატოვის ნიჭს და თუ აქამდე მთელ რუსეთში არ იყო გავრცელებული და მიღებული, როგორც სახელმძღვანელო, მისი პოლიტიკა,—მხოლოდ იმიტომ, რომ პოლიციის დეპარტამენტი არ იყო მტკიცედ დარწმუნებული ამ პოლიტიკის უცადობაში, მას ძალიან დიდი წარმოდგენა ჰქონდა თავის ძალაზე და რწმენა, რომ თავისი მხეცური ძალით, ჟანდარმ-შპიონების, მათრახ-შტიკების შემწეობით სულ ადვილად მოუღებს ბოლოს ყოველგვარ რევოლიუციონურ მოძრაობას და მთელი რუსეთის რევოლიუციონერ სოციალდემოკრატებს ერთ მშვენიერ დღეს ციხეში ამოაყოფინებს თავს. მაგრამ სინამდვილემ, ცხოვრებამ მწარედ გაუცრუა იმედი ზვოლიანსკის (პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი) და მისმა მეცადინეობამ მხეცური საშუალების დახმარებით მხოლოდ მისი უძლურება დაანახვა.

შარშანდელმა ხარკოვის მუშების მაისობამ თავგზა აურია პოლიციას. ის ხედავდა რა საშინელება მოელის მთელ რუსეთის წყობილებას სულ ახლო მომავალში. იმ გვარ დღესასწაულებსა და გამწვავებულ რევოლიუციის შუა ხომ დიდი მანძილი აღარ არის? ის ხედავდა სოციალდემოკრატების მზადებას მაისობისთვის და ათრთოლებული შიშისაგან ეხეთქება აქეთ იქით შველის ხვეწნით. მარტის პირველ რიცხვებში მართველობამ მოიწვია პეტერბურგში გუბერნიის საფაბრიკო ინსპექტორები, როგორც ადგილობრივი პირობების უკეთესი მცოდნენი. დანიშნა კრებები ამ ინსპექტორებისგან ზვოლიანსკის თავმჯდომარეობით და დაუყენა წინ კითხვა: რას ურჩევთ თვითმპყრობელობას, რა გზას დაადგეს იგი და რა საშუალებას მიმართოს მან, რომ შეაჩეროს მუშათა რევოლიუციონური მრისხანე მოძრაობა საზოგადოთ და პირველი მაისობის დღესასწაული განსაკუთრებით? საფაბრიკო ინსპექტორებმა, ამ მორჩილმა ლაქიებმა მდიდრებისა და მართველობისამ, ნუგეში სცეს თვითმპყრობელობას, დაამშვიდეს და დაარწმუნეს, რომ საქმე ეგრე საძნელო არ არის და ეგრედ წოდებულ მუშათა მოძრაობას სულ ადვილად ჩააქრობს მართველობის ძალა. თუმცა ზუბატოვის პოლიტიკის თანამოზიარენი სკეპტიკურად აქნევდენ თავს, მაგრამ ამ შპიონ-პროვოკატორების კრებამ ერთხელ კიდევ მიიღო გადაწყვეტილება ზვოლიანსკის მიერ წარმოდგენილი: დაადგეს მართველობა მკაცრ და რეპრესიულ საშუალებებს მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ. დაეტუსაღებინათ პირველ მაისის წინ ყველა—ინტელიგენტი და მუშა, თუ კი რამ, გინდ ძალიან შორეული დამოკიდებულება ექნება მუშათა მოძრაობასთან, გადასახლებით დაქსაქსონ უსაზღვრო იმპერიაში შეგნებული მუშები და ამით უეჭველია შეასრულებენ წადილს: შეუძლებლად გახდიან მაისობის დღესასწაულს.

აღარ დარჩა აღარც ერთი კუთხე მთელ რუსეთში, რომ მაისობის წინ არ გადაებრუნებინათ. დიდ ცენტრებში, როგორც მაგ. პეტერბურგში, ძვირად შეხვდებოდით სახლს, რომელიც არ გაეჩხრიკოთ და იქიდან არ დაეტუსაღებინათ ვინმე. ატუსაღებდენ ინტელიგენტებს, მუშებს, კაცებს, ქალებს, ლიტერატორებს, პროფესორებს, მოსწავლეებს... არ გადაურჩათ თფილისიც და რას არა შერებოდენ, ვის არა ჩხრეკდენ და ვის არ ატუსაღებდენ მარტსა და აპრილში მკითხველმა კარგა იცის. მაგრამ რამდენად ნაყოფიერი გამოდგა ეს საშუალება დესპოტიური მართველობისათვის - თვით ფაქტებმა დაანახვა. მიუხედავად ამ მკაცრი დევნისა თითქმის ყველა ქალაქში იუქმეს პირველი მაისობა და ბევრში აშკარა დემონსტრაციებიც გაიმართა (თფილისი, პეტერბურგი, ვარშავა, სიმფეროპოლი და სხვ.)

ყველა ამ შემთხვევების შემდეგ მთავრობა უეჭველია უნდა ღრმად ჩაფიქრებოდა თავის საჭირბოროტო კითხვას და გამოეძებნა რაიმე საშუალება მოძრაობის შესასუსტებლად. მაისის დამლევს იგივე საფაბრიკო ინსპექტორები ზვოლიანსკისავე თავმჯდომარეობით მართველობას ურჩევენ დაადგეს სისტემატიურ ფარისევლობის პოლიტიკას: მუშათა მოძრაობა მოათავსოს თვითმპყრობელობის ფარგალში, დართოს ნება მუშების კრებებისა, დამხმარებელ და მომხმარებელ საზოგადოებებისა, ჩაის სასმელი სახლებისა და სხვ. და სხვ. ყველა ეს არაფერ ზიანს მოუტანს მართველობას, რადგან ყველაფერი მოხდება ადმინისტრაციის (ჟანდარმების) ნება დართვით და მისი პირდაპირი ხელმძღვანელობით და რასაკვირველია, ამ პირობებში არავითარი კრებები და საზოგადოებანი არ იზრუნავენ მუშების ინტერესებისთვის. იქ შესაძლოა ბევრი ილაპარაკონ, ბევრ რამეს დაჰპირდენ მართველობის ჩინოვნიკები, შეიძლება „მეცნიერების" წარმომადგენლებიც დაეხმარონ თავის ლექციებით' სხვა და სხვა საგნებზე საუბარით; ყველა ეს მუშებს თავგზას აუბნევს, დღევანდელ წესწყობილებას სამოთხეთ მოაჩვენებს და ხელში კი მხოლოდ საპნის ბუშტი დარჩებათ. ამ გვარად ძალიან შესუსტდება რევოლიუციონური მოძრაობა და სხვა და სხვა. ამ პოლიტიკის ნაყოფმაც არ გვალოდინა დიდხანს: როგორც წერილის თავში ვთქვით მრავალ ადგილას იმართება დღეს ეს „თავისუფალი" კრებები და მოსალოდნელია, შემდეგში უფრო და უფრო გავრცელდეს ეს მზრუნველობა თვითმპყრობელობისა.

---

*) იხ. Треповъ—«Докладъ о рабоч. движеніи».

მართველობა, რომელიც დამყარებული არ არის თვით ხალხის მონაწილეობაზე სახელმწიფო საქმეების მართვა გამგეობაში, დამყარებული უნდა იყოს ერთის მხრით მხეცურ ძალაზედ და მეორე მხრით ტყუილზე, ფარისევლობაზედ და პირმოთნეობაზედ და უკანასკნელი ოცი წლის ცხოვრება რუსეთის თვითმპყრობელობისა აშკარად გვიმტკიცებს ამას.

ეს ოცი წელიწადია, რაც მუშათა კანონი ერთიმეორეს მოსდევს, მაგრამ თავის განვითარებაში ამ კანონებს საოცილო ცვლილებანი ემართება. ჩვეულებრივად საქმე ასე ხდება: მუშების ძლიერი უკმაყოფილება, ხშირად არეული ბუნტება, აიძულებენ მართველობას გამოსცეს „მორუნველის სახელით" მონათლული კანონები. მიდის დრო და ეს კანონები იზლუდებიან, მოკლდებიან და ბოლოს და ბოლოს სრულიად ჰკარგავენ თავის მნიშვნელობას და ხშირად სრულებითაც ბათილდებიან. ალექსანდრე მესამის მართველობა 80 წლების დასაწყისში სოციალისტების გახშირებულმა აგიტაციამ აიძულა დაერსებინა საფაბრიკო ინსპექტორები. დანიშნულება ამ ინსპექტორებისა თავდაპირველად ის იყო, რომ ეშუამდგომლათ მუშებსა და ხაზეინებ შორის, დაეცვათ მტკიცეთ საფაბრიკო კანონები, გამოექვეყნებინათ თავიანთი მოქმედების ანგარიშები, მდგომარეობა მუშებისა და სხვ. და სხვ. დაიწყეს მოქმედება ინსპექტორებმა, გავიდა სულ ორი წელიწადი და მართველობას ეცვალა ფერი, ცოცხლად დაფაცურდა, რომ ჩქარა გაესწორებინა თავისი შეცდომა. აბა სად გაგონილა რუსეთში გამოქვეყნება იმ ამბებისა, რასაც ინსპექტორები აცხადებენ თავის ანგარიშში, ხომ გადაირია შიშისაგან მთელი საზოგადოება, როცა წაიკითხავს მუშა ხალხის ამდენ გაჭირვებას? განა შესაძლებელია მუშების მდგომარეობაზე აშკარად ლაპარაკი? და, რასაკვირველია ათასგვარმა „დროებითმა წესებმა", სხვადასხვა კერძო ცირკულიარებმა დიდხანს არ ალოდინეს საფაბრიკო ინსპექტორები. სულ მცირე ხნის შემდეგ საფაბრიკო ინსპექტორი გადაიქცა პოლიციის აგენტად, ხაზეინის ადვოკატად და მუშების „ნაჩალსტვოდ". შესანიშნავმა გაფიცვამ მოროზოვების ფაბრიკებში (1885 წ.) გამოაცემინა მთავრობას შტრაფების კანონები. 1896 წ. პეტერბურგის გაფიცვებმა აიძულეს სამუშაო დროს შემოკლება (2 ივნისის კანონი) მაგრამ ყველა ეს კანონები, გამოცხადებული ოფიციალურად სრულიად ბათილდებიან მრავალი წესების და ინსტრუქციების გამოცემით, სადაც სულ წინააღმდეგი მნიშვნელობა ეძლევა ამ კანონებს. და ამგვარი პოლიტიკით თვითმპყრობელობას სურს შეირჩინოს თავისი ძლიერება, დაიმკვიდროს არსებობა. ამით უნდა მოაჩვენოს ევროპას თავი, როგორც ხალხისთვის მზრუნველმა მართველობამ და თვით ამ ხალხს კი აუხვიოს თვალები, მოაჩვენოს თეთრი შავად, გაჭირვება—ბედნიერ ცხოვრებად. და აქამდე, უნდა ვსთქვათ, რომ ამგვარ ალაყ მალაყს თვითმპყრობელობისას რუსეთის ცხოვრებაში დიდი გასავალი ჰქონდა. მონა-მორჩილი გაზეთები უკმევდენ საკმეველს ყოველ მის ახალ ბრძანებაზე, აჰყავდათ ცამდე მისი გულკეთილობა და ვერ გამოეთქვათ ის სიხარული და ნეტარება, რომელშიაც რუსეთის მცხოვრებლნი უნდა ჩაცვივნულიყვნენ მთავრობის კეთილი მზრუნველობით, და გათამამებული ამ ხალოპების ტაშის კვრით, მიდიოდა წინ და წინ თავის სამასხარო როლში. მკითხველს უეჭველია ახსოვს ის შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა რუსეთსა და ევროპაში ნიკოლოოზ მეორის რესკრიპტმა შეიარაღების გაუქმებაზე. გახსოვთ როგორ აყაყანდა მთელი ჟურნალ-გაზეთობა, როგორ აქებ-ადიდებდნენ თვითმპყრობელის კაცთ-მოყვარეობას, მშვიდობის მოყვარეობას? და არავინ კი იმაზე ხმას არ იღებდა, რომ სწორედ ამ რესკრიპტის გამოცხადების მეორე დღეს ცარსკოე სელოში შვიდი ათასი იუნკერი ოფიცრებათ დალოცა, ორი კვირის შემდეგ სამხედრო გემების, ზარბაზნების და სხვა საომარ იარაღის შესაძენად 500 მილიონი მიუმატა დადგენილ ხარჯს სამხედრო სამინისტროსას, ისედაც დიდს და ხალხისთვის შემავიწროებელს; და ერთი თვის შემდეგ სევასტოპოლში მანევრების დროს სალდათებს მიმართა შესანიშნავი სიტყვებით: „სალდათები გალესილი შტიკებით და ხმლებით იყვნენ წარსულში, არიან აწმყოში და იქნებიან მომავალში რუსეთის ძლიერებისა და კეთილდღეობისათვისო". უეჭველია გაგეგონებათ ისიც, რომ მართველობამ დიდის განგაშით გამოაცხადა: ხალხში ლოთობის მოსასპობათ უნდა შემცირდეს არყით ვაჭრობა და ეს ვაჭრობა უნდა გადავიდეს თვით მართველობის ხელშიო. ამით მოუსპო ათასობით ვაჭრებს ლუკმა პური, გახდა თვითონ მიკიტნად და ამ მიკიტნობით კი ყოველ წლივ 600 მილიონ მანათს წმინდა მოგებას იჩხრიალებს... ამას ჰქვიან ლოთობის მოსპობა!

აი სულ ახალი ამბავია. სტუდენტების აღელვებამ და მისგან გამოწვეულმა საზოგადოების ოპოზიციონურმა მოძრაობამ მთავრობა ჩააყენა იმ მდგომარეობაში, რომ უკან წაალებინა თავისი „დროებითი წესები" (სტუდენტების სალდათებათ გაგზავნის შესახებ) და გამოსცა უმაღლესი რესკრიპტი, სადაც ჰპირდებოდა სწავლის ძირეულად შეცვლას და „გულითად მზრუნველობას" მოსწავლეებზე. არ გაუვლია სულ რამდენსამე კვირას, რომ ცირკულიარი ცირკულიარს მოჰყვა, ათასგვარ შევიწროებაზე სწავლა-განათლებაში (შემცირება ებრაელთა რიცხვისა, განსაზღვრა მოსწავლეებისა უნივერსიტეტებში, შემოღება ეგრედ წოდებული რაიონებისა მოსწავლეებზე, გადიდება და ვალდებულება სწავლის ფულისა და სხვ. და სხვ.).

ერთი სიტყვით ეს მასხარული „გულითადი მზრუნველობის" პოლიტიკა გახდა რუსეთის მართველობის სათამაშოთ და ამით სურს აუბნიოს შეგნებულ ნაწილს საზოგადოებისას გზა-კვალი. სწორედ ამ „გულითადი მზრუნველობის" პოლიტიკის ნაყოფია ყველა ზემოხსენებული ნება დართული კრებები მუშებისა. მაგრამ ტყუილი მეცადინეობაა: რუსეთის მუშა თუ დღეს სრულიად არა, სულ ახლო მომავალში აშკარად დაინახავს, რომ ამ „მზრუნველის" ნიღაბ ქვეშ იფარება მგელი კრავის ტყავში და მაშინ ანგარიში სულ უბრალო იქნება. სფინქსის კითხვა „გამომიცანი თორემ ჩაგყლაპავო", რუსეთის მართველობას დაუდგება ამ ფორმით: „დამემორჩილები, თუ არ დამემორჩილები მაინც გაგანადგურებო!" დიახ, რევოლიუციონური პროლეტარიატის მწყობრი ძალა მოსპობს თვითმპყრობელ მართველობას და მით იხსნის საშინელი ბორკილებიდან ადამიანის უფლებებს, პიროვნების ღირსებებს და შემდეგ ამ საშუალებებით მოსპობს თვით ექსპლუატაციასაც და დაამყარებს ქვეყნად საყოველთაო ბედნიერებას.

მუშათა მოძრაობა კავკასიაში 1899—1901 წ.

გასაოცარი ამბავი მოხდა ჩვენს ქვეყანაში ამ ორიოდე წლის განმავლობაში. 1899 წელს 19 აპრილს სულ სამოცდა ათი-ოდე მუშამ, რომელიც ქალაქ გარეთ წითელ დროშის ქვეშ ფარულათ თავი მოიყარეს, მტკიცეთ შეფიცეს ერთმანეთს, შევერთდეთ, შემოვიერთოთ ყველა ჩვენი მოძმენი და ჩვენს საერთო მტერს—ბურჟუაზიას და მთავრობას—მედგრათ შევებრძოლოთო.

ერთი წლის შემდეგ, 1900 წ. ისევ 19 აპრილს, ეს სამოცდაათი-ოდე მუშა უკვე ოთხას-ხუთას მუშათ გაზრდილიყო და აი ამათაც, ისევ ქალაქ გარეთ წითელ დროშის ქვეშ თავმოყრილთ, კიდევ უფრო მტკიცეთ შეფიცეს ერთმანეთს ძმობა, ერთობა და მტერთან თავგანწირული ბრძოლა.

კიდევ ერთი წლის შემდეგ, 1901 წ. 22 აპრილს ოთხას-ხუთასიოდე მუშას უკვე ორი ათასამდე ემარტყნით. ეს უკვე მთელი ჯარი იყო! ესენი თავს აღარ იფარვენ ქალაქ გარეთ, შიგ შუა ქალაქში გამოდიან მოედანზე. იმავე წითელ დროშით ხელში, და უკვე საბრძოლველათ იწვევდენ რა მტერს, ხმა-მაღლა,

ყველას გასაგონათ, გასძახიან: „გაუმარჯოს პოლიტიკურ თავისუფლებას! ძირს მტარვალობა! გაუმარჯოს რვა საათის სამუშაო დღეს"! და სხვ....

დახეთ თავხედობას! სულ რაღაც ორიოდე წლის ნორჩი მუშათა ორგანიზაცია ბრძოლის ველზე იწვევს საუკუნოებით განმტკიცებულ ორგანიზაციის მთავრობას!.. მაგრამ სანამ ამ «საოცარ" მოვლენას განვიხილავდეთ, ჯერ მოკლეთ მაინც გავითვალისწინოთ, რას წარმოადგენდა ჩვენი ქვეყანა ამ ორიოდე წლის წინათ.

იმ დროს ჩვენი კავკასიასთანა ცხვარივით მშვიდი და წყნარი კუთხე თითქმის მეორე არ მოიძებნებოდა მთელ რუსეთის იმპერიაში, კავკასიელებზე უფრო ერდგული და „კეთილ საიმედო" ქვეშევრდომები მთავრობას არსად სხვაგან არ ეგულვებოდა მთელ თავის ვეებერთელა სამფლობელოში. მთავრობა ყველაფერ უბედურებას წამოიდგენდა, მაგრამ თუ როდისმე მას კავკასიაც ურჩობას გაუწევდა, ამას-კი არაფრის გულისთვის არ დაიჯერებდა. საბუთიც ქონდა მას ასე დაიმედებული ყოფილიყო კავკასიაზე: თვითონ ეს ქვეყანა აძლევდა ასეთ საბუთს: მთელ ამ მხარეს მონურათ მიეხარა ქედი მთავრობის წინ და, მიეშვირა რა მისთვის ზურგი, თითქოს ეუბნებოდა: რამდენიც გნებავს იმდენი ტყავი აძრე ზურგზეო; რამდენიც გენებოს, იმდენი სისხლი ამოსწოვე ძარღვებიდანაო. მთავრობაც არხეინათ აძრობდა ტყავს, წუწნიდა სისხლს. მართალია აქა-იქ, კანტი კუნტათ, ზოგიერთ „მამულიშვილების" დრტვინვაც მოისმოდა სამშობლოს ასეთ ბედშაობაზე, მაგრამ ეს დრტვინვა იმდენათ ყრუ და სუსტი იყო, რომ მთავრობა აინუშიაც არ მოსდიოდა, ყურს იყრუებდა, თითქო არც-კი ესმოდა არაფერი. მას არც ოდნავაც არ ეშინოდა ჩვენი მამულიშვილების წინააღმდეგობისა და არც ამაში ცდებოდა: ჩვენი „პატრიოტების" დრტვინვა ისედაც სუსტი, თანდათან კიდევ უფრო სუსტდებოდა და ბოლოს საქმე იქნამდის მივიდა, რომ ეს სასიქადულო ძენი სამშობლოსანი თავს ანებებენ წუწუნსაც-კი და, ასე წარმოიდგინეთ, გლახაკებივით ღრეჯით და ლიქნით ემუდრებიან მთავრობას: ღვთის გულისათვის შეგვიბრალე და მოწყალება მოიღეო. მთავრობამაც „მამობრიულათ" დაუწყო თავზე ხელის სმა ამ თავის ერდგულ ქვეშევრდომებს, ის სიტყვით, რასაკვირველია, პირდება მათ ყოველნაირ მოწყალების მოღებას, მაგრამ საქმით კი, მოწყალების რა მოგახსენოთ, და ბოლოს-კი დღითი დღე ეუბნებს მათ სამშობლოს წინანდელზე უფრო გულმოდგინეთ.

არც სხვა მხრივ წარმოადგენდა კავკასია მთავრობისათვის რაიმე საფრთხეს. მართალია ათასში ერთხელ რკინის გზის დეპო-სახელოსნოში ან რომელიმე ქარხანაში მუშები გაფიცვას მოახდენდენ ხოლმე, მაგრამ ეს ხოლოდ ათასში ერთხელ ხდებოდა და ამასთან, მუშებს ფიქრათაც არ მოსდიოდათ მთავრობასთან გაეწიათ წინააღმდეგობა. მათ მხოლოთ ხაზეინებთან ქონდათ საქმე, მხოლოთ ლუკმაპურისთვის იბრძოდენ, ხოლო მთავრობისაგან რაიმე უფლების მოთხოვნა არც კი იცოდენ, რა ხილი იყო.

ერთი სიტყვით, პოლიტიკური მხრით მთელი კავკასია სადათას ძილს მისცემოდა, სამარისებურ მყუდროებას და უმოძრაობას მოეცვა იგი, არ ისმოდა «არსაიდან ხმა, არ სით ძახილი!» ღრმათ ეძინა მთელ კავკასიას და კიდევ უფრო ღრმათ ჩასძინებოდათ მის გუშაგებს რაც მთავრობას ყოველ შემთხვევისათვის დაეყენებია აქ მშვიდობიანობის დასაცველათ. არხეინათ იყვენ ეს ვაჟბატონები და არხეინათ იყო კავკასიის შესახებ თვითმართველობაც, მტკიცეთ დარწმუნებული, რომ ეს მხარე მაინც არ გაუხდებოდა სახათაბალოთ, აქ მაინც ვერ იჩენდა თავს ის ხალხის უკმაყოფილება, რომელიც თვით რუსეთში თანდათან ძირს უთხრიდა მას და რომლის მოსპობასაც ალევდა მთელ თავის ძალას.

მაგრამ დახეთ ბედის მუხანათობას! აკი მან აქაც უტყუნა «საბრალო» მთავრობას! უეცრათ მოხდა თავზარდამცემი ამბავი. 1899 წ. 19 აპრილს ერთბაშათ, ერთი დაკვრით, დაირღვა ის საზარელი მყუდროება, რომელიც ხალხს ძილს გვრიდა მთელ კავკასიაში. ერთბაშათ შეინძრა და გაიპო ის დამღორებული ჰაერი, რომელსაც მთელი ეს ქვეყანა მოეცვა. და შიგ, თუმცა ყრუთ, მაგრამ საკმაოთ მედგარად გაისმა ხმები: «კავკასიის მუშებო შეერთდით! გაუმარჯოს თავისუფლებას, 8 საათის სამუშაო დღეს» და სხვ. რა ამბავი მოხდა ეს? საიდან მოისმა ეს უცნაური და საშინელი ხმები? ეს სწორეთ იმ 70-ოდე მუშის ხმები იყო, რომელნიც ქალაქ გარეთ შეკრებილნი, წითელი დროშით ხელში, შეერთებისა და ბრძოლისაკენ იწვევდენ ერთმანეთს და რომლებიც შემდეგ წელს ოთხას-ხუთას მუშათ გადიქცენ, ხოლო მესამე წელს კი ორიათსს აღემატენ.

ასე აღმოცენდა უკმაყოფილების თესლი ჩვენს უწყინარ ქვეყანაშიც კი! ასე ამოცურდა «ურჩობის» გრძნობა ამ ყურმოჭრილ მორჩილ მონის გულიდანაც კი! აღმოჩნდა, რომ ეს გრძნობა ჩუმათ, თურმე იზრდებოდა და ფრთებს იშლიდა თვით ხალხის გულის სიღრმეში სწორეთ იმ დროს, როდესაც „მთელი კავკასია" მონურ გრძნობებს და სრულ მორჩილებას უცხადებდა მთავრობას; სწორეთ ამ დროს თურმე ხალხის წიაღში ფარული მოძრაობა და დუღილი წარმოებდა, უკმაყოფილების და წინააღმდეგობის თესლი იფურჩქნებოდა!

საიდან წარმოიშვა ხალხის გულში ეს საოცარი თესლი, ეს უცნაური გრძნობა, ეს საკვირველი დუღილი და მოძრაობა? სად იყო ყოველივე ამის სათავე? ამის სათავე თავდაპირველათ, რასაკვირველია, თვით ქალაქის მუშა ხალხის ცხოვრებაში იმყოფებოდა. დღეს ყველასათვის ცხადია, რომ ქალაქის ანუ მრეწველობის მუშათა ცხოვრების პირობები ყოველ მხრივ ხელს უწყობენ მუშათა შორის ერთობის და მათ მიერ თავისი ინტერესების შეგნებას; თვით ცხოვრება და მრეწველობის განვითარება აშკარავებს მუშათათვის იმას, თუ რა აბეჩავებს მათ, ვინ არის მათი ნამდვილი მტერი, ვინ ყვლეფავს მათ და ვისთან მართებთ ბრძოლა. მაგრამ დიდათ შევცდებოდით, თუ ვიფიქრებდით, რომ თბილისში, საცა პირველათ გაჩნდა კავკასიის მუშათა მოძრაობა *) მხოლოთ ცხოვრების და მრეწველობის განვითარებას წარმოეშვას ეს მოძრაობა. ყოველ შემთხვევაში ეს არ შეგვიძლია ვთქვათ იმ მოძრაობაზე, რომელიც ჩვენში უკვე შეგნებულათ და მწყობრისათ, ანუ ორგანიზაციულათ, დაიწყო, და არა სტიქიონურათ და არეულათ. ხოლო მუშათა მოძრაობას იმ წუთს, რა წუთიდანაც ჩვენ ვიწყებთ მის განხილვას, ე. ი. 1899 წ 19 აპრილს, უკვე შეგნებული სახე ეღვა და განსაზღვრული ორგანიზაცია ქონდა. აი სწორეთ ამ ორგანიზაციის, ამ შეგნების სათავე უნდა მოვძებნოთ ჩვენ.

ჩვენში რომ მუშათა შეგნება—ორგანიზაცია მხოლოთ მრეწველობის განვითარებაზე ყოფილიყო მინაბრებული, მაშინ ჩვენ დიდხანს უნდა გველოდნა სანამ ასეთ ორგანიზაციას მოვესწრობოდით. მართლაც-და, მრეწველობა ხომ ჩვენში ჯერ მხოლოთ ფეხს იდგამს და მუშათა მტკიცე ორგანიზაციის შესამუშავებლათ კი აუცილებლათ საჭიროა მრეწველობის უმაღლესი განვითარება, რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, თუ მუშათა მოძრაობაზე გავლენა არ აქვს სხვა, გარეშე გარემოებას. და აი სწორეთ ასეთი გარეშე გარემოება გახლდათ იმის მიზეზიც, რომ ჩვენში მუშათა მოძრაობამ ასე ადრე და ასე თვალსაჩინოთ გაშალა ფრთები. ეს გარეშე გავლენა იმაში მდგომარეობდა, რომ ჩვენებურ მუშებს გვერდით ამოუდგა და მათი სწავლა ხელმძღვანელობა იკისრა ჩვენმა მოწინავე ინტელიგენციამ. ამათ საფუძვლიანათ შეესწავლათ დასავლეთ ევროპის მუშათა მოძრაო-

---

*) საზოგადოთ უნდა შევნიშნოთ, რომ ვლაპარაკობთ რა კავკასიის მუშათა მოძრაობაზე, ჩვენ სახეში გვაქვს უმთავრესად მუშათა მოძრაობა თბილისში, რადგან მოძრაობამ ყველაზე ადრე და თვალსაჩინოთ ამ ქალაქში იჩინა თავი და მხოლოთ აქ განვითარდა იმდენათ, რომ დღეს მას ისტორიაც აქვს.

ბა და ამ მოძრაობის სულის ჩამდგმელი რევოლიუციო-
ნური სოციალდემოკრატიული მოძღვრება, და დარწმუ-
ნებულნი, რომ ამ მოძღვრებას ნიადაგი აქვს კავკასიაში-
აც, რადგან აქაური ცხოვრებაც ისეთ სახე-მიმართულე-
ბას იღებდა, როგორიც დასავლეთ ევროპის ცხოვრებას
შეემუშავებია, აქაც მრეწველობა თანდათან ვითარდებოდა
და დიდ მომავალს იმზადებდა, ჩნდა რა პროლეტ რთა
კლასს, — ჰო, დარწმუნებულნი ყოველივე ამაში ეს ნას-
წავლი (ინტელიგენტები) ყმაწვილები შეუდგნენ მუშათა
შორის ხსენებულ მოძღვრების გავრცელებას. ამ აზრით
მათ ამოარჩიეს ყველაზე უფრო სანდო და საიმედო მუ-
შები, შეადგინეს მათგან წრეები და დაიწყეს მათში
პროპაგანდა, რომლის შემწეობითაც მუშებისათვის სოც-
ციალდემოკრატიული პრინციპები უნდა შეეგნებინებინათ.
კეთილი თესლი კეთილნიადაგზე დაეცა. კავკასიელი მუ-
შები, განსაკუთრებით ქართველები, მეტად შემთვისებე-
ლნი აღმოჩნდენ, დიდებულ მოძღვრების სხივმა ელექ-
ტრონივით დაუარა მათ მთელ არსებაში; ისინი ღრმად
გაიმსჭვალენ სოციალდემოკრატიული აზრებით; მათ
ღრმად და ცხოვლად ჩაენერგად გულში რევოლიუციო-
ნური მიდრეკილება.

მაგრამ ისეთ მუშათა რიცხვი, რომლების მომზადე-
ბა მარტო პროპაგანდის შემწეობითაც სავსებით შეიძ-
ლებოდა, ძალიან განსაზღვრული იყო: პროპაგანდას სა-
კმარისი გავლენა ქონდა მხოლოდ საუკეთესო ელემენ-
ტებზე, და რადგან ასეთი მუშები შეადგენდენ მეტად
მცირე ნაწილს მუშათა მასისას, ამის გამო სულ სამიოდე
წლის მოქმედების შემდეგ აღმოჩნდა, რომ პროპაგანდას
თანდათან აკლდებოდა მნიშვნელობა: ახალ ახალ საპრო-
პაგანდო წრეების შედგენა თანდათან ძნელდებოდა და
ამის გამო მუშებში მოქმედების გაგრძელება თითქო შე-
უძლებელი ხდებოდა. მუშათა ხელმძღვანელებმა აღარ
იცოდენ, რა ექნათ და როგორ მოქცეულიყვნენ, რო-
გორი ტაქტიკა მიეღოთ შემდეგისათვის. სწორედ ასეთი
იყო საქმის ვითარება, როდესაც მუშათა ხელმძღვანელ-
მა კომიტეტმა, რომელიც იმ დროს უკვე როგორც ინ-
ტელიგენტებისაგან ისე მუშებისგანაც შესდგებოდა, პი-
რველად გადასწყვიტა ედღესასწაულნა მუშათა საერთო-
შორისო დღესასწაული — პირველი მაისობა. აი ამ დღე-
სასწაულმა გადასჭრა ის კითხვა თუ როგორი მიმართუ-
ლება უნდა მიეღო მუშათა ხელმძღვანელების ტაქტიკა
ის კი არა და, ამ დღესასწაულმა მისცა კიდეც საჭირო
და შესაფერი მიმართულება მათ მოქმედებას, თუმცა
მაისობის სადღესასწაულო დღე უხერხულ დროს მოხვდა
რადგან ამავე დღეს აღდგომის დღესასწაული იყო და
ამის გამო ბევრი მუშა სოფლებში იყო წასული მაგრამ
დღესასწაულზე მაინც 70-ამდე კაცი მოგროვდა, ხოლო
ყველა შეგნებული მუშები რომ დასწრებოდენ, 100 —
200 კაცი მაინც შეიკრიბებოდა, როგორც თვითონ მო-
დღესასწაულეებმა იანგარიშეს. მაისობას დაესწრენ ყვე-
ლა ეროვნების და სხვადასხვა სამრეწველო დაწესებულე-
ბათა მუშები (უმთავრესად რკინის გზის დეპო-სახელოს-
ნოდან, სადაც ყველაზე ადრე გაჩნდა მოძრაობა) და აგ-
რეთვე რამდენიმე ინტელიგენტი. დღეობა მოხდა ქალაქ
გარეთ ერთ მაღლობზე. მარტო იმ გარემოებამ, რომ
ამდენ შეგნებულ მუშებს ერთად მოუყარა თავი საკუ-
თარი რევოლიუციონური დროშის ქვეშ, დიდი შთაბეჭ-
დილება მოახდინა მუშებზე. ხოლო ეს შთაბეჭდილება
ერთი ათად გაძლიერდა იმის შემდეგ, როცა ინტელი-
გენტებმა და შემდეგ თვით მუშებმაც აღფრთოვანებული
სიტყვები წარმოთქვეს. აღტაცებას საზღვარი აღარ ქონ-
და. დღესასწაულიდან მუშები დაბრუნდენ ერთი ათად
გატაცებულნი თავიანთი დიადი საქმით, ერთი ათად გა-
მაქვალულნი რევოლიუციონური მისწრაფებით, ეს მის-
წრაფება ველარ ეტეოდა მათში, მან ფართოდ გადმოხე-
თქა და მოედვა მრავალ სხვა მუშებსაც, რომლებსაც
ისინი უამბობდნენ თავიანთ დღეობის ამბავს, უზიარებ-
დნენ თავის შთაბეჭდილებას და გატაცებით აცნობდენ
თავიანთ აზრებს და მიზნებს. ამ გვარად მიიღო ჩვენში
დასაბამი აგიტაციამ, ამგვარად ის ტაქტიკა, რომე-

ლიც აქამდე მხოლოდ პროპაგანდაზე იყო დამყარებული,
აგიტაციის გზას დაადგა. Xმაგრამ, რასაკვირველია, ამით
პროპაგანდას ნიადაგი როდი მოესპობა, პირიქით, ამის
შემწეობით მან უფრო ფართო სახე მიიღო, რადგან
პირველ მაისობის აგიტაციამ ძალიან ბევრი მუშა გახადა
მუშათა მოძრაობის მომხრე და ამის გამო, თუ მანამდე
ახალ ახალ წრეების შედგენა ძალიან გაძნელებული იყო,
ახლა, როგორც ახალ ნაწვიმარზე სოკოებმა, ისე წამო-
ყვეს თავი ახალ-ახალმა წრეებმა. ამის შემდეგ პროპაგან-
და და აგიტაცია ხელი-ხელ ჩაკიდებული გამოვიდა მოქ-
მედების ასპარეზზე; ამის შემდეგ ეს ორნაირი წესი მოქმე-
დებისა ხან ერთ და იმავე დროს წარმოებს, ხან ერთი-
მეორის შემდეგ, მხოლოდ ერთი უმეოროდ კი, ერთმანე-
თისაგან დამოუკიდებლად—არასოდეს... მაგრამ ამავე
დროს არ შეგვიძლიან არ ვაღიაროთ, რომ ამის შემდეგ
მეტი ძალა-მნიშვნელობა მუშა მოძრაობაში აგიტაციას
დაურჩა. და სწორედ ამის შედეგი შეიქნა ის, რომ ჩვენ-
ში ამ ორიოდე წლის განმავლობაში ასე გახშირდა მუ-
შათა გაფიცვა სხვადასხვა სამრეწველო დაწესებულებაში.
პირველდელ მაისობის შემდეგ ყველაზე უფრო საყურად-
ღებო გაფიცვა მოხდა თბილისის ცხენის რკინის გზაზე,
სადაც გაიფიცნენ ყველა კუჩერები და კონდუქტორები,
რომლებსაც სასტიკი შეტაკება მოუხდათ პოლიციასთან.
ამ გაფიცვამ გასტანა ნახევარ დღეს და შემდეგ მოისპო
იმიტომ რომ 150-მდე მუშა დაატუსაღეს. მაგრამ გაფი-
ცვას ფუჭად არ ჩაუვლია და თუ მაშინვე არა, სამაგი-
ეროდ, სამიოდე თვის შემდეგ მუშათა მოთხოვნილება
თითქმ ს სავსებით იქნა დაკმაყოფილებული: შემცირდა
სამუშაო დღე, იმატა სამუშაო ქირამ, შეიცვალა ბევრი
შემავიწროებელი წესები და სხ...

ერთი წლის განმავლობაში მუშათა მოძრაობა იმ-
დენად გაიზარდა თბილისში, რომ მეორე მაისობაზე ჩვენ
70-დე მუშის მაგივრად ვხედავთ 400—500-მდე მუშას.
ახლა გაცილებით უფრო დიდებულ დროშის ქვეშ, რო-
მელზედაც გამოხატული იყო მარქსისა, ენგელსისა და
ლასალის სურათები შესაფერი წარწერებით... რაღა თქმა
უნდა, მარტო ასეთი დიადი სურათის დანახვაც კი საკ-
მარისი იყო მუშათათვის, რომ მათი მოძრაობა ერთი
ათად გაფართოვებულიყო. და მართლაც შემდეგ წელს
ეს მოძრაობა მთელ ქალაქს ედება და უკანასკნელ სტამ-
ბასაც კი აღარ სტოვებს. განსაკუთრებით საყურადღებო
ამ წელს იყო გაფიცვა ადელხანოვის ქარხანაში, სადაც
წინა წელს ასეთ ამბავს ოცნებითაც კი ვერ წარმოიდ-
გენდით, ამოდენა ქარხანაში კომიტეტს ორი-სამი კაციც
ვერ გამოეძებნა საპროპაგანდო წრის შესადგენად, იმ-
დენად ყოველ მხრივ დაქვეითებულნი იყვნენ ამ ქარხნის
მუშები. თითქმის თვე არ გადიოდა ისე, რომ რომელიმე
სამრეწველო დაწესებულებაში გაფიცვა არ მომხდარიყო,
რომელშიაც მუშათა თანხმობით მოქმედება ყველას აო-
ცებდა. მაგრამ ყველაზე უფრო ეს ამბავი აოცებდა ად-
გილობრივ მთავრობას და ამას, რასაკვირველია, არა
მარტო აოცებდა, აბრაზებდა კიდეც უსაზღვროდ. თქვენ
თითონ იფიქრეთ! სანამ მუშები ასეთ შფოთიანობას და-
იწყებდენ, ადგილობრივი მთავრობა არხეინად იყო, ყურ-
ზე ეძინა და მხოლოდ ათასში ერთხელ თუ დაჭირდებო-
და ხოლმე „საქმეებით" თავის შეწუხება. ახლა კი მას
თითქმის ყოველ წუთს უნდა ეფხიზლნა და თვალებ
გაფაციცებული უნდა ყოფილიყო. მაშ, რის მთავრობა
იქნებოდა, თუ ასე არ მოიქცეოდა? როგორღა შეეძლო
მას მოსვენებით ძინებოდა იმ დროს, როდესაც მუშები
მის დამქაშ კაპიტალისტებს ასე თავხედურად აწუხებდენ
და წინააღმდეგობას უბედავდენ. და კიდეც ღირსეული
და ერთგული მოსამსახურე გამოდგა მთავრობა „ხაზეი-
ნებისათვის". იგი შეუდგა სასტიკად მუშებისა და მათი
ხელმძღვანელების დევნას. მხეცურად ეპყრობოდა და
სჯიდა მათ თუ ციხეებში დამწყვდევით, თუ სხვა საშუ-
ალებით. თანდათან სულ უფრო მკაცრი ხდებოდა, თუ რა
უფრო ,,მზრუნველი მამაც'' ბრძანდებოდა მთავრობა
მუშათათვის. რაც დრო გადიოდა, მისი უდიერობა მუ-
შათა შესახებ სულ უფრო მატულობდა, და ამან უკი-

დურეს წერტილს მიაღწია, როცა 1900 წ. ზაფხულზე გაიფიცნენ მთელი ამიერ-კავკასიის რკინის გზის დეპო-სახელოსნოს მუშები, რომლებიც თხოულობდენ კანონის ძალით ღამის მუშაობის მოსპობას, ფასების მომატებას, ადამიანურად მოქცევას და სხ... გაფიცულ მუშათა წინააღმდეგ მთავრობამ გამოიყვანა აუარებელი ქვეითი და ცხენოსანი ჯარი, რომლებიც აფთრებივით მიესიენ მუშებს, დაუნდობლად ცემდენ მათ შოლტებით და თოფის კონდახებით და მუსრს ავლებდენ. აუარებელი მუშები დაატუსაღეს და ციხეები აავსეს. მთავრობა კიდევ უფრო გაცოფდა, როდესაც მუშათა ხელმძღვანელმა კომიტეტმა პროკლამაციები პროკლამაციებზე გამოუშვა, კს სრულიად ახალი ხილი იყო მისთვის და ამიტომაც მეტად ძნელი მოსანელებელიც. კიდევ უფრო შემდეგმა გარემოებამ გაამხეცა მთავრობა. პროკლამაციებმა თანდათან პოლიტიკური ხასიათი მიიღეს და უხსნიდენ მუშებს, რომ მათი ყველაზე უფრო მოსისხლე მტერი მთავრობაა, ის მთავრობა, რომელიც ასე მტარვალურად ექცევა მუშებს მხოლოდ იმიტომ, რომ ესენი თხოულობენ თვით მთავრობისაგან დადგენილ კანონის შესრულებას, მათთან ადამიანურად მოქცევას, მეტ ლუკმა პურს და სხვას ამისთანას; ყოველივე ამის გამო პროკლამაციები ბეჯითად ურჩევდენ მუშებს: ბრძოლა გამოუცხადეთ თვით მთავრობას, რადგან სანამ მას არ ალაგმავთ, მანამ შეუძლებელია ალაგმო „ხაზეინები“, რომლებისთვისაც იგი ასეთი ძლიერი იარაღი და მცველი გამხდარა. აი ამ წუთიდან მუშათა მოძრაობა ჩვენში მტკიცედ ადგება პოლიტიკური ბრძოლის გზას. მართალია მთავრობასთან ბრძოლის საჭიროება ბევრ მუშას ჩვენში, კაი ხანია შეგნებული ჰქონდა და ჯერ კიდევ მაისობის პირვანდელ დღესასწაულზედაც ხმა მაღლა აღიარეს ეს საჭიროება, მაგრამ საქმეში კი მათ მოძრაობას ამ წუთამდე ძალიან ნაკლებად ემჩნეოდა პოლიტიკური ხასიათი, ხოლო ამ წუთიდან კი ჩვენი მუშები და მთავრობა პირისპირ დაუდგენ ერთმანეთს და სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეეტაკენ. რაღა თქმა უნდა პირველ შეტაკებაშივე სრული გამარჯვება ძალიან ძნელი იყო მუშათათვის და ადრე თუ გვიან იძულებული უნდა გამხდარიყვნენ იარაღი დაეყარათ. ეს კიდეც ასე მოხდა: მუშებმა მართლაც დაყარეს იარაღი, თითქო დამარცხდენ... მაგრამ ეს დამარცხება ბევრ გამარჯვებას აღემატებოდა თავისი მნიშვნელობით და შედეგებით. ეს დამარცხება ერთნაირი გამარჯვება იყო დამარცხებულთათვის; ყოველ შემთხვევაში ეს დამარცხება მომასწავებელი იყო გამარჯვების მოახლოებისა: მართლაც და, ჯერ ბრძოლაში გამოუცდელ მუშათაგან მთელი ათი დღე სამკვდრო-სასიცოცხლო ომის ველზე მედგრად დგომა და იქიდან თითქმის უვნებლად გამოსვლა აღარაფრად ჩამოუვარდება ბრწყინვალე გამარჯვებას. სწორედ ათი დღე გასტანა რკინის გზის მუშათა გაფიცვამ 1900 წ. და ამ ხნის განმავლობაში, ცოტა გაწყდა, კინაღამ შესწყვიტეს მთელი ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოძრაობა, ასე რომ თამამად შეგვიძლია ვთქვათ: ამ ბრძოლაში მუშებზე გაცილებით უფრო დაზარალებული მთავრობა დარჩა, რომელსაც რკინის გზის წესიერ მოძრაობის შეწყვეტამ მილიონობით ზარალი მიაყენა, და ეს ხომ ჰკუას ასწავლის მას შემდეგისათვის, ამის შემდეგ ის აგრე ადვილად ველარ გაბედავს მუშებთან ბრძოლას და უფრო ადვილად იკადრებს დაუთმოს ხოლმე მათ, რასაც მოითხოვენ. აქედან ცხადია, რომ დამარცხდენ რა მუშები გუშინ, ამით მათ გამარჯვება მოიმზადეს დღეისათვის. ეს რომ ცალიერი სიტყვები არ არის, ამას სხვათა შორის, ისიც ამტკიცებს, რომ 1900 წლის გაფიცვის შემდეგ რკინის გზის დეპო-სახელოსნოში ბევრი რამ იქნა შეცვლილი გაუმჯობესებული; ხშირად საკმარისია მოითხოვონ მუშებმა უფროსებისაგან ესა თუ ის ცვლილება და უფროსებიც გაფიცვის შიშით იძულებული ხდებიან აუსრულონ მათ მოთხოვნილება; ამას გარდა დღეს ამ დაწესებულებაში გაცილებით უფრო ადამიანურად ექცევიან მუშებს და სხ... ეჭვი არ არის, რომ საკმაოა კიდევ მოხდეს სახელოსნოში საყოველთაო გაფიცვა, რომ მუშებმა თავისი გაიტანონ, წინანდელთან შედარებით უფრო ადვილად. აი რაში მდგომარეობს გამარჯვება დამარცხებულთა!..

1900 წლის რკინის გზის სახელოსნოს მუშათა გაფიცვა მეტად შესანიშნავი იყო ბევრი სხვა მხრითაც. ამ მუშების გმირულმა ბრძოლამ მომხიბვლელი შთაბეჭდილება მოახდინა მთელი თბილისის მუშებზე და გაფიცვა გადამდებ სენივით მოედო მრავალ ქარხნებს: ენფიანჯიანცისას, ადელხანოვისას, მირისას და სხ. და სხ., რომლებშიაც მუშები არა ნაკლებ მედგრად იბრძოდნენ, გამხნევებულნი, სხვათა შორის, პროკლამაციებითაც. დამფრთხალმა მთავრობამ იკადრა აიძულებინა „ხაზეინები“ ბევრი რამ დაეთმოთ მუშებისათვის.

ამ ამბების შემდეგ მთელი თბილისის მუშები გამოდიან ბრძოლის ველზე და თითქმის დღე არ გადის ისე, რომ ერთ რომელიმე სამრეწველო დაწესებულებაში მაინც გაფიცვა არ იყოს. ასე წარმოიდგინეთ, საქმე იქამდე მიდის, რომ გაფიცვა მოსახერხებელი ხდება თვით მექისეებშიაც კი აბანოებში. და ასე შეუჩერებლად, ასე ბუმბერაზივით იზრდება ჩვენში მუშათა მოძრაობა მიუხედავად იმისა, რომ მას წინ ელობება მრავალი სიძნელე და დაბრკოლება. ერთი ასეთი და მეტად დიდი დაბრკოლება არის ის გარემოება, რომ ჩვენებური მუშა ხალხი შესდგება ბევრ სხვადასხვა ეროვნულ ელემენტებისაგან (ქართველი, სომეხი, რუსი, თათარი, ოსი და სხ. და სხ.), რომლებსაც ხშირად ერთმანეთის არ გაეგებათ რა, და ამის გამო დიდი მეცადინეობაა საჭირო, რომ მათი ინტერესების თანხმობა შეაგნებინო, და ეს მით უმეტეს ძნელი ხდება, რომ მთავრობა სარგებლობს-რა მუშათა ნაციონალური ანტოგონიზმით, კიდევ უფრო ამწვავებს ამ განხეთქილებას, იმხრობს-რა მაცდური სიტყვებით და მოქცევით რუსის მუშებს, რომლებსაც უმტკიცებს, რომ „ტუზემცები“ ყველა რუსებს ემტერებიანო და ჩვენ სიმართლე კი დღევანდელს საკუთარი სამეფო დაიარსონო. აი უმთავრესი მიზეზი იმის, რომ ჩვენებურ მუშათა შორის რუსები წარმოადგენენ ყველაზე უფრო ჩამორჩენილ ელემენტებს. მაგრამ მიუხედავად ამ გარემოებისა, როგორც ვთქვით, ჩვენში მუშათა მოძრაობა საოცრად იზრდება და ასეთ მის ზრდას ძალიან ნაკლებად აფერხებს ის გარემოებაც, რომ მაზე არა ნაკლებ იზრდება და ძლიერდება მისი დევნა პოლიციის მხრივ, რომელსაც მთავრობა ერთი-ათად ადიდებს. მრავლდებიან ჯაშუშები და მრავლდება მუშებ-ინტელიგენტების გახრეკა-დატუსაღება, ხშირად სრულიად უსაბუთოდ. 1901 წ. მარტში და აპრილში გაჩხრიკეს და დაატუსაღეს მრავალი მუშა და ინტელიგენტი მხოლოდ ეჭვით. ამის შემდეგ მთავრობას იმედი მიეცა, რომ მუშათა მოძრაობა ჩვენში, თუ მთლად არ მოისპობოდა, შეჩერდებოდა და შესუსტდებოდა მაინც. მაგრამ, ჰოი, საშინელებავ!.. სწორედ ამ „გენერალურ არესტების“ შემდეგ თბილისში მუშებმა ისეთი ამბავი მოახდინეს, რომლის მსგავსი არ ახსოვს მთელ კავკასიას დღიდან თავის გაჩენის. 22 აპრილს, თბილისში, შიგ შუა ქალაქში, დღის შუა-გულ, ურიცხვი ხალხის თვალ წინ, აფრიალდა წითელი დროშა, მუშათა საერთაშორისო რევოლიუციონური დროშა, შემკული მუშების დიდებულ მოძღვართა: მარქსის, ენგელსის და ლასალის სურათებით და შესანიშნავი დევიზის ზედწარწერით: „ყველა ქვეყნის მუშებო, შეერთდითო!“ და სხ. დროშის აფრიალებასთან ერთად გაისმა მედგარი ხმები: „გაუმარჯოს პოლიტიკურ თავისუფლებას!“ „ძირს ტირანია!“ და სხ., აღმოჩნდა, რომ ამ ადგილას, ახლო მახლო, მაისობის სადღესასწაულოდ თავი მოეყარათ 2 ათასზე მეტ მუშას, მაგრამ უბრალო შემთხვევის გამო მათი დიდი უმრავლესობა მოწყვეტოდა უმცირესობას, მასთან ერთად თავი ვერ შეეფარებინა დროშის ქვეშ და ამის გამო მათ აღარ მოუხერხდათ შეერთებულ რაზმად გავლა, როგორც განზრახული ჰქონდათ. სანამ მუშების ასეთ შეერთებას მოასწრებდენ, ამასობაში მათ მედროშე უმცირესობას თვალ ს დახამ-

ხმებზე დაესხა თავს ურიცხვი ცხენოსანი ჯარითურთ თავით ფეხამდე შეიარაღებული პოლიცია, რომელიც ჯერ კიდევ ერთი კვირის წინადვე შესდგომოდა მზადებას ამ შემთხვევის ასაცილებლად (რომელიც მას ყნოსვით მოესუნებია) და მთელი ქალაქი საომარ ფეხზე დაეყენებია. დიახ, თავს დაესხნენ მუშებს და ასტყდა კიდეც შემზარავი ხელჩართული ომი. პოლიციის და ჯარის გამხეცება უკიდურეს წერტილს გადასცდა და ბევრი მუშა მხოლოდ ბედმა გადაარჩინა სიკვდილს, თუმცა სასიკვდილოდ კი იყო დაჭრილი და ნაცემ-ნაგვემი. რასაკვირველია, ხეირი არც მტრებს დაჰყრიათ და მუშებმა, თვისი სწორედ გმირული თავ-დაცვის დროს, რამდენიმე მათგანს საგრძნობელი დაღი დააჩნიეს, მძიმედ დასჭრეს რა ერთი პრისტავი მისი გოროდოვოითურთ. რაღა თქმა უნდა, ამ დროს ბევრი მუშები შეიპყრეს და დაატუსაღეს. ამნაირად მთავრობა აღარ დაერიდა მუშების სისხლის დაღვრასაც კი, ის მზად იყო ერთიანად გაეჟლიტა ისინი, რომ „ქვეყნის" არ შერცხვენოდა და არ შეშინებოდა, რადგან ამით ის აამხედრებდა თავის წინააღმდეგ ბევრ ისეთ ხალხს, რომელსაც უამისოდ მასთან წინააღმდეგობა ფიქრადაც არ მოუვა. მაგრამ რა სიმხეცეც მთავრობამ 22 აპრილს ჩაიდინა ისიც საკმარისი იყო, ყველასათვის იმის მისახწევათ, თუ რა შვილიც ბძანდება ეს მზრუნველი მამა. ხოლო თვით მუშათათვის ხომ ეს საკმარისზე მეტიც იყო. 22 აპრილმა ჩვენს მუშებს კიდევ უფრო აშკარად დაანახვა, თუ რა მოსისხლე მტერი ყოფილა მთავრობა მათთვის, და ყველაზე უფრო ს ა ხ ე ლ დ ო ბ მ ა თ თ ვ ი ს; მან კიდევ უფრო ღრმათ დაარწმუნა ისინი, რომ, თუ არ ბრძოლით, ისე მთავრობას ისინი სრულიად ვერაფერს გამოღნებიან, რადგან თავისუფლების სურვილის უბრალო გამოცხადებისათვისაც კი ის მზად არის მათ ყელში წაუჭიროს დაახრჩობათ. ერთი სიტყვით, 22 აპრილმა ჩვენ მუშებს უკვე სავსებით დაანახვა და საბოლოოთ დაარწმუნა, რომ დღეს-დღეობით ყველაზე უფრო საჭიროა ბრძოლა მთავრობასთან, ბრძოლა პოლიტიკურ თავისუფლების მოსაპოებლათ.

დიახ, 22 აპრილმა ბევრი რამ დაანახვა და ასწავლა მუშებს, მაგრამ არა ნაკლებ ,,ბევრი რამ'' დაანახვა მან მთავრობასაც. ეს უკანასკნელი მან ღრმად დაარწმუნა, რომ მუშათა მოძრაობა კავკასიაში აღარ ხუმრობს, აქაც იგი ისეთ ფართო სახეს იღებს, როგორც რუსეთში და ამიტომ აქაც მის საწინააღმდეგოდ ისეთივე განსაკუთრებული ზომებია საჭირო, როგორც იქაო. და ყოველივე ამაში მთავრობა მით უფრო დარწმუნდა, რომ, მუშათა მოძრაობა დღის ფეხს იკიდებს ჩვენში თბილისს გარდა, სხვა ადგილებშიაც, განსაკუთრებით კი ბაქოში, სადაც ამავე 1901 წ. [illegible]00-დე მუშამ ქალაქ გარედ მაისობა იდღესასწაულეს. დიახ დარწმუნდა მთავრობა განსაკუთრებულ ზომების საჭიროებაში და აღარც დააყოვნა მათი შემოღება. პოლიციის შტატები კიდევ უფრო გაადიდა, მთელი თბილისი ჯაშუშებით აავსო და ბაქოსაც, რასაკვირველია ბლომად დაუყენა ასეთი სასიამოვნო ყარაულები. ამას აღარ დასჯერდა ჩვენი გულუხვი მთავრობა და თბილისსა და ბაქოში შემოიღო ეგრედ წოდებული „გაძლიერებულის დაცვის" წესები, რომლის ძალითაც პოლიციას სრული თავისუფლება ეძლევა თავის მოქმედებაში, მის თვითნებობას ვერარაფერი შეზღუდავს, მას არავითარი პასუხის გება აღარ მოეთხოვება, რაც უნდა ჩაიდინოს, მისთვის კანონი აღარ არსებობს და მოქმედობს არა რომელიმე ჩვეულებრივი კანონის ძალით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ თავისი საკუთარი ნება-სურვილის ძალით; მისთვის საკმარისია ეჭვი შეიტანოს თქვენზე, ან მხოლოდ მოისურვოს ეჭვის შეტანა, რომ დაგსაჯოთ ისე, როგორც თვითონ მოეწონება. ამნაირად ყოველი კაცი დგება ყოველი ჩვეულებრივი კანონის გარედ, მის მოქალაქეობრივ უფლებებს აღარავითარი კანონი აღარ მფარველობს და მისი ბედ-იღბალი მთლად პოლიციის ხელშია. პოლიციის ასეთი სრული თვითმპყრობლობა კიდევ უფრო ძლიერდება ეგრედ წოდებულ „დვორნიკთა ინსტიტუტის" შემწეობით, რომლის შემოღებაც ჩვენში მოწყალე მთავრობამ აგრეთვე უმოწყალესად კეთილ ინება თბილისსა და ბაქოსათვის მდგომარე წლიდან. ეს მხოლოდ ჩვენი უღირსი მთავრობის ღირსეული დაწესებულება ახალი არ არის რუსეთის იმპერიაში და იმაში მდგომარეობს, რომ სახლის პატრონები ვალდებულნი არიან დაიქირაონ და იყოლიონ თავიანთ ეზოებში ჯ ა შ უ შ ე ბ ი, რომლებმაც თვალყური უნდა ადევნონ ეზოებში და სახლებში ყველას და ყველაფერს, და, თუ რამე „საეჭვო" შენიშნეს, დაუყოვნებლივ პოლიციას მოახსენონ. ამას გარდა თვით სახლის პატრონებიც ვალდებულნი არიან ჯაშუშობა გასწიონ...

ასე ტყავიდან ძვრება ჩვენი მრავალტანჯული მთავრობა, რომ ალაგმოს ჩვენში მუშათა მოძრაობა, ის არავითარ საშუალებას აღარ ერიდება ამ მიზნის მისაღწევად, მაგრამ ყოველთვის იმედ-გაცრუებული და პირჩალა გამოვლებული რჩება. ასე გაუცრუვდა მას, სხვათა შორის, ის იმედიც, რომელიც გაძლიერებულ დაცვაზე ქონდა დამყარებული: ის იყო შემოიღეს ეს „დაცვა", რომ თითქო განგებ ამ შემთხვევისათვის მთავრობას „ნობათად" მიერთვა პირველი რევოლიუციონური ორგანო ჩვენში „ბრძოლა". გაფიცვამ არა თუ იკლო გახშირდა კიდეც: გაიფიცნენ მუშები ადელხანოვის ქარხანაში, გაიფიცნენ ბოზარჯიანცისაში. ამას გარდა, როდესაც 27 სექტემბერს საქართველოს რუსეთთან შეერთების დღესასწაული გაიმართა, მთავრობას, თავად-აზნაურობასთან მოქეიფეს, გულში ლახვარივით მოხვდა პროტესტი მუშათა ბანაკიდან ნატყორცნი. ამ დღეს მთელი საქართველოს „ღირსება დაკარგული" და თან გაკოტრებული თავად-აზნაურობა დღესასწაულობდა საქართველოს ასი წლის მონობას და, უმდაბლესად შესთხოვდა რა მთავრობას უმაღლეს მოწყალებას, უქვეშევრდომილეს გრძნობებს უცხადებდა მას, და რადგან ამ დღესასწაულს მთელი კავკასიის დღესასწაულის სახელს არქმევდენ, ამის ჯავრო თბილისის მუშათა კომიტეტმა ნათლად გამოხატა მუშათა დამოკიდებულება ამ დღესასწაულთან პროკლამაციის შემწეობით, რომელშიაც გამოთქმული იყო მუშათა ულრმესი ზიზღი როგორც თავად-აზნაურობის, ისე მთავრობისადმი და აგრეთვე მათი ავაზაკური „მეგობრობისადმი", რომელსაც მიზნად აქვს მოსპოს თავისუფლების უკანასკნელი ნიშანწყალიც-კი...

დასასრულ, აღტაცებული სიხარულით გეგებებით თქვენ, სახელოვანო მებრძოლნო კავკასიელნო მუშებო, და მხურვალე გულით გილოცავთ იმ საოცარ მხნეობას, იმ სამაგალითო გმირობას, რა მხნეობა-გმირობითაც თქვენ ეგრე დაუცხრომელად ებრძოდით მტერს... თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, თითქო განგებ ბრძოლისათვის იყოთ ამ ქვეყნად მოვლენილნი: ბრძოლა თქვენ თვით სიცოცხლესავით მოგწყურებიათ და, იბრძვით რა თავგანწირულად, თქვენთვის თითქო არავითარი დაბრკოლება აღარ არსებობდეს; რა გინდ ბრძოლის დროს თქვენ წინ დაბრკოლების უზარმაზარი კლდე აიმართოს, თქვენი მძლეთა მძლე მარჯვენა ერთი დაკვრით შუაზე აპობს მას და ისე გადიხართ შიგ თითქმის სრულიად უვნებელნი; გადიხართ არა მოღალულ-მოქანცულნი, ღონემიხდილნი, პირიქით ერთი-ათად გაღონიერებულნი, ძლევამოსილნი! გადიხართ რკინები ფოლადებად ნაწრთობნი! გადიხართ ვეფხკები ლომებად გარდაქმნილნი! რა არის თქვენთვის ციხე-საპყრობილე, რომლითაც აგრე ცდილობენ თქვენს შეშინებას? ციხეც კი თქვენთვის ერთნაირი სკოლა გამხდარა, სადაც თქვენ თავისუფლებას მოკლებულნი, კიდევ უკეთესად სწავლობთ ბრძოლას თავისუფლებისათვის, და გამოდიხართ რა იქიდან, იბრძვით კიდევ უფრო მედგრად, კიდევ უფრო შეუპოვრად. რა არის თქვენთვის მტრის მიერ ამხანაგების წართმევა-მოშორება? ეს მხოლოდ ერთი წუთით და ისიც მხოლოდ ოდნავ იწვევს თქვენი მებრძოლი რაზმის შემცირებას, ხოლო ერთი წუთის შემდეგ კი, ეს პირიქით, თქვენს რაზმს ერთი ათად ზრდის, ერთი ათად აძლიერებს! და სწორედ იმ დროს, როდესაც მტერი სიხარუ-

ლით ცას სწვდა და გამარჯვებას დღესასწაულობს, ცარწმუნებული, რომ მუშებს მეთაურები წაართვითო, ამით მათი მებრძოლი რაზმი დაიშლება და ამის შემდეგ ისინი ბრძოლას ველარც კი გაბედავენო,—სწორედ ამ დროს მტერს უეცრად თავზარი ეცემა: თქვენი ბრძოლის ყიჟინი კიდევ უფრო მქუხარედ ისმის... დიახ, საოცარია, საოცარი თქვენი ძალის ზრდა! რა იყავით თქვენ გუშინ, როცა მტერს თქვენთვის ჯერ ხელიც არ ეხლო, და რა ხართ დღეს, როცა მტერი ასე დაუძინებლად გდევნისთ და ცდილობს მუსრი გაგავლოსთ? გუშინ თქვენ მხოლოდ ერთ მუჭა ჯერ გაუწვრთნელ მებრძოლთ წარმოადგენდით, დღეს კი უკვე მრავალრიცხოვანი სანაქებოდ გაწვრთნილი ჯარი შეგიდგენიათ! გუშინ თქვენ აქა-იქ სოროებში იმალებოდით და მხოლოდ ემზადებოდით საბრძოლველად, დღეს კი უკვე საქვეყნოდ მოედანზე გამოსულხართ და თავისუფლების დროშის ფრიალით ხმა მაღლა იწოდებთ მტერს ბრძოლის ველზე! გუშინ თქვენ მხოლოდ ხაზეინებს და მათაც ძლივს უბედავდით ბრძოლას ისიც მხოლოდ ლუკმა პურისათვის, დღეს კი მათ გარდა სრულიად დაურიდებლად ებრძვით თვით მთავრობას, ამ ერთგულ მოსამსახურეს ხაზეინებისას, და ებრძვით არა მარტო ლუკმა პურისათვის, არამედ პოლიტიკურ თავისუფლებისთვისაც, ესე იგი ადამიანობისთვისაც.

გილოცავთ, ძმებო, მხურვალე გულით გილოცავთ ეგეთ მხნეობას, ეგეთ გმირობას! იზარდეთ ემაგ საარაკო სისწრაფით, იმრავლეთ, იბლარტეთ, ძალა იმატეთ... კიდევ და კიდევ!.. და მალე, ძალიან მალე ბრწყინვალე გამარჯვებასაც მოგილოცავთ.

ნუ დაგავიწყდებათ, რომ თქვენ მარტონი არა ხართ! თქვენთან ერთად იბრძვის მთელი რუსეთის მუშა ხალხი. მაშ, მეგობრებო, გავუწოდოთ ხელი ჩვენს რუსეთელ მოძმეებს, მათთან ხელჩართულებმა ერთად მივიტანოთ იერიში საერთო მტერზე და ხმა-შეერთებით დავქყივლოთ მას:

„გაუმარჯოს პოლიტიკურ თავისუფლებას!“

„ძირს ტირანია!“

რუსეთის იმპერატორი საფრანგეთში.

1789 წელს საფრანგეთში დიდი რევოლიუცია მოხდა. საფრანგეთის ერმა ერთ ხმათ აღიარა, რომ ამიერიდგან „ძმობა, ერთობა და თავისუფლება“ უნდა მეფობდესო, ჩვენ ქვეყანაში ადგილი აღარა აქვს ერთისაგან მეორის დაჩაგვრას, ამიერიდგან ნება აღარავისა აქვს, რომ შებღალოს წმინდა უფლებანი ადამიანისა და მოქალაქისაო. აი რა უფლებანია ჩამოთვლილი თავისუფალ საფრანგეთის პირველ საერო კრების დადგენილებაში (დეკლარაციაში): 1) ყველა მოქალაქეს სრული ნება ეძლევა მონაწილეობა მიიღოს კანონმდებლობაში პირადათ, გინდ თავისს წარმომადგენლის საშვალებით, რადგან კანონის წინაშე ყველა თანასწორია; 2) თუ მოქალაქე კანონის წინაშე დამნაშავე არ არის, ნება არავისა აქვს გაამტყუნოს, დასაჯოს, ანუ დაატუსაღოს იგი; 3) თავისუფალი მოაზრეობა, აზრის და რწმენა-შეხედულობის თავისუფლათ გამოთქმა ყველაზედ უწმინდესი უფლებაა ადამიანისა და მოქალაქისა, მაშასადამე ყოველ მოქალაქეს სრული ნება აქვს თავისუფლათ ილაპარაკოს, სწეროს, და გაავრცელოს თავისი აზრი, იგი მხოლოდ კანონის წინაშე უნდა იყოს პასუხის მგებელი; 4) სახელმწიფო გარდასახადი თითოეულ მოქალაქეს შეძლების დაგვარად უნდა გამოერთოს და ყველამ მონაწილეობა უნდა მიიღოს ამხარჯის გადასახადში; 5) საზოგადოებას უფლება აქვს ანგარიში მოსთხოვოს თითოეულ თვისს მოხელეს და პასუხის-მგებლობაში მისცეს იგი ბოროტ-მოქმედებისთვის“ და სხვ. დაადგინარა ზემორეხსენებულმა საერო კრებამ, საფრანგეთის ერმა აიძულა მაშინდელი თავისი მეფე ლუი XVI (კაპეტი) ფიცი მიეღო, რომ იგი სავსებით აღასრულებდა საერო კრების დადგენილობასა და უნაკლულოთ შეასრულებდა იმ ერის ნება'ს, რომელმაც მისს „ქვეშევრდომობაზე“ ხელი აიღო. ლუი ერთხანად დაემორჩილა ერის გარდაწყვეტილებას, მაგრამ ფიცი მაინც გასტეხა და ძველწესწყობილებათა აღსადგენათ ევროპის სხვა სახელმწიფოთ დახმარება სთხოვა. ამ ურცხვი ღალატისთვის საფრანგეთის ერმა სულ მთლათ დაამხო მეფობა და თვით ლუი კაპეტი თავისი ცოლით საკვდილით დასაჯა. მეფობის მაგივრად რესპუბლიკური წეს წყობილება დაარსა.

ლუი XVI დასჯილ იქმნა 1793 წლის პირველ იანვარს. ერთი კაცი რა არის, ერთი კაციც კი არ გამოესარჩლა „ღვთისგან მირონცხებულ“ იმპერატორს. თვით მისმა სიკვდილმაც შეუმჩნევლათ ჩაიარა. მას შემდეგ ას წელიწადზე მეტია. ამ დროის განმავლობაში ბევრნაირათ გამოიცვალა საფრანგეთის ცხოვრება. ერთ ხანს თვითმპყრობელები განაგებდენ საფრანგეთს (ნაპოლეონ I და ნაპოლეონ III), შემდეგში ბატონობდენ მეფენი (კოროლ) ლუი XVIII, კარლოს X და ლუი ფილიპე. მას შემდეგ საფრანგეთმა ორჯერ აღადგინა რესპუბლიკანური წყობილება და აგერ ეს ოცდა ათი წელიწადია რაც საფრანგეთს განაგებენ ერისაგან არჩეული პრეზიდენტები (მამასახლისები). ზემოთ დასახელებულ ხუთ ხემწიფეთაგან მარტო ლუი XVIII გარდაიცვალა მეფის ხარისხით, დანარჩენები კი დამხობილ იქმნენ „თავისივე ერის წყალობით და გარდახვეწილობაში დალიეს სული, საფრანგეთის ოთხი რევოლიუცია ნათლათ გვაჩვენებენ, თუ რა რიგათ აფასებდა საფრანგეთის ერი ხემწიფეთა „ღვთისაგან მირონცხებულობას“. ამ ასს წელიწადში ბევრგვარათ იცვალა ფერი საფრანგეთის ეროვნულმა ცხოვრებამ, ათას ნაირათ გადაბრუნდა ფრანგთა ყოფა-მდგომარეობა ამ დროის განმავლობაში, მაგრამ საფრანგეთის დიდი რევოლიუციის მონაგარი — უფლებანი ადამიანისა და მამულიშვილისა, უფლება მონაწილეობა მიიღონ თავის ქვეყნის მართვა-გამგეობაში, დაიცვან თავისუფლება აზრისა და სიტყვისა, დაიფარონ თანამოძმე მძლავრთა და მოხელეთა შეურაცყოფისაგან — ღღემდის შეუბღალავი და ხელ-შეუხებელი დარჩა. მართალია თავისუფალმა წესწყობილებამ ძირიანათ ვერ მოსპო ერთისაგან მეორის დაჩაგვრა, როგორც ამას მოელოდენ დიდ-რევოლიუციის მონაწილე და კაცობრიობის მოჭირნახულენი, პირიქით სწორეთ ამ წესწყობილებაში აღმოცენდა კაპიტალისტებისაგან მუშების დამჩაგვრელი პირობანი, მაგრამ ეს თავისუფალი წესწყობილებავე ხელსუმართავს მუშებს სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიონ თავის დამჩაგვრელებს და შექმნან უკეთესი მომავალი მთლად კაცობრიობისათვის.

აი ამ საფრანგეთში, ამ ქვეყანაში, რომელმაც აღიარა „ძმობა, ერთობა, თავისუფლება“ და რომელმაც გასდევნა თავის ქვეყნიდან თავისუფლების მოწინააღმდეგე ხემწიფეები, იმ ქვეყანაში რომელმაც თავის რევოლიუციებით არა ერთხელ დასცა საშინელი თავზარი ყოველივე მტარვალობას, მობრძანდა რუსეთის ხემწიფე.

საკვირველი და საოცარია ბარბაროსულისა და თავისუფალი ერის ურთი ერთობა, მოკავშირეობა! განა ამაზე მეტი ორპირობა და პირმოთნეობა კიდევ იქმნება? განა რა აქვთ საერთო საფრანგეთის საერო კრების დეკლარაციას და რუსეთის წესწყობილებასა? რომ შევადაროთ საფრანგეთის მამულიშვილის წმინდა და ხელშეუხებელი უფლებანი, რომელიც მას დაუმკვიდრა 1789 წლის დიდმა რევოლიუციამ რუსეთის ქვეშევრდომთა „უფლებათ“ სწორეთ ოცნებიდან გამოვა ადამიანი! აი რამდენიმე მაგალითიც.

უფლებანი საფრანგეთის მამულიშვილისა	«უფლებანი» რუსეთის ქვეშევრდომისა:
1) საფრანგეთის თითოეულ მამულიშვილს სრული უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის მმართველ-	1) არც ერთმა ძე ხორციელმა, თუ კი იგი რუსეთის ქვეშევრდომათ ითვლება, ოცნებაშიაც კი არ

გამგეობაში და კანონების გამოცემაში.	უნდა გაიტაროს ის აზრი, რო იგი ოდესმე ქვეყნის მმართვა გამგეობაში მონაწილეობას მიიღებს. ვინც წინააღმდეგ ეს იფიქრებს, იგი სულელი, საბრალო მეოცნებეა.*) ხოლო კანონების გამომცემი კი ხელმწიფე იმპერატორი ბრძანდება
2) მამულიშვილის თავისუფლება ხელშეუხებელია, მას ვერავინ დაამატიმრებს, თუ არა ისევ ის კანონი, რომელიც მამულიშვილთაგანვეა დადგენილი.	2) რუსეთის ყოველი ქვეშევრდომი შეიძლება დატყვევებული იქმნას ყოვლად უმიზეზოდ თუნდ მარტო უბრალო ეჭვისა გამო და იმპერატორის ბრძანებისამებრ გაიგზავნება საცხოვრებლად ჩრდილო რუსეთის გუბერნიებში, ან არა და ციმბირში, ხოლო თუ «დიდი დამნაშავე» არ არის, მიცემული იქნება პოლიციის მხედველობის ქვეშ და აეკრძალება თავისუფალი ცხოვრება...
3) საფრანგეთის თითოეულ მამულიშვილს სრული უფლება აქვს ილაპარაკოს, წეროს და გაავრცელოს როგორი აზრიც კი სურს, იგი მარტო სასამართლოს წინაშეა პასუხის მგებელი.	3) რუსეთის ქვეშევრდომი არამც თუ ვერაფერს დასწერს თავისუფლათ, არამედ იგი მოვალეა თავისი ნაწერი წარუდგინოს მეფის მოხელე ცენზურებს. ხოლო თუ რამე ნაირათ მოსტყუედენ ცენზორები და ნაწარმოები დაიბეჭდა, დამბეჭდილსაც კი აეკრძალვენ-დასწვავენ და დამწერსაც კი ციმბირში უკრავენ თავს.
4) ყოველ მამულიშვილს ნება აქვს ირწმუნოს რაც უნდა და ამის გამო მას პასუხის გებაში ვერავინ მისცემს.	4) მართლ-მადიდებელ სარწმუნოების აღმიარებელ რუსეთის ქვეშევრდომს ნება არა აქვს გამოიცვალოს სარწმუნოება, ხოლო თუ საქვეყნოდ აღიარა თავისი „ურწმუნოება“, მაშინათვე ციმბირში ამოჰყოფს თავს.
5) თითოეული მამულიშვილი დაისჯება მარტო სასამართლოს გადაწყვეტილებით და დაისჯება იმ დანაშაულობისათვის, რომელიც კანონით ნათლად არის დამტკიცებული.	5) რუსეთის თითოეული ქვეშევრდომი ყოველ წუთს უნდა მოელოდეს პოლიციელთაგან გამათრახებას, თუნდაც არაფერში არ იყოს დამნაშავე, მეფის მოხელენი მაშინაც კი გაროზგავენ ხოლმე საბრალო ქვეშევრდომთ, როდესაც მოთმინებიდან გამოსული მოინდომებს პოლიციელთა მტარვალობის გაკიცხვას. და სხ. და სხვ. და სხვ.

ზემოთ ნათქვამიდან ნათლად დაინახავს ჩემი მკითხველი, რომ რუსეთის ქვეშევრდომთა და საფრანგეთის მამულიშვილთა უფლებანი ერთი-ერთმანეთისაგან ძლიერ განსხვავდებიან. ახლა ვიკითხოთ, იცის თუ არა მეფემ ყველა ის უწესობა, რომელიც მის სახელმწიფოში ხდება? როგორ არ იცის! მართალია ხშირად მისი მოხელენი ბრძანებლობენ, მაგრამ მის უნებურად არა ხდება რა, იგი ადასტურებს ყოველივე უკანონობას, ყოველივე მტარვალობას. მეფე განხორციელებაა ყოველივე ბიწიერება-უსამართლობისა, რომელიც ასე სუსტს უხუთავს მის ყოველ ქვეშევრდომს. აი როგორი გახლავთ დამონებული ცხოვრება რუსეთის ქვე წახრილის ქვეშევრდომისა, აი ვინ ბრძანდება მეფე სრულიად რუსეთისა!..

როგორ მიეგება თავისუფალი საფრანგეთი რუსეთის მტარვალს? თუ რუსულ გაზეთებს დავუჯერებთ, საფრანგეთი თურმე დიდის აღტაცებით მიეგება დაჩაგრულთა დამჩაგვრელს. ფიანდაზად გაუშალა სული და გული, ტაშის ცემითა და დიდის ზეიმით შემკო თურმე თითოეული მისი ნაბიჯი, ათასობითა და ათიათასობით დაიხარჯა სადარბაზო სადილ-ვახშამზე, კომპიენის სასახლის მორთვაზე. ხალხთა ბრბო დილით საღამომდის მის ხილვას ელოდებოდა. ქალები თაიგულებს სთავაზობდნენ, პოეტები ლექსებს უძღვნიდენ. ასე გასინჯეთ თვით კათოლიკეთა ეპისკოპოსი—კარდინალიც კი ზარის რეკვითა და მოწიწებით შემოსილი მიეგება იმთავით ამთავმდე კათოლიკეთა მოწინააღმდეგე მართლმადიდებელ ეკკლესიის წარმომადგენელს. დიახ, ასე სწერდენ გაზეთები.

როგორც ყველამ ვიცით, რუსეთის იმპერატორი საფრანგეთის ჯარის დასახედად წავიდა კომპიენში, და აი საფრანგეთის ათასი და ათიათასი თავისუფალი მამულიშვილი საჭიროდა სთვლის რაც შეიძლება თამამად და მამაცურად გამოიქიმოს რუსეთის თვითმპყრობელის წინაშე, იმ რუსეთისა, რომელიც, ოსმალეთის შემდეგ ყველაზე უფრო დამონებული ქვეყანაა მთელს ევროპაში. საფრანგეთის უპირველესი წარმომადგენელნი პრეზიდენტი და მინისტრები „თავმდაბლად“ სალამს უძღვნიან რუსეთის ბატონს და მის ხელის ჩამორთმევას ბედნიერებად სთვლიან. მერე რამ გააგიჟა ასე თავისუფალი საფრანგეთი, რამ გადარია ასე ეს ქვეყანა რევოლიუციონერთა და თავისუფლების მაძიებელთა? რამ შეაყვარათ ასე რუსეთის თვითმპყრობელიო? იკითხავთ. პასუხი ადვილი საპოვნელია, თუ კი ცოტა ეჭვის თვალით შევხედავთ ზემოდ დასახელებულ გაზეთების მონათხრობს. ნუ თუ მართლა საფრანგეთის მთელმა ერმა გამოიჩინა ასეთი სიყვარული მეფისადმი? სრულიადაც არა! მეფის სტუმრობამ გადარია მარტო ბურჟუაზია, მარტო კაპიტალისტები, ხოლო რაც შეეხება საფრანგეთის მუშებს (პროლეტარიატს), ხელოსნებს და გლეხებს, ამათ ყურიც არ გაუბღერტნიათ მეფის მობრძანების გამო და უფროს ერთ შემთხვევაში მტრულადაც კი დაუხვდენ. მეფემ ძლიერ კარგად იგრძნო ფრანგთა უმრავლესობის გულის თქმა და მოკავშირე ერის „აღტაცება“ ცოტა არ იყოს შიშის ქარსა ჰგვრიდა.

იმ მუშებს, რომელნიც კომპიენის სასახლეს ამშვენიერებდენ რუსეთისა და საფრანგეთის მოხელეებმა ეჭვის თვალით დაუწყეს ყურება. სასახლეს იცავდა რუსეთისა და საფრანგეთის პოლიციელები. სამუშაოზე აყენებდენ მარტო «კეთილ საიმედო» მუშებს. ე. ი. უფრო განუვითარებელთ. სამუშაოზე დაყენებამდის იღებდენ მათ ფოტოგრაფიულ სურათს, რომლის ერთი ცალი პოლიციელთა ჰქონდათ შენახული, ხოლო მეორე თვით მუშათ, მუშის სადაურობა ვინაობაც ძლიერ საყურადღებო გახლდა პოლიციელთათვის. სასახლის შესავალ-გასავალი კარებები სასტიკად იყო დადარაჯებული და იმ რკინის გზის ლიანდაგის მთელ სიგრძეზე, რომელზედაც ხელმწიფეს უნდა გაევლო, ჯარის კაცები იყო ჩამორიგებული. ასე მოგვითხრობს ბურჟუაზიული გაზეთი «ტანი», რომელიც მეგობრულად მიეგება რუსეთის მეფეს. ხელმწიფეს პარიზშიაც უნდოდა შესვლა, მაგრამ იგრძნო, რომ იქ ბევრს უსიამოვნებას შეხვდებოდა და პარიზის უნახავად რუსეთისაკენ იბრუნა პირი. როგორც სჩანს, მუშათა პარტიის განცხადებიდან პარიზის მუშები მარტო

---

*) როდესაც ნიკოლოოზ მეორე ავიდა მეფის ტახტზე, ზოგიერთმა ერობის წარმომადგენლებმა მოკრძალებით გაახსენეს ახალგაზდა მეფეს, რომ ხალხის ბედ-იღბალი არ იმყოფებოდეს მარტოოდ მეფის სრულ, უკონტროლო განკარგულებაში, რომ ხალხსაც შეძლება ჰქონდეს თავის ბედიერებაზე მაინც ამოიღოს ხმა... ამაზე მეფემ ურცხვად უპასუხა, რომ ამისთანა „სულელურ ოცნებებს“ (безсмысленныя мечтанія) ის ყურსაც არ ათხოვებს!..

ლთ და ხვარს არ დააყრიდენ «საყვარელ და მოკავშირე ერის» თვითმპყრობელს.

მოგეხსენებათ, რომ რაც უფრო ძლიერია ერთი რომელიმე სახელმწ-ფო, მით უფრო ეშინიათ მეორე სახელმწიფოებს, რადგან ძლიერ სახელმწიფოს მსოფლიო ბაზარზე დიდი ადგილი უჭირავს და მის მრეწველობა-აღებმიცემობას ფართო ასპარეზი უკავია. საფრანგეთის კაპიტალისტებიც სულ იმის ცდაში არიან, რომ საფრანგეთი გაძლიერდეს, მისმა მრეწველობამ ძლიერად გაშალოს ფრთა. ამის გამო საფრანგეთის ბურჟუაზია მთელი თავისი ძალღონით ცდილობს გაამრავლოს ჯარი, გააფართოვოს ზღვაოსნობა და მეზობელთათვის საშიშარი შეიქმნას. მაგრამ არეთი მისი ცდა ისე ვერ გააძლიერებს საფრანგეთს, როგორც ეს მისს ბურჟუაზიას ჰსურს. შედარებით სხვა სახელმწიფოებთან საფრანგეთი სუსტია, მით უმეტეს, რომ მას გვერდში ამოსდგომია სამთა შორის კავშირი (გერმანია, ავსტრია, იტალია). მაშ რაღა დარჩენია საფრანგეთის ბურჟუაზიას? ისა, რომ თავის სასარგებლოდ მოებღაუჭა რუსეთს და დაუკავშირდა მას. ხოლო როდესაც საქმე კაპიტალისტთა სარგებლობაზეა მიმდგარი, მაშინ თავისუფლებასა და ადამიანობაზე მაგრე რიგად აღარავინა ჰფიქრობს. აღარ გაახსენდათ საფრანგეთის კაპიტალისტებსაც ის გარემოება, რომ რუსეთი მთელის თავისის წესწყობილებით, თავისის მეფით, რომელიც განხორციელებაა რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრების უბადრუკობისა, ის რუსეთი, რომელიც მხარეა მონობისა და მტარვალობისა, შეუფერებელი მოკავშირეა საფრანგეთისათვის, საფრანგეთის ბურჟუაზიამ რუსეთთან შეერთებით პირი იბრუნა, დაივიწყა ყველა ის სიქველე, რითაც იგი იხსენიება კაცობრიობის ისტორიაში. ქვეყანა თავისუფლებისა და ძმობა ერთობისა — მტარვალობის სამეფოს გადაეხვია! განა რომ საკვირველია კაპიტალის გაუმაძღრობა და მისი დაუდევრობა. წარმომადგენელნი უთავისუფლესი ერისა, თავის სარგებლობისათვის მუცლითა ხოხავენ დამონებულ ერის თვითმპყრობელის წინაშე. ქვეყანა თავისუფლებისა უკავშირდება ბარბაროსობის ქვეყანას!.. მაგრამ თუ საფრანგეთის ბურჟუაზიამ დაივიწყა დიდი რევოლიუციის 1789 წლის ნაანდერძევი, სამაგიეროდ არ დავიწყებია იგი საფრანგეთის მუშათა პარტიას, პროლეტარიატს.

რადგანაც რუსეთის არც ერთ გაზეთში კრინტიც კი არ დაუძრავთ ამ მუშათა შესახებ და მათი გულის თქმა არ გადაუციათ თავისს მკითხველებისათვის, ამიტომ საჭიროა სიტყვა სიტყვით გავიმეოროთ მოწოდება (მანიფესტი) საფრანგეთის სოციალისტთა უმთავრესი კომიტეტისა.

,,მანიფესტი სოციალისტურ პროლეტართა მიმართ.

,,კაპიტალისტურ წყობილების მეოხებით, ყველა ქვეყნის მთავრობანი საზოგადოდ ერთმანეთს ემსგავსებიან, თუნდაც კერძოდ დიდადაც განირჩეოდენ ერთიმეორისაგან. თითოეული ქვეყნის მთავრობა წარმომადგენელია იმ ჯგუფისა, დამცველია იმ კლასისა, რომელმაც იგი წარმოშობა. ეს კლასი არის ბურჟუაზია. მელინის მართველობის შემდეგ, თითქმის მეორე დღეს იმ უბედურებისა, რომელიც რუსეთის პროლეტარიატს დაადგა, ვალდეკ-რუსსოს სამინისტროც არ თაკილობს და სიხარულით ეპატიჟება მეფეს იმ ხალხის (ჯარის კაცების) დასახედავად, რომლებიც განმზადებულნი არიან მომავალის ჟლეტვისა და ხოცვისათვის.

რუსეთის მეფემ უსირცხვილოდ დაივიწყა რა თავისივე აღთქმანი, რომელიც გაგაში დასდო,—სიამოვნებით მიიღო სამინისტროს მიპატიჟება და ომის განმამტკიცებელ ძალღუმების სანახავად საფრანგეთისაკენ გამოეშურა. და აი ამ დროს, როდესაც ასეთი სირცხვილი უნდა სჭამოს რესპუბლიკანურმა საფრანგეთმა, უმთავრესი კომიტეტი ჩვენი პარტიისა თავის მოვალეობადა სთვლის: ზიზღი გამოუცხადოს ყველა იმას, რაც კი წინააღმდეგება, რაც კი შელახავს და შეაგინებს იდეათა განვითარებასა და ადამიანობას, შელახავს იმ გრძნობათ, რომლებიც ოდესმე ყველა ხალხთ ძმებსავით შეაკავშირებს და შეაერთებს. სულითა და გულით თანაუგრძნობთ რა მეფის მტარვალობით დაღუპულ მსხვერპლებს, ვთხოვთ ჩვენი პარტიის წევრებს, რომ არავითარი მონაწილეობა არ მიიღონ იმ სამარცხვინო მხიარულება-დახვედრაში, რომელთაც რუსეთის მტარვალის მოსვლა გამოიწვიეს. კომიტეტივე სთხოვს ყველა იმ დეპუტატებს, რომლებიც კი სოციალისტებად იწოდებიან, რომ ყოველივე ძალ-ღონით წინაღუდგენ მეფის დასახვედრად განმზადებულ ხარჯთაღრიცხვის დამტკიცებას, თუ სურთ რომ სოციალისტურ პროლეტარიატისაგან პატივცემულნი დარჩენ.

[illegible] პარტიის უმთავრესი კომიტეტი''.

აი როგორ მიეგებნენ რუსეთის მეფეს საფრანგეთის მუშათა პარტია და მათი წარმომადგენელნი. აქედგან ცხადადა სჩანს, რომ ის, ვინც მთელ საფრანგეთის ერს აწერს უდიდესს აღტაცებას მეფის სტუმრობისა გამო, ან მატყუარაა, ან არა და განგებ დაბრმავებული.

საფრანგეთის მუშათა პარტია არ მოატყუებინებს თავს; მან კარგა იცის, რომ ძლიერ რუსეთთან კავშირი არავითარ დიდებას არ მოუტანს საფრანგეთს, კარგა იცის რომ ბურჟუაზია და მათი ყურმოჭრილი მონა-მოსამსახურე პრეზიდენტი და მინისტრები თავისს სარგებლობაზე უფრო ჰფიქრობენ, ვიდრე საფრანგეთზე. საფრანგეთის მუშებს მარტო მარქსის მოძღვრება სწამთ. ,,პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით''! უანდერძა მარქსმა ყველა ქვეყნის მუშებს და მარტო ამ მოძღვრების განხორციელებას შეუძლიან დაამყაროს ქვეყნათ სრული თავისუფლება, ძმობა და ერთობა.

როგორღა უყურებს თვით რუსეთის ხალხი საფრანგეთთან კავშირს, საფრანგეთში გადახდილ დღესასწაულებს რუსეთის მეფის მოგზაურობის გამო? ამ კითხვებზე საყურადღებო პასუხს იძლევა რუსეთის დიდებული მწერალი [illegible] ტოლსტოი. [illegible] რას უპასუხებს ტოლსტოი პიეტრო მაცინის—იტალიანურ გაზეთების თანამშრომელს: (წერილი დაბეჭდილია საფრანგეთის გაზეთებში).

,,მოწყალეო ხელმწიფევ!

თქვენ პირველ კითხვაზე: რა თვალით უყურებს რუსეთის ერი საფრანგეთთან კავშირსაო; გიპასუხებთ: რუსეთის ერს, წარმოდგენაც კი არა აქვს ამ კავშირის შესახებ, და არც კი იცის არსებობს სადმე ასეთი კავშირი თუ არა, რო იცოდეს კიდეც, დარწმუნებული ვარ, ავის თვალით შეხედავს ამ კავშირს, რადგან ერის სალი გონება ადვილათ მიხვდება, რომ ერთ რომელიმე ერთან განსაკუთრებული დაახლოვება და კავშირი უბედურების მეტს ვერას მოუტანს მოკავშირე ერს, ვინაიდგან ადვილი შესაძლებელია რომ ამ განსაკუთრებულის კავშირის მეოხებით სხვა ერებთან სიძულვილი, და ომიც კი მოუხდეს.

კითხვაზე — თანაუგრძნობს თუ არა რუსეთის ერი ფრანგების აღტაცებასაო? მე მგონია, რომ რუსეთის ერი არ უნდა თანაუგრძნობდეს ფრანგების გატაცებას (თუ კი მართალია საფრანგეთის მთელი ერის აღტაცება ჩვენთან კავშირით, რაშიც მე ძლიერ ვიეჭვნეულობ). თუნდაც რომ თანაუგრძნობდეს მე მგონია, რომ თუ გაიგო რაც კეთდება და რასაც ლაპარაკობენ ამ კავშირის სახელით, ურწმუნოთ შეხედავს და იგრძნობს ზიზღს იმ ხალხისადმი, რომელიც სრულებით უმიზეზოთ უცებ უცხადებს მას რაღაც უცნაურ სიყვარულს. რაც შეეხება თქვენ მესამე კითხვას — რა მნიშვნელობა აქვს ამ კავშირს კაცობრიობის წინმსვლელობა განვითარებისათვისაო (ცივილიზაციისათვის) უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემის აზრით ამ კავშირს მავნებლობის გარდა არავითარი სიკეთის მოტანა არ შეუძლიან ქვეყნისთვის, რადგან ამ კავშირს სხვა არავითარი მიზანი არ აქვს, გარდა იმისა, რომ ან ომი ასტეხოს, ან ძალის შიშის ზარი დასცეს მეზობელ ერებს. რაც შეეხება კერძოთ საფრანგეთს და რუსეთს, ამ კავშირს ჯერ არავითარი

ხეირი არ მოუტანია ამ ერებისთვის და ვერც მომავალში მოუტანს. პირიქით ჯერ ჯერობით ზარალის მეტს ვერასა ვხედავთ. საფრანგეთის მთავრობა, გაზეთები და საზოგადოების ის ნაწილი, რომელნიც ტაშს უკრავენ ამ კავშირს იძულებულნი შეიქმნენ ბევრ შემთხვევაში უარი ეყოთ ზნე ჩვეულებანი თავისუფალის, ლმობიერის ერისა და თვალთმაქცობით ანუ გულწრფელათ შეერთებოდენ იმ მთავრობის გრძნობის თქმასა, რომელიც მთელ ევროპაში ყველაზე უფრო დაქვეითებული, ბარბაროსული და სასტიკია. ეს კი ძრიელ მაზარალებელია მთელის საფრანგეთისათვის, ხოლო რუსეთს ხომ ამ კავშირმა კიდევაც მოუტანა და მომავალშიც მოუტანს დიდს უბედურებას. რუსეთის მთავრობას ყოველთვის რცხვენოდა და ერიდებოდა ევროპის საზოგადო აზრისა. მაგრამ მას შემდეგ რაც იგი დაუკავშირდა ევროპის ყველა ერებზე უფრო განათლებულ ერს, მას შემდეგ რაც თავი თვისი მისს სწორათ წარმოიდგინა, დღითი დღე უფრო უკან-უკან იწევს, სასტიკდება და ბარბაროსდება. ამგვარად ეს ბედუკუღმართი კავშირი ჩემის აზრით, დიდად მაზარალებელია, როგორც ორივე ერისათვის, ისე მთელის კაცობრიობისათვის.

9 სექტემბერი, 1901 წ. ლ. ტოლსტოი".

ჩვენ, შეგნებული მუშები, უნდა შევუერთდეთ რუსეთის დიდებულის მწერლის აზრს. ჩვენ რუს-ფრანკოთა კავშირი მავნებლადა და საზარალოდ უნდა ჩავთვალოთ, ვიბრძოლოთ პოლიტიკურ თავისუფლების მოსაპოვებლად. და ამ ბრძოლით მივიპოვებთ მას, რომ მივცემთ მთელი ქვეყნის წინაშე პასუხს ჩვენი მეფეების და მინისტრების ფარისევლურ რეჩებზე, როგორი პასუხიც მასცეს საფრანგეთის მუშებმა. გვწამდეს, რომ ჩვენ ჩვენის ბრძოლით მივაღწევთ ერთა შორის ფარისევლურ კავშირს კი არა, არამედ ისეთ კავშირს, რომელიც ერთა შორის ნამდვილ ძმობას დაამყარებს, რომელიც ბოლოს მოუღებს ყოველგვარ შევიწროებას, ცარცვა-გლეჯასა და რომელიც თითოეულ დამაშვრალს მყუდრო და ადამიანურ ცხოვრებას მიანიჭებს.

დასასრულ ორიოდე სიტყვით მოვიხსენიოთ მიზანი რუსეთის მეფის საფრანგეთში მოგზაურობისა. ეს მიზანი ცხადი იქნება, თუ რომ ერთხელ კიდევ გადავიკითხავთ მთავრობის მიერ გამოქვეყნებულ შემდეგ დეპეშას: „რადგანაც საზღვარ-გარეთის ზოგიერთმა გაზეთმა ხმა გაავრცელეს, რომ ვითომც ხელმწიფე იმპერატორი იმიტომ გაემგზავრა საფრანგეთში, რომ რუსეთის მთავრობის მიერ განზრახულ საფრანგეთიდგან სესხის აღებას ხელი შეუწყოსო, ფინანსთა სამინისტრო ამით აცხადებს, რომ მისის უდიდებულესობის მოგზაურობის დროს და არც მას შემდეგ, რაიმე ახალ სესხის შესახებ არავითარი ბჭობა არ ყოფილაო". ეს დეპეშა, რასაკვირველია, ქაჯურად არის დაწერილი და რასაც აქ უარსა ჰყოფენ, ჩვენ სადასტუროდ უნდა მივიღოთ*). განა რუსეთის მეფე ტყუილად ესაყვარლებოდა საფრანგეთის მდიდარ ბანკირებს, ურია-როტშილდებს, ის მეფე, რომელიც თავისს სამშობლოში ურიებისავე შესახებ ათასგვარ საზიზღარ და ბარბაროსულ კანონებს აბატონებს?

მუდმივმა შიმშილობამ ბოლო მოუღო რუსეთის გლეხთა კეთილდღეობას, ხაზინას შემოსავალი დღითი-დღე აკლდება და ვიტტეს თვალთმაქცობა ველარასა შველის. ფული კი ძრიელ საჭიროა ჯარისა და ხომალდების გასაძლიერებლად. ძალა-უნებურად რუსეთის მთავრობას სესხზე უნდა ეფიქრნა და კიდეც ამიტომ გაემგზავრა რუსეთის მეფე საფრანგეთში, სადაც იგი ქუდ მოხდილი იხმენდა „მარსელიეზას", ამ ბარბაროსობის განმანადგურებელ საერო სიმღერას, და „სამართლიანობის და წესიერების შესახებ" წარმოთქმულ სიტყვებს „ლტაცებით" ტაშს უკრავდა... («Южн. Раб.»)

*) წინადაც ყოფილა ასეთი შემთხვევები. რუსეთის ფინანსთა მინისტრი აცხადებს რომ რუსეთის ფინანსები მშვენიერ მდგომარეობაშია, რომ რუსეთის მართველობა არც კი ფიქრობს სესხის აღებას, რომ ამაზე დაყრილი ხმები ჭორიაო;—ერთი თვის შემდეგ შეხედავ და კვირობ: იგივე მინისტრი აცხადებს რომ ახალი სესხის აღება ეთილსაიმედოდ მოხდაო!..

„ბრძოლას".

ერთად ერთი ხარ, სხვათა მრავალში
ჭეშმარიტების მღაღადებელი,
წყვდიადით მოცულ ჩაგრული ხალხის
ალმადგენელი, გამხნევებელი.
ერთად ერთი ხარ, მთელ ნუგეშად.
ჩემი სამშობლოს, ცის ვარსკვლავი,
თავგანწირული გმირი მამაცი,
დიად აზრების გამომსახველი.
მაშ დაჰკა მედგრად და იღაღადე
დამაშვრალთ მწარე გულის ტკივილი,
ვის არ ესმინეს ოხვრა და კვნესა,
არცა მუდარა, არცა ჩივილი!
ვისიც ხელითა სოფელი ესე
აგებულა და გამშვენებულა,
ვისიც ოფლითა ძე ნებიერი
გამოკვებულა, გალაღებულა.
ვის ზურგზე ბრუნავს ცხოვრების ჩარხი,
ვის უმადურად აძრობენ ტყავსა,
ვისაც ჯალათი სიცოცხლეს უსპობს,
და ვინაც შიშით ვერ იღებს ხმასა...
ვისაც ღლისით ხვდა შრომა ურგები,
ღამე სარდაფი ნესტი და ბნელი,
ვისგანაც სვამენ ტკბილსა ფიალას
და მას ეძლევა მხოლოდ ნალექი...
დაჰკა იმათთვის ტკბილსა ნაღარას,
გაფანტე ბნელი გარემოცული
და აღადგინე კაცობრიობა
დღეს დაჩაგრული, დამცირებული!
დალეწე ტახტი სისხლით მოსვრილი,
ძირს ზედ მტარვალი წამოსკუპული!
ძირს საზიზღარი წეს-წყობილება,
მსუნაგ დიდებულთგან მოწონებული!
და დამანახვე შენი გმირები
ბრძოლისა ველზედ გამარჯვებული,—
ხელთ ეპყრათ დროშა, და ზედ ეწეროს
თავისუფლება და სიყვარული.

X.

ნაციონალიზმი და სოციალიზმი.

მეცხრამეტე საუკუნემ თავის მემკვიდრეს უანდერძა ორი დიდი ძალა და ამ ძალების ბრძოლა შეადგენს ჩვენის აზრით მეოცე საუკუნის [illegible]არსს. ეს ძალებია — ნაციონალიზმი და სოციალიზმი — ორთავე ნაყოფი მეცხრამეტე საუკუნისა. ამითი იმის თქმა არ გვინდა რომ, ვითომ წარსული საუკუნოების ცხოვრებაში არ ჰქონოდეთ მათ ადგილი. კითხვა ნაციონალიზმისა და სოციალიზმისა ისევე ძველია, როგორც ძველია თვით კაცობრიობის ისტორიაც. ჯერ კიდევ ისტორიის პირველ ხანებში ვხვდებით ადამიანთა შორის კოლლექტიურ (საზოგადობრივს, ჯგუფურს) წყობილებას; და განა შემდეგში სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა ერებში ცოტა ახსოვს ისტორიას სოციალიზმის მოციქულები? განა პლატონი (საბერძნე-

თში), იესო ქრისტე (ურიასტანში), ტომას მორი (ინგლისში), კაბე და მრავალი სხვები არ მიუძღოდენ საზოგადოების ერთ ნაწილს სოციალისტური წყობილების დასამყარებლად? ან განა ეროვნული ბრძოლა არ ავსებს თითქმის მთელ ისტორიას ძველი დროიდან დაწყებული—დღემდე? ორთავე ეს კითხვა მჭიდროთ არის შეკავშირებული თვით კაცობრიობის ისტორიასთან, წარმოება მრეწველობის განვითარებასთან, საზოგადოებაში შრომის დაყოფასთან, ძველი სახელმწიფოების აღორძინება და დაქცევასთან და ახლების გაძლიერებასთან. მაგრამ მეცხრამეტე საუკუნოში ჩამოყალიბდენ მკაფიოდ ორთავე ეს ძალები, გაშალეს მთელი თავის ძალღონით ფრთები, ჩაიხვიეს მთელი დღევანდელი კაცობრიობა... და გარდა ამისა ორთავე ეს ძალა ერთი მეორეს დაუდგენ როგორც მოწინააღმდეგენი, როგორც მებრძოლნი და ამ ბრძოლაში დამარცხება ერთისა, ნიშნავს მის სრულ მოსპობას, მის ისტორიული ასპარეზიდან მთლად ჩამოცლას.

ჩვენ ვიცით, რომ ნაციონალურ იდეას ისეთი ფართო გამოყენება არა ჰქონდა საშუალო საუკუნოების ცხოვრებაში, როდესაც მეფობდა ნატურალური მეურნეობა, როგორც დღევანდელ კაპიტალისტურ წყობილებაში. მაშინდელი ევროპა, დაყოფილი უთვალავ სამთავროებათ, არ იყო ნაყოფიერი ნიადაგი ნაციონალური იდეის გასავითარებლად. მაშინდელი საზოგადოებრივი წყობილება ხელს უშლიდა მიეღო ამ იდეას ისეთი სახე, როგორი სახეცა აქვს დღეს —კაპიტალისტურ წყობილებაში. მაშინ გლეხის ინტერესები თავის სოფლის იქით აღარ მიდიოდა: იქ ხნავდა, იქ თესავდა და იქვე მოჰყავდა ყველაფერი თავისთვის საჭირო. ფეოდალები არხეინად გრძნობდენ თავს: მათ გარშემოვლებული ჰქონდათ „თავისი“ სოფლები და „თავისი“ გლეხებიდან იღებდენ ყველაფერს თავის განებივრებულ ცხოვრებისათვის. ცენტრალურ მართველობას-კი, აბსოლიუტურ მონარხიას, თავის სანტვრევი არა ჰქონდა დასდგომოდა სხვა ქვეყნების დამონების პოლიტიკას.

სულ სხვა გვარად შეიცვალა გარემოება, როდესაც ცხოვრების მოედანზე გამოვიდა მრეწველი. ეს ვაჭბატონი ჰქმის ცხოვრებისათვის საჭირო საგნებს თავის მოსახმარად კი არა—გასაცვლელად სხვა საგნებზე (ფულზე). მას სურს, თუ თავის სოფელში (ან ქალაქში) ვერ უშოვა თავის საქონელს მუშტარი, სხვაგან უშოვოს, თუ თავის თემის მუშტარი არა ყოფნის, სხვა თემის ბაზარიც მოიპოვოს. აი ამ მრეწველთა კლასის წარმოშობით ძირეულად შეიცვალა პოლიტიკური წყობილება და აქედან ნაციონალური იდეის გავრცელებაც. ცენტრალურ მართველობას საზრუნველად გაუხდა მოუპოვოს თავის ქვეყნის მრეწველთა კლასს რაც შეიძლება ფართო ბაზარი, თუნდ მთელ ქვეყანაზედაც. აუცილებელ საჭიროდ გახდა აღაგმვა ფეოდალების თვითნებობისა (პარტიკულიარიზმისა) და პოლიტიკური ძალის ცენტრალურ მართველობაში მოკრებისა; საჭირო შეიქნა ძლიერი ჯარი, ფლოტი, მდიდარი ხაზინა... სხვადასხვა ეროვნების მრეწველ ვაჭართა შორის მალე ჩნდება დაუცხრომელი ქიშპობა, და გამარჯვებაც იმისია, ვინც თავის სახელმწიფოს მართველობაში ძლიერ დახმარებას იპოვის. მხოლოდ ძლიერ სახელმწიფოს შეუძლიან მოუპოვოს თავის მრეწველ-ვაჭრებისათვის სასარგებლო სავაჭრო ხელშეკრულობანი და თავის „სამშობლო ნაწარმოებს“ გაუკაფოს გზა მსოფლიო ბაზარზე. ამის შემდეგ გასაკვირველი აღარ არის, რომ მსხვილი ბურჟუაზია ყოველგან და ყოველთვის მომხრეა ძლიერი „ნაციონალური პოლიტიკისა“ და ნაციონალური იდეაც სხვას ვერ იპოვის ისეთ თავგამოდებულ მომხრეს და დამცველს, როგორც ბურჟუაზიას. ბურჟუაზიისათვის ძლიერი ნაციონალური სახელმწიფო ნიშნავს დიდ მოგებას. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოებაც, რომ კაპიტალიზმის პირველ საფეხურზე მუშათა კლასიც დაინტერესებულია ძლიერ ნაციონალურ სახელმწიფოთი, რამდენადაც ეს ძლიერება ნიშნავს ფეოდალების უფლებებს შეზღუდვას და ნაციონალურ გაერთიანებას, რადგან ერთის მხრით, შეზღუდვა ფეოდალების უფლებებისა და მეორე მხრით ნაციონალური გაერთიანება ხელს უწყობს „მწარმოებელ“ ძალის განვითარებას. ნაციონალური გაერთიანება მუშასათვის ნიშნავს გაძლიერებულ მრეწველობას, მაშასადამე, დიდ სამუშაო ქირასაც, ნიშნავს აგრეთვე თავისუფლებას ერთი ადგილიდან მეორეში გადასვლისას,—მაშასადამე თავის საქონლის—სამუშაო ძალის—უფრო სარფიანად გაყიდვას. კაპიტალისტურ წყობილებაში თვით გლეხიც კი დაინტერესებულია მრეწველობა-ვაჭრობის განვითარებაში, საქონლის შინაურ ბაზარზე გაცვლის თავისუფლებაში, საქონლის სხვა ქვეყნებში გატანის აწევაში, სავაჭრო ხელშეკრულობათა სარგებლობაში და სხვ. მაშასადამე,—ნაციონალურ გაერთიანებაში, ნაციონალურ ძლიერებაში. ამ გარემოებათა წყალობით ნაციონალურ იდეას უჩნდება ნიადაგი თვით ხალხში და სწორედ ეს შეადგენს ჩვენი დროის ნაციონალიზმის განსაკუთრებულ დამახასიათებელ მხარეს. რადგან ნაციონალურ იდეას ფესვი მოკიდებული ჰქონდა თვით ხალხის ინტერესებში, მისი მოძრაობაც მტკიცედ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული ხალხისავე ინტერესებთან. და თითქმის ყველა საზოგადოებრივ მოძრაობას, ყველა რევოლიუციებს მე-XIX საუკუნეში სახეში ჰქონდათ უმთავრესად ორი მიზანი: ერთის მხრივ, საერთო განმათავისუფლებელი ინტერესები, განთავისუფლება ადამიანის პიროვნებისა იმ ბორკილებიდან, რომლითაც მიჯაჭვული იყო საშუალო საუკუნოებში და რომელიც ხელს უშლიდა მრეწველობის განვითარებას და მეორე მხრივ ეროვნული გაერთიანება, ეროვნული გაძლიერება.

ამის შემდეგ ჩვენთვის ადვილი გასაგებია ის აღორძინება ეროვნებათა, რომელიც მე-XIX საუკუნემ გვაჩვენა. შეერთება იტალიისა, გერმანიისა, ნაციონალური მოძრაობა ვენგრიაში, აღორძინება სლავიანთა ერებისა, შეერთება იაპონიისა,—აი ფაქტები, რომლებიც არა ერთსა და ორს ეჩვენა გასაკვირველად.

ნაციონალურ იდეის განვითარება აქამდე მხარდამხარ მიდიოდა საერთო განმათავისუფლებელ მოძრაობასთან, რომელსაც ბურჟუაზია ხელმძღვანელობდა. განთავისუფლება პიროვნებისა (ინდივიდუმისა) და გაძლიერება ეროვნებისა—აი ის ორი ძალა, რომელიც მე-XIX საუკუნეში მსგავსად მსოფლიო წარღვნისა ლეკავენ ყველაფერ დამაბრკოლებელს თავის განვითარებაში და იმონებენ თითქმის მთელ კაცობრიობას—კულტურულ ევროპიელსაც, აქამდე გაბრუებულს და დაძინებულ სლავიანსაც, ყვითელ კანიან იაპონელსაც. და ამ ორ ძალას შეუძლიანთ იამაყონ თავიანთი გამარჯვებებით: დღევანდელი ევროპის ძლიერი სახელმწიფონი, აშენებულნი პიროვნების თავისუფლებაზე და ნაციონალურ ძლიერებაზე—ნაყოფია მათი გამარჯვებისა.

მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ეს გამარჯვება მოპოვებულია ბრძოლით; რომ ეროვნული განვითარება ერთი რომელიმე სახელმწიფოსი, ერთი რომელიმე ეროვნებისა ნიშნავს დაჩაგვრას, დამონებას და განადგურებასაც მეორე სახელმწიფოსი და ეროვნებისა. და ყველა თანამედროვე სახელმწიფოების ძლიერება დამყარებულია მრავალ ერის დაჩაგვრა-დამონებაზე. აი ეს გარემოება ხდის აუცილებლად ნაციონალიზმის ორად გაყოფას. თანამედროვე ცხოვრებაში ჩვენ ვხედავთ ნაციონალიზმს გაბატონებულის ნაციისას და ნაციონალიზმს დაჩაგრული ნაციებისას, და აქ შორდებიან ერთმანეთს პროლეტარიატის და ბურჟუაზიის გზებიც ნაციონალიზმის კითხვაში. წინანდელი სახელმწიფო არ იყო ნაციონალური იმ აზრით, როგორც ეხლა გვესმის ამ სიტყვის მნიშვნელობა. ის კმაყოფილდებოდა დამორჩილებული ხალხის მხოლოდ გარეგანი შემოერთებით და არ ერეოდა ამ ხალხის შინაურ ცხოვრებაში. მაშინდელი სახელმწიფო ხშირად შესდგებოდა რავალ ეროვნების შეერთებით, რომლებიც ერთი ერთმანეთისაგან განირჩეოდენ ენითაც, სარწმუნოებითაც, ზნე-ჩვეულებითაც და შინაური ცხოვრების მორთვა-გამგეობითაც.

სულ სხვაა დღევანდელი ნაციონალური სახელმწიფო. ის თავით ბოლომდე ცენტრალისტური მიდრეკილებით არის გამჭვალული; ის ცდილობს ძალით მოახვიოს თავისი ენა, თავისი კულტურა ყველა მცხოვრებელთ. ცდილობს სრულიად მოსპოს ეროვნების ინდივიდუალური გამოხატვები და ყოველიფერზე სურს თავის საკუთარი ინდივიდუალური ბეჭედი დაასვას თუნდაც დამორჩილებული ერით ეკონომიურად ვერა სარგებლობდეს (ირლანდია ინგლისში). ჩვენ არ შეუდგებით აქ ამ მოვლენის მიზეზების გამოკვლევას, ეხლა ჩვენ ამის ნაყოფი უფრო გვაინტერესებს. ნაყოფი კი ის არის, რომ ამ ნაციონალურმა დაჩაგვრამ, შევიწროებამ შექმნა ნაციონალური მოძრაობა იმ გვარ ნაციებშიაც კი, სადაც უმისოდ ადგილი არ ექნებოდა ამ მოძრაობას. ხომ იმაზედ ბუნებრივი არა იქნება რა, რომ დაჩაგვრისაგან დაიცვა დედაენა, შენი საუკუნოებით გადმოცემული ჩვეულებანი, რომლებსაც სიყრმითვე შეეზარდე? განსაკუთრებით ეს დაცვა ბუნებრივია ჩვენ დროში, როცა ხალხის ძალამ გაიღვიძა, როცა ხალხი დგება ყოველგვარ შევიწროების წინააღმდეგ. ნაციონალური შევიწროებაც ვერ აცდებოდა ამ ბედს. ჩვენ ვხედავთ იმ გვარ ერების ალორძინებას, რომლებიც უკანასკნელ დრომდე გაჩუმებული იყვნენ, თავისი ნაციონალური თვისებანი თითქმის დაკარგული ჰქონდათ და შეთვისებული ჰქონდათ უცხო ენა და ჩვეულებანი. თამამად შეგვიძლიან ვთქვათ რომ ამ 100, 50 წლის წინად არ არსებობდა ჩეხებში ნაციონალური მოძრაობა, დღეს კი მათი ეროვნული ალორძინება მაგარ ძალას წარმოადგენს. ამ გვარათვე წამოყვეს თავი ისეთ წვრილმა ერებმაც კი როგორც არიან ესტები, ლატვინები და სხვა, რომელთაც აქამომდე არა ჰქონიათ თავისი ნაციონალური ცხოვრება, არც თავისი ნაციონალური კულტურა.

როგორ უყურებს სოციალიზმი ამ ნაციონალურ მისწრაფებათ? რამდენათაც ნაციონალური ბრძოლა მიმართულია წინააღმდეგ ნაციონალური შევიწროებისა, წინააღმდეგ ძალად გაგერმანელებისა, გარუსებისა და სხ. სოციალიზმი თანაუგრძნობს მას. ნაციონალური თავისუფლება არის ერთი მხარეთაგანი პიროვნული და საზოგადოებრივი თავისუფლებისა და ამიტომ ნაციონალური თავისუფლება განუყრელად შედის პროლეტარიატის საერთო დემოკრატიულ პროგრამაში. თუ ეს ასეა, მაშ უცნაურად უნდა გვეჩვენოს ის მოვლენა, რომ ხშირად სოციალისტური პარტია არ თანაუგრძნობს ნაციონალურ ბრძოლას, რომ ხშირად სოციალიზმი და ნაციონალიზმი ერთი მეორის მოქიშპეთ გამოდიან? გასაკვირველი არ არის როცა სოციალისტური პარტია სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლას უწევს შემავიწროებელთა ნაციონალიზმს. მაგრამ რატომ სოციალისტური პარტია აუცილებლად არ უჭერს მხარს მებრძოლ შევიწროებულ ერებს? ჩვენა ვთქვით, რომ ნაციონალური თავისუფლება განუყრელად შედის პროლეტარიატის საერთო დემოკრატიულ პროგრამაში. ეს სიტყვებივე გვაძლევენ გადაჭრილ პასუხს ჩვენ კითხვაზედ: ნაციონალური თავისუფლება გამოდის როგორც ნაწილი საერთო დემოკრატიული თავისუფლებისა და მაშასადამე მას, ნაციონალურ თავისუფლებას, არ შეუძლიან დაიმორჩილოს მთელი საერთო-დემოკრატიული თავისუფლება. და ამიტომ ყოველთვის, როდესაც კი ნაციონალური და საერთო-დემოკრატიული ინტერესები ერთმანეთს უკავშირდებიან, ნაციონალურმა ინტერესებმა უნდა დაუთმონ. აი ის შეხედულობა, რომელზედაც დგას შეგნებული პროლეტარიატი და რომელსაც არასოდეს არ თანაუგრძნობს ბურჟუაზია. უკანასკნელი, წინააღმდეგ, იმ აზრისა არის, რომ ყველა ინტერესები უნდა დაუქვემდებაროს, დაუმორჩილოს ნაციონალურ ინტერესებს, რადგან ნაციონალური ინტერესები ვითომ ყველაზე „წმიდათა წმიდაა". აი ის იდეიური ნიადაგი, რომელზედაც ამოცენდენ ისეთი მოშხამული ყვავილები ნაციონალიზმისა, როგორც საფრანგეთის ნაციონალიზმი, რომელმაც თავისი სიბილწით დრეიფუსის ისტორიაში აყროლა მთელი ქვეყანა. ჩვენ ვნახეთ საითკენ მიეწეოდა ესეთი ნაციონალიზმი საფრანგეთის [illegible]. ის არა ჩერდებოდა დაეთრგუნა ის „სამართლიანობა, თანასწორობა და სიყვარული" რომლებიც ბურჟუაზიისაგანვე აღიარებული იყვნენ როგორც ხელშეუხებელნი და წმიდა წმიდანი ყველა ადამიანისთვის. ეს ნაციონალიზმი ნაციონალურ ინტერესების გულისთვის ურცხვად ფეხქვეშ თელავდა იმ დემოკრატიულ თავისუფლებას, რომელიც მის არსებით საგანს შეადგენდა თითქოს. პროლეტარიატის დემოკრატიული მიდრეკილება კი იქამდის ძლიერი და მტკიცეა, რომ მისი დაჩრდილვა, ჩახრჩობა არ შეუძლიანთ მაღალ მაღალ სიტყვებს „პატრიოტიზმზე", «სამშობლოზე» და სხ.

ნაციონალური იდეა თავის თავად რომ ავიღოთ ბურჟუაზიული იდეაა, დემოკრატიზმთან კი მას მხოლოდ დროებითი კავშირი აქვს შეკრული და შეუძლიან ყოველ წუთს გასწყვიტოს ეს კავშირი. შეიძლება ვთქვათ რომ ბურჟუაზიისათვის აუცილებელია ცოტა რამ დემოკრატობა, რომ ის ვერ შეეგუება თვითმპყრობელ მონარხიას, რომ თავის განვითარებაში ისიც ხმამაღლა ყვირის: „თავისუფლება, ძმობა, სიყვარული!" მაგრამ მისი დემოკრატობა განსაზღვრულია, მას დემოკრატიზმიდან ცოტა რამ ნაწილი უნდა და არა დემოკრატიის სრული გამარჯვება. ბურჟუაზიის კანონიერი ცოლი ნაციონალური იდეაა და დემოკრატიასთან მხოლოდ უკანონო კავშირი აქვს დაჭერილი და თავისი ბურჟუაზიული ზრდილობა უბრძანებს, რომ ჩირქი არ მოსცხოს მასთან მჭიდრო კავშირის დაჭერით, მაინცა და მაინც არ გაუხსნდეს დემოკრატიას. ისტორიას არა ერთი მაგალითით დაუმტკიცებია ბურჟუაზიის და სრული დემოკრატიული იდეის შორი-შორობა. ხშირად დაჩაგრული ერების ნაციონალიზმი დამჩაგვრელთა ნაციონალიზმად შეიცვლება ხოლმე, როგორც მაგალითად ვენგრიაში ვხედავთ. ჩვენ ვიცით, როგორი წითელი დემოკრატიული სამოსელით გამოვიდა ჩეხების ნაციონალური მოძრაობა (ახალგაზრდა ჩეხები) და როგორ ადვილად, მსუბუქად ჩაიხადა ეს სამოსელი, მას არ შერცხვა თავისი სიტიტვლისა და მოკავშირის ხელი გაუწოდა ავსტრიის რეაქციონერებს—სამღვდელოებას, ანტისემიტებს, კონსერვატორებს; რომ მისთვის უფრო საყურადღებოდ გახდა კითხვა: რომელ ენაზე იქნება ქუჩის სახელები დაწერილი ფიცრებზე, ვიდრე არჩევანების უფლება, შემოსავლის დიგვარი გადასახადის დაწესება; რომ ავსტრიის იმპერატორი წმ. ვეჩესლავის გვირგვინით ავიდეს ტახტზე, მისთვის უფრო საყურადღებოა, სანამ თვით კონსტიტუცია და სხვ. და სხვ. სუსტი დემოკრატიზმი შველის ბურჟუას გახდეს „ნამდვილ პატრიოტად" და ბურჟუა გატაცებით ებღაუჭება ნაციონალურ ლოზუნგს. ჩეხების ენის გამარჯვება ავსტრიაში დიდ სარგებლობას უქადის ბურჟუაზიას. მაშინ დაიცლება მრავალი ადგილი სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებში და აი ამ ადგილებს დაიჭერენ გაღატაკებული წვრილი და საშუალო ბურჟუაზიის შვილები; შესუსტდება კონკურენცია უცხო ხელოსანთა და ვაჭართა და სხვ.

გარდა ამისა ნაციონალური იდეა ბურჟუაზიისათვის შესანიშნავი იარაღია პროლეტ[illegible]ის წინააღმდეგ. სოციალიზმი ასწავლის პროლეტარიატს, რომ მისი ინტერესები პირდაპირ წინააღმდეგნი არიან ბურჟუაზიის ინტერესებისა, რომ ის უნდა ეწეოდეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას, რომ მისმა გამარჯვებამ აუცილებლად უნდა ბურჟუაზიის საფლავზედ გადაიაროს... აბა ამის შემდეგ როგორ არ მოებღაუჭოს ბურჟუაზია ნაციონალურ იდეას, რომელიც ეუბნება: პროლეტარიატს და ბურჟუაზიას აქვთ საერთო „ნაციონალური" ინტერესები, რომ ამ „წმიდა ნაციონალურ" ინტერესების გულისთვის პროლეტარიატმა (დროებით, ან სამუდამოდ) უნდა უარჰყოს კლასობრიული ბრძოლა ბურჟუაზიასთან, დემოკრატიისთვის და სოციალიზმისთვის ბრძოლა? ბურჟუაზიას შეუძლიან კიდეც, რომ დემოკრატიის და სოციალიზმის აშკარა მტრად არ გამოვიდეს: შეუძლიან თავისი თავი გამოაცხადოს „სოციალისტადაც" კი მხო-

ლოდ თუ ამ სახელს მიუმატებს „ნაციონალისტს", გამოვა ასე: «სოციალისტ-ნაციონალისტი» და ამ ტიტულის ქვეშ შეუდგება თავის ნაციონალურ (იკითხე ბურჟუაზიულ) საქმეების კეთებას, სოციალიზმი კი მოიცდის, ჯერ თავი და თავი, ხომ „ნაცია" ყველაზე წინ დგას! ხომ ბურჟუაზიას და პროლეტარიატს აქვთ საერთო «ნაციონალური» ინტერესები? ხომ ერთიც და მეორეც ერთგვარად არიან დაინტერესებულნი წარმოების ძალის განვითარებაში, მრეწველობის გაფართოებაში, ვაჭრობის განვითარებაში, და ჩვენ კაპიტალისტური წყობილების დროში კი ვერც ერთ ამას ვერ მივახწევთ, თუ გარეშე ბაზარი არ გვექნება ხელში ჩაგდებული. მის დასაპყრობად კი საჭიროა ძლიერი სახელმწიფო, დიდი ჯარი, ფლოტი და მათ საშუალებით მშვიდობიანად თუ ომით გავუკაფავამთ სამშობლოს ნაწარმოებს ფართო გზას. და განა ამის შემდეგ პროლეტარიატი მომხრე არ უნდა იყოს დღევანდელ სახელმწიფოთა კოლონიალური პოლიტიკისა? განა არ უნდა თანაუგრძნობდეს ჩინეთის, ტრანსვაალის, ფილიპინების დაპყრობას?.. აი საითკენ იწვევს ბურჟუაზია ნაციონალურ ინტერესების სახელით მებრძოლ, სოციალისტურ პროლეტარიატს. და ამასაც არა სჯერდება, ბურჟუაზია თავის მეცნიერების წარმომადგენლებით ცდილობს სოციალიზმი დაამარცხოს და უარჰყოს თვით სოციალიზმის მოძღვრებით. აი მაგალითად ვერნერ ზომბარტი, ერთი ნაქიერთაგანი მეცნიერი და მიღებული როგორც მარქსის მიმდევარი, რას გვიმღერის: «მარქსის მოძღვრებით კაპიტალიზმი დაიღუპება მაშინ, როდესაც ის სავსებით გამოიყენებს თავის მწარმოებელ ძალებს. თუ მაშასადამე დავეთანხმებით, რომ კაპიტალიზმმა ევროპაში თავისი საქმე გააკეთა, განავითარა სრულიად თავისი მწარმოებელი ძალები, მაშინ აქედან გამოყვანილი დასკვნა — რომ სოციალიზმის გამარჯვებაც ვითომ ახლოა — სისულელედ უნდა ჩავთვალოთ თუ კაპიტალიზმს გავშინჯავთ არა მარტო როგორც ევროპიულს, არამედ როგორც მსოფლიო მოვლენას. მაშინ ჩვენ დავინახავთ რომ კაპიტალიზმს ჯერ ხელი არც კი უხლია ქვეყნის უდიდესი ნაწილისთვის, რომ კაპიტალიზმს ჯერ დიდი ასპარეზი აქვს თავის განსავითარებლად: ჩინეთი, საშუალო აზია და სხვ. და სხვ. მაშინ სოციალიზმის სიახლოვე, პროლეტარიატის სრული გამარჯვება გადაიქცევა მხოლოდ საპნის ბუშტად, ბავშვურ ოცნებად". დასკვნა აშკარაა: სოციალიზმი გაცრუებულია თვით მარქსით! ამ დასკვნაზედ ხელის მოწერას დაიჩქარებენ თვით სოციალისტებიც ბერნშტეინის და ფოლმარის ბანაკიდან, რომლებიც ცდილობენ შეაერთონ პროლეტარიატი და ბურჟუაზია, გაამთელონ მათ შუა ჩატეხილი ხიდი. სიყალბე ამ აზრისა თავის თავად ჩანს. ასე რომ ვიფიქროთ, უნდა მივადგეთ იმ დასკვნას, რომ კაპიტალიზმი არ დაიღუპება, სანამ ქვეყნად არსებობს უკანასკნელი ხელოსანი, სანამ თავის მიწის ნაგლეჯიდან არ იქნება გამოგდებული უკანასკნელი გლეხი.

აქედან ჩვენთვის აშკარაა, რომ ბურჟუაზია თავის „ნაციონალური" ინტერესებისთვის „რისკზე" აყენებს ადამიანის ყოველგვარ ბუნებრივ უფლებებს: თუ ევროპის კაპიტალიზმს სურს თავის გავლენა გააფართოვოს, ის მზათ უნდა იყოს ყოველ გვარ მოულოდნელ შემთხვევებისთვის. მან ევროპა უნდა გადააქციოს სამხედრო ლაგერად, თავისი მუშტი მოჭედოს რკინით და გამოეთხოვოს თავის ძველებურ უფლებებს, დაადოს ბაგე პურსა და ხორცს, უარჰყოს საზოგადოების აზრი, კონსტიტუციის უფლებები... ნაციონალიზმის კანონიერი შვილის — იმპერიალიზმის არსებობა თხოულობს ყველა ამას და პროლეტარიატის წინ იბადება კითხვა: სურს თუ არა რომ ის გადაიქცეს ომში სალდატ მასალად, სურს თუ არა, რომ თავის შვილებს გამოგლიჯოს პირიდან ლუკმა, სურს თუ არა, გამოეთხოვოს დემოკრატიულ უფლებებს? თუ „ნაციონალური" სახელით გამოსული კაპიტალიზმისთვის სხვა გასავალი არ არის, თუ მის არსებობისთვის აუცილებელია გამუდმებული სვრემა ქლეტა და გამცეცება, მაშინ პროლეტარიატი თითონ მოსძებნის — სინათლისაკენ გასავალ გზას, მან იცის კიდეც ეს გზა და ვერავინ ათჯერ მეცნიერი ზომბარტიც რომ იყოს იგი ვერ შეუშლის ამ გზას. ეკლიანია ეს გზა, დიდი ბრძოლა უდევს მას წინ, მაგრამ პროლეტარიატს არ ეშინიან ამისი, ის გაუძღვება კაცობრიობას და სწორეთ ამ გზით მიიყვანს „აღთქმულ ქვეყანაში". ნაციონალიზმს და მის ნაყოფს იმპერიალიზმს კი გამოუცხადებს სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლას. ნაციონალიზმია ეხლა უმთავრესი მტერი წინმსვლელობისა და ამ მტერთან ბრძოლაც უნდა უმთავრესი იყოს. აი ამ აზრით ვთქვით წერილის თავში, რომ მეოცე საუკუნის შინაარსი ამ ძალების ბრძოლა იქნება-თქო.

ჩვენ ვხედავთ, რომ ნაციონალური იდეა თავის განვითარებაში უარს ჰყოფს ყოველგვარ დემოკრატიზმს, რომ ნაციონალიზმი დაჩაგრული ერებისაც კი გადადის დამჩაგვრელთა ნაციონალიზმზე, როდესაც კი ბურჟუაზიის ინტერესები წამოჰყოფენ თავს. ვხედავთ, რომ მსოფლიო ნაციონალიზმი ჰბადავს იმ საშინელ მოვლენას, როგორიც არის იმპერიალიზმი ხალხის განუწყვეტელი სვრემით და გამოგვყავს დასკვნა, რომ პროლეტარიატისთვის ნაციონალური იდეა თავის თავად მოწინააღმდეგე, მტრული იდეაა. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ თუ შეიძლება სხვადასხვა კლასების ინტერესების ერთიანობაზე ლაპარაკი, რომ თუ ისტორიაში დგებიან ისეთი მომენტები, როდესაც საერთო ინტერესები მაღლა დგებიან კერძო კლასობრიულ ინტერესებზე, — ესევე მომენტები ვერას გზით უარს ვერ გახდიან, ვერ მოსპობენ ინტერესების იმ ძირეულ წინააღმდეგობას, რომელიც დღითი დღე ვითარდება თვით ეკონომიური პროცესით იმ საზოგადოებაში, რომელიც დამყარებულია კერძო საკუთრებაზე და ადამიანისაგან ადამიანის დამონებაზე. ინტერესების წინააღმდეგობა — წესია, მათი (ინტერესების) შეთანხმება კი — დროებითი მოვლენაა, გამონაკლია. ასეთია ჩვენი აზრით დამოკიდებულობა ნაციონალიზმისა და კლასობრიული ბრძოლისა. პროლეტარიატს საკმაო ისტორიული გამოცდილება აქვს, რომ აშკარად აღარ ენდოს ბურჟუაზიას, თუნდ მის დემოკრატიულ ნაწილსაც, მის დემოკრატიულ სიმტკიცეში. პროლეტარიატს აღარა სურს, რომ ის მხოლოდ ბრმა იარაღად გამოდიოდეს ბურჟუაზიის ინტერესების დასაცველად. მას სურს ნამდვილი დემოკრატია და არა მისი აჩრდილი და ამგვარ დემოკრატიის დამპყრობელი კი მხოლოდ პროლეტარიატია. აქედან დასკვნა ცხადია: ვისაც სურს ისარგებლოს ამ დემოკრატიით, ვინც მის მოპოებაში დაინტერესებულია, უნდა გაჰყვეს პროლეტარიატს და არა პროლეტარიატი მათ. პროლეტარიატის დემოკრატიული პროგრამა სავსებით შეიცავს დაჩაგრულ ერების ინტერესებს, ეროვნულ თავისუფლებას და ამ ერებს სრული ნდობით შეუძლიათ გაჰყვნენ პროლეტარიატს დემოკრატიისთვის ბრძოლაში, ის არ მოატყუებს მათ, როგორც ატყუებდა მას ბურჟუაზია ყველა განმათავისუფლებელ ბრძოლაში.

აქამდე ჩვენ ვლაპარაკობდით საერთო დამოკიდებულებაზე ნაციონალიზმსა და სოციალიზმს შორის, მეორე წერილში კი განვიხილავთ, თუ როგორ უნდა უყურებდენ ეს ორი ძალა ჩვენში, საქართველოში, ერთმანეთს, თუ შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში არსებობს ნაციონალური მოძრაობა, ნაციონალიზმი ქართველებისა *).

---

*) რადგანაც ვიჩქარებით ნომრის მალე გამოშვებას (ისედაც ძალიან დაგვიანებულს) იძულებულნი ვართ გადავდვათ ამ წერილის დასასრული შემდეგი ნომრისთვის, ესევე გარემოება გვაიძულებდა ბევრგან შეგვემოკლებინა პირველი ნახევარიც. მაგრამ რადგანაც ეს კითხვა მეტად საინტერესოდ მიგვაჩნია, ჩვენ მას არა ერთხელ დავუბრუნდებით შემდეგშიც და უფრო ვრცლად განვმარტავთ გამოთქმულ შეხედულებათ ამ კითხვაზე.

რედ.

რ უ ს ე თ ი

საზოგადოება და მართველობა. პირველ ნომერში აღვნიშნეთ, რომ წრევანდელი წლის დასაწყისი შესანიშნავი იყო რუსეთის საზოგადოების გამოღვიძებით და მართველობის წინააღმდეგ მოძრაობით. მთავრობაც გულგახეთქილი, შეშინებული თავის ქვეშევრდომების გაღვიძებით მთელი თავისი ძალღონით შეუდგა თვითმპყრობელობის დანგრევისაგან დაცვას. მისთვის საჭიროდ გახდა ის «უუკიდეურესი» ზომები, რომლებიც უხვად გვეწყალობა წრეულს. სტუდენტებს როგორც იქნებოდა გაუძლებდა, ეგრე რიგად საფრთხე არ არის მისთვის მარტო სტუდენტების მოძრაობა, მაგრამ რა ქნას თვითმპყრობელობამ, როდესაც უბედურობა უბედურობას მოჰყვა: საზოგადოების გაღვიძება, მუშების რევოლიუციონური მოძრაობა და გლეხების შიმშილობა? რომელ ერთს გაუძლოს? და აი თვითმპყრობელობაც იკრიფავს მთელ თავის ძალღონეს და გამოდის ამ საშინელ მტრებთან საბრძოლველად, მან მოიწოდა ყველა ციური და ქვეყნიური ძალები და შეუდგა საქმეს. რომანოვების სასიხარულო დღეს, როდესაც ხელმწიფე იმპერატრიცამ ჰშვა მეოთხე ასული დიდი ხნის სანატრელი მემკვიდრის მაგივრად, იმპერატორი ალსავსე ლმობიერი მოსიყვარულე და მოსწავლე ახალგაზდობაზე მზრუნველობითი გულით'' აცხადებს ,,მანიფესტს'' რომლითაც სალდათ სტუდენტებს გულ მოწყალედ ჰპირდება, რომ თქვენ სალდათობას ნამდვილ სამსახურში ჩაგითვლითო. აგრეთვე გულითად მზრუნველობას ჰპირდება საზოგადოთ სწავლის ,,ძირეულად'' შეცვლის საქმეში. მხოლოდ ,,რადგან საჭიროა საფუძვლიანად შესწავლა სწავლის პირობებისა, სახალხო განათლების მინისტრს დასჭირდება მრავალი წლის მოსამზადებელი შრომა და შემდეგ რასაკვირველია რეფორმების შემოღების კითხვაც გადაწყდება''. ყოველ შემთხვევაში უნდა ვიცოდეთ, რომ სახალხო განათლების მინისტრი და პირებითაც კი არ იღებს ხმას სახალხო შკოლების გაუმჯობესობაზე. აბა ხალხს რათ უნდა განათლება, მისთვის სრულიად საკმარისია ლოცვების გაზეპირება და ამას საეკლესიო სამრევლო შკოლებიც ხომ ჩინებულად ასრულებენ!.. მოათავა რა ამ გაწყალებული დაპირებებით მოსწავლეებზე ,,გულითადი მზრუნველობა'', თვითმპყრობელობამ გაილაშქრა მეორე მტერზე—გლეხებზე.

გლეხები რუსეთში სწორედ რომ უცნაური ხალხია: ისე შესანიშნავად აქვთ მოწყობილი ცხოვრება, რომ თითქმის ყოველ წლივ შიმშილობას ახდენენ. უეჭველია აქ ბოროტი აზრი იფარება, უეჭველია თვით გლეხები გაფიცულან, თორემ როგორ შეიძლება ყოველ წლივ შიმშილობა! მაშ აუცილებლად უნდა ებრძოლოს ამ ახირებულ გლეხობას და მთავრობაც უცხადებს სასტიკ ბრძოლას... ვის? დამშეულ გლეხებს! ,,გლეხები გაირყვნენ, ზარმაცობას მიეჩვიენ, რადგან ხედავენ, რომ საზოგადოება დახმარებას უჩენს გაჭირვების დროს, მაშ უნდა მოისპოს საზოგადოების დახმარება''. ამიერიდგან შეუძლებელი ხდება ყოველგვარი საქველმოქმედო სპეკტაკლი და შემოწირულებათა შეგროვება დამშეული ხალხისათვის. შეუძლებელი ხდება დახმარების აღმოჩენა შიმშილობისგან დასნეულებული გლეხებისთვის. აღარავისა აქვს ნება დამშეულ სოფლებში მიეიდეს და საექიმო დახმარება აღმოუჩინოს გლეხებს. ვინ იცის ეშმაკს თვალი არ უჩანს... დახმარებასთან ერთად ექიმმა სულთ მობრძავ და შიმშილისაგან დასიებულ გლეხს წასჩურჩულოს, რომ ის მშიერია, იმიტომ რომ კისერზე აწევს შესანახათ ორი მილიარდიანი ხაზინა თვითმპყრობელობისა, მშიერია იმიტომ, რომ მიწა არა არა აქვს. მშიერია იმიტომ, რომ კეთილ შობილ მემამულეს ხელშია ჩაგდებული მიწა, მშიერია იმიტომ, რომ როსტოვის, ნოვოროსიისკის და ოდესის ნავთსადგურში ძლივს ეტევა საზღვარ გარეთ გასატანი რუსეთის ჭირნახული... არა, არ გვინდა მისი დახმარება! აღარც ერობის (ЗЕМСТВО) დახმარებაა გლეხებისთვის საჭირო. ეს დაწესებულება ძალიან დიდი თანაგრძნობით ეკიდება ხალხის გაჭირვებას. დაუმართა ბატონო, შკოლები, საავათმყოფები, აფთიაქები .. აბა რა საჭიროა გლეხებისთვის ყველა ეს? ხომ გაირყვნა გლეხკაცობა, ხომ მოისვა თავზე ხელი და ჩვენი როზგისთვის მოხრილი ზურგი გაისწორა. თუ მაინცა და მაინც არ დაუშლიათ და მოწყალების გაღება სურთ, მიმართონ გუბერნატორს, ან წითელ ჯვარს რომელიც სნეულ და ბებერ ღენერლების ხელშია.*) ამითი ეს მოხუცებულნიც გაერთობიან, განსაკუთრებით გუბერნატორის ცოლები შეიქცევენ ქველმოქმედებით თავს, და მართველობაც დარწმუნებული იქნება, რომ გლეხებს ამ მოწყალებიდან არაფერი მიეკარება. და ურცხვად, ავაზაკურად შეზღუდა თვითმპყრობელობამ საზოგადოების დახმარების გრძნობა. ქველმოქმედებაც კი დანაშაულად გადააქცია.

არა ნაკლებ «საზრუნავად» გაუხდა თვითმპყრობელობას რუსეთის მრავალი სექტანტობა. ამ ხალხს არა სწამთ ქრისტეს მოძღვრება ისე, როგორც თვითმპყრობელობის ძლიერ ბურჯს-მართმადიდებელ სამღვდელოებას უნდა, ისინი თავის მიხვედრით ცდილობენ შეიგნონ სახარების მარტივი სიტყვები და ირწმუნონ ისე როგორც თავის სინდისი უკარნახებთ. მაგრამ განა ეს შესაძლებელია თვითმპყობელ რუსეთში? ეს ხომ ნიშნავს, რომ ადამიანის სინდისი თავისუფალი უნდა იყოს და მაშასადამე როგორც უნდა და რაც უნდა ისე ირწმუნებს. არა ყველასათვის მართმადიდებლობაა საჭირო, ღრიალებს მართველობა და უცხადებს ბრძოლას სექტანტებს. ისინი მოკლებულნი არიან ყოველგვარ უფლებებს რუსეთის ქვეშევრდომებისაც კი. მათ არ შეუძლიანთ ისწავლონ, არ შეუძლიანთ იმსახურონ და რაც უფრო აუტანელია—მათ არა აქვთ ოჯახური მოსვენება: ყოველწუთს დღისით და ღამით ნება აქვს შემოუვარდეს ტვინ გამხეცებული მღდელი და დაუწყოს ბრძანებით „გაქრისტიანება". იმას მიათრევს ძალით პოლიციელი მისიონერების ბაასებზე, სადაც მას ნება არა აქვს პასუხი მისცეს მისიონერს, და ვალდებულია აიტანოს მისგან ყოველგვარი ცილის წამება, დაცინვა და ლანძღვა. აი მაგალითად, როგორ ხდება ხუცებისაგან სექტანტების მოქცევა: ,,ორლოვის გუბერნიის ერთ სოფელში შერეკეს ეკლესიაში სექტანტები, დაუკეტეს გარედან კარი, დაუდგეს წინ სტოლი ხატებით სავსე (სექტანტებს არა სწამდათ ხატები) და უბძანეს უარ ეყოთ თავის მოძღვრება და ეკოცნათ ხატისთვის. ვინც უარს იტყოდა,—გააწვენდენ და გაროზგავდენ, თუ კიდევ უარს ატყოდა კიდევ გაროზგავდენ და ასე მანამდის, სანამ საცოდავ სექტანტს არ მიუწყდებოდა ხმა და ან შეწუხებული ამ ძალდატანებით არ დაანხმდებოდა ხუცების წინადადებაზე''. არ გეგონოთ, რომ ეს ზღაპარი იყოს,

---

*) რამდენად სამასხარო როლს თამაშობს შიმშილობის დროს დახმარებაში ,,წითელი ჯვარი'' სხვათა შორის იქიდანაც ჩანს, რომ 29 გუბერნიისათვის, სადაც მთავრობის სიტყვით შიმშილობა გამძვინვარებულია ,,წითელმა ჯვარმა'' დასახმარებლად 317 ათასი მანათი გადასდო. ეს ფული რომ გაუნაწილო თითო დამშეულს თითო კაპეიკიც არ შეხვდება.

*) ჩვენ გვატყობინებენ, რომ პავლოვის სექტანტების არეულობაში დიდ როლსა თამაშობდა ვიღაც «მწირი მოსე» (როგორც აღმოჩნდა შემდეგში, ეს მოსე სამღვდელოების აგენტი ყოფილა მიგზავნილი წასაქეზებლად) ეს ,,მწირი'' არეულობის წინ გატაცებით უქადაგებდა სექტანტებს მართმადიდებლების ამოჟლეტას. თავის თავზე ამბობდა, რომ მას არაფრისა ეშინიან, რომ თუ დაატუსაღებენ, ის ,,ძალითა ქრისტესითა'' დაანგრევს დაკეტილ კარებს და მოევლინება მათ დატუსაღების მეორე დღესვე. ის დაატუსაღეს და მართლა მეორე დღეს განთავისუფლდა, მაგრამ ,,ძალითა ქრისტესითა'' კი არა, თვით პოლიციის ბრძანებით, რადგან პოლიცია დარწმუნდა, რომ ეს ,,მწირი'' მიგზავნილია სამღვდელოებისაგან სექტანტების ასაჯანყებლად.

სწორედ ამ სიტყვებით უამბო ორიოლის თავად-აზნაურობის წინამძღოლმა სტახოვიჩმა სამღვდელოების კრებას. ამ გვარი შევიწროებით შეწუხებული სექტანტობა ხშირად გამოდის თავის მორჩილებიდან და გაბრაზებული ახდენს არეულ ბუნტებს. სექტემბერში ხარკოვის გუბერნიაში ხომ. პავლოვში სექტანტები დაერიენ მართლმადიდებელთ, დაუნგრიეს ეკლესია, სამრევლო შკოლა და ღვდელს ჩიქოლვას უპირებდენ.*) რასაკვირველია ამ შემთხვევის შემდეგ მთავრობას «უფლება» აქვს სასტიკათ დევნოს სექტანტობა და წინანდელ მათთან ბრძოლას მიუმატოს ახალი უფრო ძლიერი სიმხეცე.

მაგრამ მართველობისათვის არც სტუდენტობა, არც დამშეული გლეხები და არც ბრაზმორეული სექტანტები არ არიან ისე საფთხო როგორც მუშათა რ ე ვ ო ლ ი უ ც ი ო ნ უ რ ი მოძრაობა და უმთავრეს თავის მეცადინეობას ამ მოძრაობის ჩაქრობას ანდომებს. არ შეუდგებით ყველა იმ სიმხეცის ჩამოთვლას, რომელიც გამოიჩინა მართველობამ წრეულს მუშების წინაამდეგ. პირველ მაისობის წინ პეტერბურგში მიწვეულნი იყვნენ ფაბრიკო ინსპექტორები იმ კითხვის განსახილავად თუ რა ზომები იხმაროს მართველობამ მუშების მაისობის დღესასწაულის წინაამდეგ. ინსპექტორებმა ზვოლიანსკის თავმჯდომარეობით ურჩიეს მთავრობას მიიღოს უსასტიკესი ზომები და დაატყვევოს ყველა ბევრათ თუ ცოტათ ცნობილი მონაწილე მოძრაობაში. ამ ზომებმა რომ ვერაფერი არგეს, იმავე ინსპექტორებმა მაისის დამლევს ახალი რეცეპტი მისცეს მართველობას: დაადგეს ზუბატოვის პოლიტიკას (იხ. გვ. 6 „ფარისევლობა...") სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი მუშები ადვილად გაებნენ მართველობისაგან დაგებულ ხაფანგში და თავის მეცადინეობით შეელიან ჟანდარმებს ხელი შეუშალონ მუშების მოძრაობას. მოსკოვში მაგალითად რამდენიმე მუშა (აფანასიევი, კრასივცი) ჩაუდგა სათავეში მუშებს, მართავენ კრებებს, ურჩევენ დამახმარებელ საზოგადოებათა დაარსებას და სხვ. ასეთივე მოვლენას ვხედავთ მინსკში. აი რას გვწერენ იქიდან.

„ამას წინად მინსკში გავრცელებული იყო რუსულ და ურიულ ენაზედ მოწოდება ახალი ებრაელთა დამოუკიდებელი მუშათა პარტიისაგან.

ამ მოწოდების შინაარსი მიმართულია უფრო პოლიტიკური და რევოლიუციონური ორგანიზაციების წინაამდეგ და კერძოთ „ბუნდს" (ებრაელთა რევოლიუციონურ კავშირს) უკიჟინებს, როგორც პოლიტიკურ ორგანიზაციას. იქ პირდაპირ არის ნათქვამი, რომ „ჩვენ არა სასურველად მიგვაჩნია ის, რომ ეკონომიური ორგანიზაციები არიან „ბუნდის" ხელმძღვანელობის ქვეშ, როდესაც იგი თვითონ, თავისი მიზნით, წარმოადგენს პოლიტიკურ ორგანიზაციას. ჩვენ დღეს გვიჭირს ლუკმა პური და „ბუნდი" კი რაღაც პოლიტიკას ახვევს თავზედო" და სხვა.

„ასეთ ვიწრო ეკონომიურ ორგანიზაციებს და მუშათა მოძრაობის ლეგალიზაციას ხელი შეუწყო ეგრედ წოდებულმა „ზუბატოვის პოლიტიკამაც" აქ ამ საქმეს უდგიან სათავეში ერთი რეტუშიორი და მუშა ქალი, რომლებიც ზუბატოვის მომხრეები არიან და რომლებიც ზუბატოვისავე წყალობით დიდი ხანი არ არი, რაც დაბრუნდენ მოსკოვის ციხიდან. მათ უკვე ჩაიგდეს თავის გავლენის ქვეშ რამოდენიმე ცეხები. მართავენ ყოველკვირა დიდ კრებებს, სადაც თამამათ ესწრებიან ჯაშუშები მუშები, რადგან ამ ახალ «პარტიაში» ყველას შეუძლია შესვლა. სხვათა შორის ყველა კრებებს ესწრება ჟანდარმების პოლკოვნიკი ვასილიევი. თუ ვინმე ლაპარაკის დროს პოლიტიკას შეეხება და ან დაიცავს რევოლიუციონურ შეხედულებას ამ „თავისუფალ" კრებებზედ, მათ იჭერენ და დაუყონებლივ გზავნიან ციმბირში. პოლკოვნიკი ვასილიევი დიდ თანაგრძნობას უცხადებს საქმის მოთავეებს და თვითონაც დიდ შრომას სწევს, რადგან რამოდენიმე კრება მოახდინა დურგლებისაგან და უნდა მათი ორგანიზაცია შექმნას."

ამგვარად ცდილობს მართველობა „გაახარწყლოს" მუშათა რევოლიუციონური მოძრაობა და მათი ინტერესების დამცველის ნიღაბით გაატუტუცოს მუშები და შეურიგოს არსებულ წეს-წყობილებას. მაგრამ მუშების ინტერესების დაცვაში მართველობას მამლის ქორდის დღე ადგება: წრეულს, როდესაც საშინელი სიმწვავით მოედო კრიზისი თითქმის ყველა წარმოებას, როდესაც აუარებელი მუშა ულუკმა პუროთ დარჩა, ქუჩაზე გამოგდებული, მართველობამ ყურიც არ გაიბერტყა მათ გაჭირვებაზე; იმ ორი მილიარდიანი ხაზინიდან, რომელიც ხალხისაგან აგლეჯილი ფულით ივსება, თვითმპყრობელმა მართველობამ ერთი კაპიკიც კი არ გაიღო უმუშაოთ დარჩენილ მუშებისთვის მაშინ, როდესაც გაკოტრებულ, საყოველთაო ცნობილ ქურდ კაპიტალისტებს კი, როგორც მულიკ მამონტოვს, ალშევსკის და სხ. ასი მილიონობით უწყალობებს. მართველობა არა ერთხელ აცხადებს ხოლმე, რომ მისთვის „ერთია" ინტერესები მუშებისაც და კაპიტალიზტებისაცო... აქედან კარგა ვხედავთ რამდენათ „ერთია".

მკითხველს ნუ ეგონება, რომ მართველობა მხოლოდ შევიწროებისა და დახიგვრის გზას ადგია, ეს ტყუილი იქნება. მართალია მისი ერთი ხელი მძიმე ლოდივით აწევს რუსეთის ხ ა ლ ხ ს, რუსეთის აზროვნებას, წინსვლას... სამაგიეროდ მისი მეორე ხელი დიდი სიუხვით წყალობს რუსეთის ხალხის... შემავიწროებელთ: კაპიტალისტებს, თავად-აზნაურებს, სამღვდელოებას, გენერლებს და სხვ. როდესაც ხალხი შიმშილით წყდება, მართველობა უთვალავ მილიონებს ფანტავს დაუსრულებელ ციმბირის რკინის გზაზე, სადაც აუარებელი ხროვა ინჟენერებისა, მოიჯარადრებისა, უსაქმურად დარჩენილი ჩინოვნიკებისა ივსებენ ჯიბეს. როდესაც გლეხს არა აქვს მიწა, რომელზედაც ფოშტის ფულის ნაფასური მაინც მოიყვანოს, მართველობა ათასი დესეტინობით უწყალობებს სახემწიფო მიწებს სახემწიფოს შემავიწროებელთ— თავად-აზნაურებს და ამასაც არ კმარობს: ძალით ასახლებს ამ მამულებზე გლეხებს იმ პირობით რომ ბატონყმობის დრო თავისი სიმკაცრით და შევიწროებით სრულებით იჩრდილება: სახემწიფო ხაზინიდანვე ფანტავს მართველობა აუარებელ ფულს სწორედ იმაზე რაც ხალხის პირდაპირ საზარალოა: აუარებელი მილიონები ჩაინთქა ჩინეთთან ყოვლად უსარგებლო ომში, არა ნაკლები ფული დაიღუპა სამხედრო გემების ასაგებათ; ქართველ თავად-აზნაურობას იმ მონობის და ლაქიობის სამაგიეროთ, რომელსაც იგი იჩენს ამ ასი წლის განმავლობაში თვითმპყრობელობის წინ, გარდა იმისა რომ აჩუქა ძველი სახემწიფო ვალები „ნედოიმკები", რომლებიც მილიონს აღემატებოდენ, აღუთქვა ყოველ წლივ 40 ათასი მანეთი ხალხის სისხლის ოფლით შემსებული ხაზინიდან. ერთი სიტყვით მართველობას ვერ ვუკიჟინებთ სიძუნწეს და ხელმოჭერილობას, როცა ექსპლუატატორების ინტერესები წამოდგებიან წინ. სახემწიფო ხაზინა უხვად შლის თავის წყალობას მათზედ, ვინც კი თვითმპყრობელობას დაუმტკიცებს სამაგალითო მონობას.

ჩვენ არ შევხებივართ თვითმპყრობელობის „ეროვნულ" პოლიტიკას, რომელიც მძიმე უღლათ აწევთ რუსეთის სხვადასხვა ეროვნებათ: პოლშელებს, ფინლიანდიელებს, ებრაელებს, ქართველებს, სომხებს და სხვ. თუ რა ურცხვობამდე მიდის მართველობა ძალად „გარუსების" პოლიტიკაში, აშკარად გვიმტკიცებს ამიერ კავკასიის რკინის გზების უფროსის ველენეევის საიდუმლო განკარგულება, რომელიც ამ შემთხვევაში გამომხატველია მართველობის ნებისა. მოგვყავს ეს განკარგულება რუსულიდან სიტყვა-სიტყვით თარგმნით:

„კონფიდენციალური განკარგულება რკინის გზის მოძრაობის უფროსის სახელზე 1900 წ. 19 აგვისტოს თარიღით 286 №-ით: „გზის დასავლეთ ნაწილში მოსამსახურეთა შორის ადგილობრივ მკვიდრთა (ტუზემცების) ელემენტის გამრავლების თავიდან ასაცილებლათ წინადადებას გაძლევთ გადაუხვევლათ აასრულოთ შემდეგი: ადგილობრივ მკვიდრთ დასავლეთ ნაწილში არამც და არამც ალმატება არ მისცეთ თანამდებობაში; მათი ალმა-

მგიერად კვამლსა და სიმყრალეს უშვებენ გარშემო... და სხვ. კრების შემდეგ სტუდენტები გამოვიდნენ ქუჩაზე. ამ დროს მოუვიდათ ამბავი, რომ ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში საშინელი შეტაკება მოუხდათ პოლიციას და სტუდენტებს: 50 პოლიციელი მიადგა ინსტიტუტს ერთი საზეითალო სტუდენტის დასატყვევებლად, რომელიც შეფარებოდა ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში. სტუდენტებმა გამოუცხადეს, რომ ნებით არ დაგანებებთ ხსენებულ ზეითალს და მაშინ პოლიციელები ყაზახების დახმარებით შეესიენ ინსტიტუტს; ბევრი საშინლად ეცემათ და დასასრულ 50 ტეხნოლოგი და ის ზეითალი დაეტუსაღებინათ. ამ ამბავმა უფრო ალაგზნო სტუდენტები და გაბედულობა მიუმატა. მათ მიემხრნენ მოქალაქეები და გაემართნენ სუმის ქუჩაზე. ყაზახებს დაეჭირათ ქუჩის ორთავ გვერდები. დემონსტრანტები მიდიოდნენ სიმღერით. უცებ შეუკრეს ყაზახებმა გასავლელი გზები და დაუწყეს უწყალოდ სვრემა ცხენებით და მათრახებით. რამდენიმე საათის ბრძოლის შემდეგ ყაზახებმა გაჰფანტეს დემონსტრანტები, რომლებმაც მახლობელ ქუჩაზე მოიყარეს თავი. ნაშუადამევის 2 საათამდე დემონსტრაციები ერთი ქუჩიდან მეორეზე გადადიოდა. რადგან სამუშაო დღე იყო მუშები ნაკლებად იღებდნენ მონაწილეობას. კვირას 2 დეკემბერს კი ხარკოვი საუცხოვო სანახავი იყო. აუარებელ მუშებს მოეყარათ თავი, გაემალათ წითელი დროშა და სიმღერით გაემართნენ საუკეთესო ქუჩებზე—ეკატერინოსლავის პროსპექტზე და სუმის ქუჩაზე. აუარებელი ყაზახები, რომლებიც ჩაწკრივებულიყვნენ ქუჩების ტროტუარებზე სურათის სიმშვენიერეს ხელს უწყობდენ. დემონსტრანტებმა დაუბრკოლებლივ გაიარეს ვოგზლამდე (სიგრძე ამ ქუჩისა რამდენიმე ვერსია) და შემდეგ დაიმალნენ. ეკატერინოსლავში 15 დეკემბრისთვის დანიშნულმა დემონსტრაციამ ჩინებულად ჩაიარა, თუმცა გუბერნატორმა ყოველი ღონე მიიღო მის ჩასაქრობათ. ადგილობრივმა კომიტეტმა წინა დღეებში გაჰფანტა მოწოდების პროკლამაციები. დანიშნულ დღეს მრავალი მუშა გამოვიდა ქალაქის საუკეთესო ქუჩაზე და სიმღერით გაემართა. მუშებს მოუხდათ ძლიერი შეტაკება პოლიცია-ყაზახებთან. ამგვარივე დემონსტრაციები მოხდა სხვა მრავალ ქალაქში და ეს მოვლენა გვამხნევებს ჩვენ სოციალისტებს, ეს გვარწმუნებს, რომ რევოლიუციონური მოძრაობა შეუჩერებლივ მიდის წინ, რომ ეს მოძრაობა დაადგა მტკიცე გზას და ქუჩის დემონსტრაციებიდან ქუჩაზე ბრძოლით, სახალხო რევოლიუციით გათავდება. ჩვენ არა გვაქვს სურვილი გაა-ზვიადოთ ფაქტები, თავს არ მოვიტყუილებთ, რომ ჩვენ დღეს არა ვმარცხდებით მთავრობის შეერთებული ძალისაგან, მაგრამ ამ დროებით დამარცხებით ჩვენ მაინც გამარჯვებისკენ მივდივართ პირდაპირ. ზნეობრივი გამარჯვება დღეს ჩვენსკენ არის და ფიზიკურ გამარჯვებას მოვიპოვებთ, როდესაც გვექნება საკმაო გამოცდილება, როდესაც გავივლით ბრძოლის შკოლას და ამ შკოლით, ამ გამოცდილებით დღეს ქუჩის დემონსტრაციები გვემსახურებიან.

პარტიიდან. ამ ზაფხულს საზღვარ გარეთელმა ჩვენმა ამხანაგებმა (ემიგრანტებმა) სცადეს ერთმანეთთან კავშირის შექმნა. ამ მიზნით რამდენიმე კრებაზე თავი მოიყარეს სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა საერთო პროგრამის შესამუშავებლად. უნდა აღვნიშნოთ რომ იმ აზრთა სხვადასხვაობამ, რომელიც დღეს სუფევს რუსეთის სოციალდემოკრატთა შორის, თავისი გაიტანა და ვერ მოხერხდა სრული შეთანხმება ყველა ორგანიზაციებ შორის. როგორც მოსალოდნელი იყო „რუსეთის სოციალდემოკრატების კავშირმა“ (მის ორგანოთ ითვლება «Рабочее Дѣло») არ გადაუხვია თავის ვიწრო ეკონომიურ მიმართულებას და დარჩა განცალკევებულად. მასთან შეთანხმება შეუძლებლად იცნეს დანარჩენმა ორგანიზაციებმა. მიუხედავად ამისა დაარსდა „ლიგა რუსეთის რევოლიუციონურ სოციალდემოკრატიისა“, რომელშიაც შედიან: „რევოლიუციონური ორგანიზაცია სოციალდემოკრატი“ (წინანდელი «Группа Освобожденія Труда», რომლის მეთაურები არიან პლეხანოვი, ვერა ზასულიჩი, დ. კოლცოვი და პ. აქსელროდი) ორგანიზაცია გაზ. «ისკრა»-სი (ნაპერწკალი), ჟურნალი „ზარია“ (განთიადი) და ჯგუფი „ბრძოლისა“. რადგან არ შეგვიძლიან უადგილობის გამო სრულებით მოვიყვანოთ „ლიგის“ პროგრამა, მოვიხსენიებთ მხოლოდ, რომ „ლიგა“ უმთავრეს და უპირველეს მოვალეობათ დღეს აყენებს პოლიტიკურ ბრძოლას, და დემოკრატიული კონსტიტუციის მოპოვებას. ის აუცილებლათ თვლის, რომ სანამ არ მივაღწევთ ამ მიზანს სოციალიზმისთვის ბრძოლა მოუხერხებელზე მეტია—შეუძლებელია.

განსაკუთრებული სიამოვნებით ვეგებებით საზღვარ გარეთ თავისუფლად მოსულს ამხანაგ ლ. გ. დეიჩს, რომელიც ციმბირიდან გამოექცა მტარვალ მთავრობას. ამხანაგი დეიჩი ერთი იმ რევოლიუციონერთაგანია, რომელიც შეუწყვეტლივ ებრძვის რუსეთის წყობილებას და ჩვენთვის სოციალდემოკრატებისთვის უფრო ძვირფასია, მით რომ ის თავის ამხანაგებთან ერთად პირველი საძირკველის ჩამყრელი იყო ჩვენი პარტიისა. დეიჩი იბრძოდა 70 წლებში ჯერ „ზემლევოლცებთან“ და მერე „ნაროდოვოლცებთან“ 1879 წ. პლეხანოვთან, სტეფანოვიჩთან და სხვებთან ერთად დაარსა პარტია «Черный Передѣлъ» რომელიდანაც 1883 წ. შეიქმნა «Группа Освобожденія Труда». დეიჩი 884 წ. დაატუსაღა გერმანიის მთავრობამ, როგორც მონაწილე გერმანიის სოციალდემოკრატიული პარტიისა და გადასცა რუსეთის მთავრობას, რომელმაც კატორღაში გაგზავნა აღმ. ციმბირში.

გიორგი ვალენტინის ძე პლეხანოვი. 6 დეკემბერს შესრულდა 25 წელიწადი, რაც ამხანაგი გ. ე. პლეხანოვი რუსეთის მთავრობამ თავის ოფიციალურ მტრად გამოაცხადა. 76 წ. 6 დეკემბერს ყაზანის მოედანზე წითელი დროშის ქვეშ, რომელსაც ეწერა „მიწა და თავისუფლება“ გ. პლეხანოვმა წარმოსთქვა სიტყვა. მთავრობამ საჩქაროდ გაფანტა დემონსტრანტები, და ყოველი ღონე იხმარა ჩაეგდო ხელში მისი მებაირაღტრე და ორატორი პლეხანოვი. და აი მას შემდეგ 25 წელმა განვლო, რაც გ. პლეხანოვი შესანიშნავი ენერგიით ემსახურება რუსეთის რევოლიუციონურ ბრძოლას. პლეხანოვის სახელთან მჭიდროთ არის შეკავშირებული რუსეთის სოციალდემოკრატიის აღორძინება—განვითარება. დაუღალავათ, ძლიერი კალმით, აღჭურვილი ნამდვილი მეცნიერული სოციალიზმით გ. პლეხანოვი 1883 წლიდან ებრძვის აზროვნების ყოველგვარ ორჭოფობას და მტკიცეთ გადაწყვეტით აყენებს სოციალდემოკრატიულ შეგნებას. არა ერთი და ორი რუსეთის სოციალდემოკრატი არის ვალდებული პლეხანოვისა თავის რწმენის განმტკიცებით, და არა მარტო რუსეთისა: ბევრს ნახავთ მის მიმდევრებს და მისგან განვითარებულთ ქართველებში, სომხებში, სლავიანებში და სხვ. დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში გ. პლეხანოვს უჭირავს საპატიო ადგილი როგორც ცნობილ მეცნიერს და მარქსის მოძღვრების განმამტკიცებელს.

მის პატივ საცემლად შეყრილ საღამოზედ ჟენევაში მრავალმა წარმოსთქვა სიყვარულით და პატივისცემით სიტყვა. რუსებს გარდა დასწრენ სხვა ეროვნების სოციალისტებიც.

ვუსურვებთ ძვირფას ამხანაგს პატივცემულ გ. პლეხანოვს მრავალ ჟამიერ სიცოცხლეს და მის ნაყოფიერ შრომის გაგრძელებას!

თბილისის სოციალდემოკრატიულ კომიტეტს შეძენილი აქვს აქამდე შემდეგი გამოცემები: 1. ლუკმა პურის ამბავი (ვინ რითი ცხოვრობს? დიკშტეინისა); 2. სიზმარ ცხადი; 3. სამუშაო დღე; 4. სიცრუის გაფიცვა; 5. მუშათა საერთაშორისო კონგრესი 1901 წ.; 5. მუშათა რევოლიუცია; 6. ანბანი მუშათათვის; 7. სარწმუნოება; 8. ოთხი ძმა (ზღაპარი). გამოცემები გაზეთ „ბრძოლისა“: 1. „ბრძოლა“ № 1; 2. ჩვენი კითხვები № 1. 3. ჩვენი კითხვები № 2; '. ობობა და ბუზი.

სტამბა „ბრძოლისა“. დეკემბერი, 1901 წ.

ტება შეგიძლიანთ მხოლოდ აღმოსავლეთ ნაწილში გადაყვანის დროს. ადმატებულთა უკან გადაყვანა შეიძლება არა უადრეს ორი წლისა, მაგრამ ჯამაგირის მოუმატებლათ. თუ განსაკუთრებული რამ საჭიროება იქნა დაარღვიოთ ეს წესი, ყოველ ასეთ შემთხვევაში თქვენ ვალდებულნი ხართ კონფიდენციალური შუამდგომლობით მომმართოთ მე. ადგილობრივ ქვეიდ‍ოთა ახლათ დანიშვნა დასავლეთ ნაწილში გეკრძალებათ. გზების უფროსი ლ. ე. ვედენეევი".

ამაზე მეტი თავხედობა წარმოუდგენელია!

ყველა ამის შემდეგ უნდა გვეფიქრა, რომ მართველობა სრულ გამარჯვებას დღესასწაულობს. რომ თვითმპყრობელობას ჯერ საკმაო ძალა და ნიადაგი აქვს რუსეთში, რომ მის წინააღმდეგ მიმართული ყოველგვარი მოძრაობა შიგ ძირშივე მოსპოს და ისევ ძველებურად შეურყევლად მეფობდეს. მაგრამ თუ გადმოვიბრუნებთ მედალს მეორე გვერდიდან, თუ დაუკვირდებით რუსეთის ხალხის ცხოვრებას, წინააღმდეგში დავრწმუნდებით. საზოგადოებრივმა ცხოვრებამ, მამულიშვილურმა გრძნობებმა გაიღვიძეს რუსეთის ხალხში და იმ გრძნობების ჩახრჩობა აღარ ძალუძს თვითმპყრობელობას. თვით მართველობის გამწარებული სიჩქარით ფაცური გვიმტკიცებს ამას. მან მოსჭამა თავისი დრო და, დახავსებული, კედლებ დაბზარული, მომაკვდავივით ეხეთქება თავის გაჭირვებული სულის ცოტა ხნით შერჩენისთვის. უფრო და უფრო მედგრათ გაისმის მის წინააღმდეგ გრგვინვა ხალხის მოთხოვნილებისა, უფრო და უფრო თამამად გამოდის ბრძოლის ველზე რუსეთის ხალხი და უკან დაუხევლად მიდის თავის მიზნის მისაღწევად — თვითმპყრობელობის დასანგრევად. მუშათა მოძრაობა რომელიც აქამდე მიმართული იყო მხოლოდ თავის დღიურ ინტერესების დასაკმაყოფილებლათ, ეხლა გაფართოვდა და მიისწრაფის პირდაპირი გზით დემოკრატიული წყობილების დასამყარებლათ. ყველაზედ უფრო საინტერესოა ის მოვლენა, რომ რუსეთის მუშამ მტკიცედ გადაწყვიტა მხარი დაუჭიროს არსებულწყობილების ყოველ წინააღმდეგ მოძრაობას. ეს გვიმტკიცებს, რომ რუსეთის მუშისთვის უპირველეს საჭიროებათ გამხდარა პოლიტიკური უფლებების მოპოვება.

ჩვენ ვხედავთ რუსეთის მუშას პეტერბურგში, ყაზანის მოედანზე 4, 11 მარტს, როდესაც სტუდენტები ახდენდენ დემონსტრაციებს, ვხედავთ მოსკოვში იმ გვარივე დემონსტრაციებში და აქ მთელ მოძრაობას მიუძღვიან თითონ, საკუთარი ძალით. მთელი ორი კვირა მოსკოვი, წყნარი, მართმადიდებლობით გაჟღენთილი, თვითმპყრობელობის უმკვიდრესი მოსკოვი, წარმოადგენდა რევოლიუციონერ ქალაქს, ქუჩაზე ჯართან შეტაკებით, ბარიკადებით. ასეთსავე ძრიელ მონაწილეობას იღებდენ მუშები სხვა ქალაქებშიც. ხარკოვში, კიევში. ყველა ეს გვარწმუნებს, რომ რუსეთის მუშა ყოველ წუთს მზად არი ბრძოლის ველზედ გამოვიდეს და მიემხროს ყოველ მოძრაობას, თუ იმ მოძრაობას მიზნათ აქვს დღევანდელ მართველობასთან ბრძოლა; გვარწმუნებს, რომ რუსეთის მუშამ თავის წინანდელ საშუალებას გაფიცვებით ბრძოლას, აჯობინა ქუჩის დემონსტრაციები. და წარსული წელიწადი თავიდან ბოლომდე გვიძლევს შესანიშნავ გაკვეთილს. ვერ მოსძებნით ისეთ კუთხეს რუსეთის უშველებელ იმპერიაში, სადაც მუშას არ შეეძრწუნებინა მართველობა და მისი დამქაშები. და მართველობაც თავგზა არეული არა ზოგავს თავის ძალღონეს, რომ როგორმე შეაჩეროს მუშების მოძრაობა. რომ გადავავლოთ თვალი რუსეთის გაზეთებს მაისიდან დეკემბრამდე, თითქმის ყოველდღე აუცილებლად შევხვდებით გუბერნატორების, გრადონაჩალნიკების, პოლიცმეისტერების და სხვ. მქუხარე განცხადება, რომლითაც იკრძალება ყოველგვარი კრებები და ყრილობანი. მარტო ეს გვიმტკიცებს, რომ რუსეთს ეპიდემიასავით მოედო დემონსტრაციები. ეკატერინოსლავის გუბერნატორი, მაგალითად, აცხადებს თავისი პროკლამაციით, რომ ის არ გაუჩერდება აუკიდურეს ზომებსაც"-კი, რომ ხელი შეუშალოს მუშებიდგან განზრახულ 15 და 16 დეკემბრისთვის დემონსტრაციებს, აფრთხილებს „გარეშე მაყურებელთ", რომ არც მათ აცდებათ ეს უუკიდურესი ზომები თუ პირველსავე ბრძანებაზე არ დაიშლებიან და სხვ. კავკასიის მთავარ მართებლი, შელთვებული გოლიცინი ხომ იმ კადნიერებამდე მივიდა, რომ მთელი თბილისის მცხოვრებელთ უბძანა დეეწყოთ ჯაშუშობა. ის ვალდებულათ ხდის ყველას დაუყონებლივ აცნობოს სად იმყოფება რევოლიუციონერების სტამბა, მათი წიგნების საწყობები. ან თუ იმართება კრებები და სხვ. უკრძალავს ქუჩაზე სიარულს, იქნებ ხმა მაღლა ლაპარაკსაც... მაგრამ ამისდა მიუხედავათ მოძრაობა მიდის წინ და წინ.

ნოემბრის უკანასკნელი დღები და დეკემბრის დასაწყისი სავსეა ამის დასამტკიცებელი ფაქტებით. მრავალ ქალაქში, როგორც მაგალითად ხარკოვში, კიევში, მოსკოვში, ნიჟნი-ნოვგოროდში, რიგაში, ეკატერინოსლავში და სხვ. არეულობა არეულობას მოჰყვა. რუსეთი ისევ დემონსტრაციებმა მოიცვა. ქუჩაზე გამოდიან სტუდენტები, მუშები, მოქალაქენი რომ გამოაცხადონ თავისი ზიზღი და უკმაყოფილება არსებული მართველობით. დემონსტრაციები ხდებიან სხვადასხვა მიზეზით, მაგრამ მიზანი კი ყველას ერთი აქვთ — დამხობა თვითმპყრობელობისა. ნიჟნი ნოვგოროდში დემონსტრაცია მოახდინეს მოსწავლე ახალგაზრდობამ და მოქალაქეებმა. მიზეზათ იყო ცნობილი-მწერალი მაქსიმ გორკის სამშობლო ქალაქიდან გაძევება მართველობისგან. ვოგზალზე, როდესაც მ. გორკი უნდა წასულიყო, შეიყარეს თავი დემონსტრანტებმა და სიმღერით, სიტყვების წარმოთქმით გაცილეს საყვარელი მწერალი. დემონსტრაციას ვერ შეუშალეს ხელი ჟანდარმებმა მიუხედავად იმისა, რომ ჩვეულებრივზე ერთი ორად მეტი იყვნენ ვოგზალზე. სიტყვები წარმოთქმული დემონსტრანტებისაგან მიმართული იყო თვითმპყრობელი მართველობისადმი, რომელიც თავის არსებობისთვის ურცხვად ჰკლავს ყოველ თავისუფალ აზრს და მწერალს, რომელსაც უნდა სამშობლოს სარგებლობა მოუტანოს, უსპობს საშუალებას თავისუფლად წერისას, აძევებს ერთი ქალაქიდან მეორეში და სხვ. ხარკოვში მთელი კვირა (28 ნოემბერი — 3 დეკემბერი) ყოველ დღე ხდებოდა დემონსტრაციები. მაგრამ ყველაზე თვალსაჩინო 29 ნოემბრის და 2 დეკემბრის დემონსტრაციები იყვნენ. მოთავეებათ სტუდენტობა იყო პირველში, ხოლო 2 დეკემბერს კი მუშები. მიზეზათ არეულობისა სახალხო განათლების მინისტრის ურცხვი საქციელი იყო, რომელიც სწავლის რეფორმების და „გულითად მზრუნველობის" ნაცვლად ერთ შევიწროვებას მეორეზე უგზავნიდა სტუდენტებს. მან სრულებით უსაბუთოდ გამორეკა 150 სტუდენტი საზეითალო ინსტიტუტიდან და ამგვარივე მზრუნველობას დაჰპირდა უნივერსიტეტს. 29 დეკემბერს მომხდარ კრებაზე უნივერსიტეტში სტუდენტობის უმრავლესობამ გადაწყვიტა შეეწყვიტათ სწავლა, რადგან ამ გვარ პირობებში შეუძლებელია გაგრძელება სწავლისა. კრებაზე დამსწრე პროფესორებმა დიდი მჭევრმეტყველება დახარჯეს რომ შეეჩერებინათ ამ გადაწყვეტილებაზე სტუდენტები. ისინი აგონებდენ მოსწავლეებს, რომ უნივერსიტეტი მეცნიერების ტაძარია, რომ პროფესორები ამ ტაძრის ლამპრებია, რომ სტუდენტების მოვალეობაა ამ ტაძარში... და სხვ. მაგრამ ბრაზი, ნაღველი იქამდე მწვავე იყო, რომ არ შეეძლოთ ამ სიტყვებს შეეჩერებინათ სტუდენტები. ერთმა მათგანმა მშვენიერი სიტყვით მიმართა თავის პროფესორებს. ნათლათ დაანახვა, რომ დღევანდელ პირობებში ეს მეცნიერების ტაძარი მხოლოდ საპყრობილეა მოსწავლეებისთვის, სადაც სასტიკად იდევნება ყოველი თავისუფალი აზრი და მეცნიერება; რომ მართალია პროფესორები უნდა ამ ტაძრის ლამპრები იყვნენ, მაგრამ დღეს ისინი მხოლოდ მართველობის ჩინოვნიკებათ გადაქცეულან და მეცნიერება გაუყიდნიათ ორდენებზე და კარგ შემოსავალზე; რომ ისინი დღეს მხოლოდ თავქვეით დაკიდებული ლამპრები არიან, რომლებიც სინათლის